

# დროშა

№ 11 ნოემბერი 1963

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



1963 წლის 7 ნოემბრის დღესასწაული თბილისში ტრიბუნაზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხანაგები გ. ი. ჩოგოვაძე, მ. ვ. ლელაშვილი, მ. ი. კუჭავა, გ. ა. გეგეშიძე, გ ნ გოჩკარიოვი, გ დ ჯავახიშვილი, ვ. პ. მჟავანაძე, ა. ტ. სტუჩენკო, ო. დ. გოცირიძე, დ. გ. სტურუა, შ. ი. ჟანუყვაძე, რ. ი. შრუ-იძე, ო. ე. ჩერქეზია

ფოტო ვ. გინზბურგისა და შ. ჩხეტიანისა

ჩანან დროშები ყაყაჩოსფრად
ცად შეფენილი,
ჰქუხს სამშვიდობოდ შემოსული
დილა მღელვარე,
და ლამპარივით ანთებული
სახე ლენინის
თავს დაჰკაშკაშებს კომუნიზმის
მაღალ მწვერვალებს.



ფოტო თ. არჩვაძისა






პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 11 (148) ნოემბერი, 196

გამოცემის XIII წელი

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი



# საუკეთესოა მთელ მსოფლიოში





ერთმა უცხოელმა სტუმარმა, რომელიც ჩვენი კოლმეურნეობის ჩაის პლანტაციებს ათვალიერებდა, გაოცებით გვითხრა:

— მე ძალიან მომწონს ქართული ჩაი, მაგრამ, ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ეს მცენარე ასეთ ფაქიზ მზრუნველობას, ასეთ გულმოდგინე მოვლას საჭიროებს.

ჩაის კულტურა მართლაც მეტად დიდსა და დაძაბულ შრომას მოითხოვს. შეიძლება ბევრმა არც კი იცის, რომ ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაციის მოვლას წელიწადში ოთხასამდე კაცდღე სჭირდება. ჩაის პლანტაციებს ჩვენში დღეისათვის ორმოცდაჩვიდმეტი ათასი ჰექტარი უჭირავს. ჰოდა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, ყოველწლიურად როგორი დაძაბული შრომა გვიხდება „მწვანე ოქროსათვის" მებრძოლებს.

ჩვენ, საქართველოს მეჩაიეებს, განსაკუთრებით გვახარებს ის მეტად მაღალი შეფასება, რაც ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვმა მისცა ქართულ ჩაის.

„ჩაი, რომელსაც საქართველოში აწარმოებენ, საუკეთესოა მსოფლიოში,— აღნიშნა ნიკიტა სერგის-ძემ, — ვფიქრობ დამეთანხმებით, რომ ეს აიხსნება არა მარტო კლიმატური პირობებით. მრავალ სხვა ქვეყანას ხომ აქვს საქართველოზე არა უარესი, არამედ, შეიძლება, უკეთესი კლიმატური პირობებიც ჩაის მოყვანისათვის, თქვენი ჩაის მაღალ ხარისხს მე მივაკუთვნებ მიწათმოქმედების კულტურას".

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში მხოლოდ 500 ტონამდე ჩაის ფოთოლს კრეფდნენ, წელს კი ჩვენი რესპუბლიკის მეჩაიეებმა 182 ათას ტონაზე მეტი ნედლეული ჩავაბარეთ სახელმწიფოს. ახლა საქართველო ჩაიზე საბჭოთა კავშირის მოთხოვნილების ოთხმოცდათხუთმეტ პროცენტს აკმაყოფილებს.

გასულ წელს წარმატებით ავიღეთ შვიდწლედის მეშვიდე წლის ზღუდე — სამშობლოს მივეცით 170 ათას ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი! ამ წარმატებამ უფრო მეტი რწმენა და მხნეობა შეგვმატა, მეტი მონდომებით მოვეკიდეთ საქმეს და აკი მივაღწიეთ კიდეც სასურველ მიზანს.

11 ოქტომბერს მთელს რესპუბლიკას მოედო სასიხარულო ცნობა, რომ საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ საქართველოს მეჩაიეებს მხურვალედ მიულოცეს მორიგი ბრწყინვალე გამარჯვება.

„სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 46-ე წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ, წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიყიდვის ვალდებულებანი, — ნათქვამია მიმართვაში, — გეგმით გათვალისწინებული 163 ათასი ტონის ნაცვლად მოკრეფილია და სახელმწიფოს მიეყიდა 182,8 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — 12,8 ათასი ტონით მეტი, ვიდრე შვიდწლედის ბოლოსათვის — 1965 წლისათვის იყო გათვალისწინებული.

ეს შრომითი გამარჯვება იმას მოწმობს, რომ საქართველოს სსრ მეჩაიეებს ღირსეული წვლილი შეაქვთ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის საქმეში, ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლის კარგ მაგალითს იძლევიან".

ქართველ მეჩაიეთა ამ დიდ ზეიმს სიხარულით იზიარებენ მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის წევრებიც, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს საერთო გამარჯვებაში.

კომუნისტური შრომის რგოლმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, წელს გეგმით გათვალისწინებული 28 ტონის ნაცვლად 47 ტონა ჩაის ნედლეული ჩააბარა სახელმწიფოს. პირადად მე კი სეზონის განმავლობაში 12.400 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოვკრიფე.

მეტად დიდი და საამაყო გამარჯვება მოვიპოვეთ, მაგრამ ერთი წუთითაც არ გვავიწყდება, რომ წინ კიდევ ახალი გმირული ბრძოლები მოგველის.

ჩემი მეგობრების, საქართველოს სახელოვანი მეჩაიეების სახელით მინდა ვთქვა, რომ ჩვენ შვიდწლედის მეექვსე წელს კიდევ უფრო მეტი მონდომებით ვიბრძოლებთ, ახალი მიღწევებითა და გამარჯვებებით გავახარებთ სამშობლოს!

ლეილა მაღულარია

მახარაძის რაიონის სოფელ ნაგომრის კოლმეურნეობის მერგოლური.

მიმდინარე წლის ოქტომბერში თბილისში მოეწყო ჟურნალისტთა საკავშირო შემოქმედებითი სემინარი, რომელმაც განიხილა საკითხი, თუ როგორ უნდა ემსახურებოდეს პრესა ხალხთა ლენინური მეგობრობის შემდგომი განმტკიცების საქმეს. სემინარი მოიწვიეს სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა და საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირმა. მასში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა კუთხის, თხუთმეტივე მოკავშირე რესპუბლიკის ჟურნალისტები.

ამას გარდა, ჟურნალისტთა სემინარს ესწრებოდნენ ევროპის, აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ოცდახუთი ქვეყნიდან ჩამოსული საზღვარგარეთელი მეგობრები და სტუმრები, ჟურნალისტთა მესამე მსოფლიო შეხვედრის მონაწილენი. მათი თბილისში ჩამოსვლა და შემოქმედებითი სემინარში მონაწილეობა იმის დადასტურებაა, რომ სულ უფრო მტკიცდება საბჭოთა ჟურნალისტების საერთაშორისო ურთიერთობა, მთელი მსოფლიოს ხალხთა მშვიდობისათვის, პროგრესისათვის, დემოკრატიისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ჟურნალისტთა ერთობა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგი პ. ა. სატიუკოვი ტრიბუნაზე.

# ჟურნალისტის საპატიო ამოცანა

სემინარი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა დ. გ. სტურუამ. მოხსენება „საბჭოთა პრესა და ხალხთა ლენინური მეგობრობა" წაიკითხა სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარემ, გაზეთ „პრავდის" მთავარმა რედაქტორმა პ. ა. სატიუკოვმა.

სემინარზე განხილულ იქნა საბჭოთა კავშირის ხალხთა ურთიერთ მეგობრობის მრავალი მნიშვნელოვანი საკითხი, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ამ მეგობრობის განმტკიცებაში, მშვიდობის განმტკიცებაში, კომუნიზმის დიადი მშენებლობის განვითარებაში.

სემინარი გადაიქცა საბჭოთა ხალხების ცხოველმყოფელი მეგობრობის დემონსტრაციად, საბჭოთა ჟურნალისტების გამოცდილების გაზიარების ნამდვილ ტრიბუნად. სემინარმა შეაიარაღა ისინი, რომ კიდევ უფრო მკაფიოდ გააშუქონ, პროპაგანდა გაუწიონ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ლენინურ იდეებს.

იბრძოლოს ხალხთა ლენინური მეგობრობის განმტკიცებისათვის — ესაა ყოველი ჟურნალისტის უაღრესად საპატიო, უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანა.



სხდომათა დარბაზში.





# 75 ათასი მადლობა

წარმოიდგინეთ, რომ დაგჭირდათ ისეთი ნაცნობის მოძებნა, რომელიც დიდი ხანია აღარ გინახავთ. რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მიმართავთ ცნობათა ბიუროს კიოსკს, საიდანაც დაურეკავენ სამისამართო ბიუროს და რამდენიმე წუთში მოგაწვდიან საჭირო მისამართს.

მოდით, შევიხედოთ მათთან, ვინც ასე უეცრად მოძებნა თქვენთვის საჭირო მისამართი. უზარმაზარ დარბაზში დგას ვეებერთელა კარადები კარტოთეკისათვის. ამ კარადებში თავმოყრილია თბილისისა და ახლობელი რაიონების ყველა მცხოვრების გვარები.

სამისამართო ბიუროში წამდაუწუმ რეკავს ტელეფონი. იღებენ დაკვეთებს, თვითეული მუშაკი ერთი საათის განმავლობაში 25-30 ცნობას იძლევა.

საწერ მაგიდებზე კი დახრილან ბიუროს რეგისტრატორები. აქ ყოველდღიურად იღებენ 80-დე წერილს, რომლებზეც მისამართი არასწორად არის აღნიშნული. და აი, რეგისტრატორების მეცადინეობით ზუსტდება მისამართები და წერილებიც შეუცდომლად პოულობენ თავიანთ ადრესატებს.

ყოველივე ამის მოგვარება არცთუ ისე ძნელი საქმეა. მაგრამ როგორ უნდა შეახვედროთ ერთმანეთს ადამიანები, რომელთა გზები ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში გაიყარნენ და დრომ წაშალა მათი კვალი? ვინ იცის, რამდენი წერილი მიუღიათ აქ იმათგან, ვინც დღესაც დაეძებს თავის მშობლებსა და ახლობლებს.

აი ერთი რიგითი შემთხვევა: თბილისის სამისამართო ბიუროს დახმარებისათვის მიმართა კიეველმა ქალიშვილმა ნინა ოსოვიკმა. ომამდე მე და დედაჩემი კიევის ოლქში ვცხოვრობდით, ევაკუაციის დროს ერთმანეთი დავკარგეთ, გთხოვთ მომეხმაროთ მის მოძებნაშიო, იწერებოდა ქალიშვილი.

თითქოს იმაზე ადვილი არაფერი იყო, რომ კარტოთეკის მეშვეობით შეემოწმებინათ, ცხოვრობდა თუ არა თბილისში ოსოვიკი და ეპასუხათ, რომ ასეთი პიროვნება აქ არ იმყოფებოდა. მაგრამ ბიუროს მუშაკებმა დიდი გულისხმიერება გამოიჩინეს და შეუპოვარი მუშაობის შემდეგ ნინას დედის კვალს მიაგნეს. იგი თურმე თელავში ცხოვრობდა.

ვინ მოსთვლის, რამდენი თბილი სიტყვა უთქვამთ ადამიანებს ალექსანდრა აბრამიძის შესახებ, რომელმაც თითქმის ოცი წელი შეალია სამისამართო ბიუროში მუშაობას. ალექსანდრა კეთილი ღიმილით გიამბობთ ყარაგანდელ მოხუც ქალზე, რომელმაც მისი დახმარებით თავისი დაკარგული ქალიშვილი იპოვნა საქართველოში, დაბა წითელწყაროში.

მარტო წელს სამისამართო ბიურომ 75 ათასზე მეტი ზეპირი და წერილობითი ცნობა გასცა და თვითეულ მათგანზე ღირსეულად დაიმსახურა ჩვენი მადლიერი ადამიანების თბილი, გულწრფელი „გმადლობთ!“

ე. რაზუმოვსკი

**იულიან ზუვიში**
პოლონეთი

## ხალხთა ბაღს ვუმღერ

შუქურ-ვარსკვლავით ნაჭედი ღამე
კავკასიონის ქედებზე დნება
ზაიასავით ანათებს მთვარე,
მოჩანს ზღაპრული ბაღების წყება.

ახლა მე ზეცა არ მხიბლავს, არა,
მის შესაქებად როდი მღერს გული,
მე ვარშაველი პოეტი ვარ და
ხალხთა ბაღს ვუმღერ გახარებული.

აი წიგნს ვფურცლავ, ვივსები ლხენით,
თქვენი დიდება მე ახლა ვიგრძენ!
შოთა რუსთაველს სალამი ჩემი.
დიდი სიმღერის ჭეშმარიტ სიბრძნეს.

ბწკარებში მზეა და ცისარტყელა,
იასამნის და ვარდების ფერი,
დე, აღტაცებით ვიმღეროთ ყველამ,
ჩვენთან იმღერებს ქვეყანა მთელი.

მე მინახიხართ, ძვირფასნო, წინათ ,
შორეულ ლოძში ოცნების თვალით,
თითქოს ნაცნობი ღიმილი ბრწყინავს,
ვარ მეგობრობის ნექტარით მთვრალი.

თუმც საქართველოს ვიცნობდი მანამ
მე ჩიქოვანის ლექსების მადლით,
თბილისელ პოეტს ვადიდებ მარად
და მეგობრობას გულებში ჩაზრდილს.

ძმობა დავლოცეთ ქართული ღვინით
და ვარშავაში შევფიცეთ მტკიცედ,
რაც უნდა იყვეს—ჭირი თუ ლხინი,
ჩვენ გული ერთი საქმისთვის გვიცემს, —

დედამიწაზე სულ იყოს დილა,
ბედნიერების უშრეტი წყარო,
დროშა ძმობისა ცამდე აწვდილა,
გული ნეტარი სიცოცხლით ხარობს.

თარგმანი **შოთა ამირანაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გამოცდილების გაზიარება



საქართველოს ოდითგანვე ახლო კავშირი ჰქონდა ნარინჯოვანი მცენარეების სამშობლოსთან — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტროპიკულ და სუბტროპიკულ ზონებში მდებარე ქვეყნებთან. მაშინდელ საქართველოზე გადიოდა სავაჭრო გზა, რომლითაც დასავლეთის სახელმწიფოები აღმოსავლეთის ქვეყნებს უკავშირდებოდნენ. ამ ქვეყნებიდან მათ, სხვა საქონელთან ერთად, გამოქონდათ ნარინჯოვნებიც (ლიმონი, ფორთოხალი და სხვ.). ეს მცენარეები Ͻოხსენებულია ძველ ქართულ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებში. ძველ საქართველოში ნარინჯოვნები მნიშვნელოვან ეკონომიურ კულტურას წარმოადგენდა, და თუ შემდეგში ნარინჯოვნები საქართველოში შემცირდა, ეს იმით აიხსნება, რომ შემოსეული მტრები ანადგურებდნენ ყველაფერს და მათ შორის ძვირფას მცენარეებსაც. თემურ ლენგისა და შაჰ-აბასის შემოსევებმა საქართველოში სრულიად გააჩანაგეს ვენახები და ბაღები.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს გახდა შესაძლებელი საქართველოში ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების სამრეწველო მასშტაბით განვითარება.

საქართველოს ნარინჯოვნებიდან ლიმონის და მანდარინის ნაყოფები ხარისხით საუკეთესოა მსოფლიოში. 1961 წელს ერფურტის მებაღეობის საერთაშორისო გამოფენაზე მათ ოქროს მედალი და საპატიო პრიზი მიაკუთვნეს.

ქართველი სპეციალისტები, რომლებსაც სუბტროპიკული კულტურების გაშენება-მოვლის დარგში დაგროვილი აქვთ მდიდარი საწარმოო და სამეცნიერო ცოდნა-გამოცდილება, მეგობრულად ეხმარებიან მოძმე სოციალისტური ქვეყნების მეურნეობის ამ დარგის მუშაკებს. ასე, მაგალითად, ქართველმა სპეციალისტებმა შეადგინეს ნარინჯოვანთა მოვლის აგროწესები, რომლებიც გათვალისწინებული იყო ვიეტნამის პირობებისათვის. ასევე პირველად გამოიცა ვიეტნამურ ენაზე წიგნი „ციტრუსები და ჩაი“, რომლის ავტორები არიან ქართველი სპეციალისტები — ირ. ლეკვეიშვილი და თ. კეშელავა. ვიეტნამელ სპეციალისტთა კადრების მომზადებას დიდი ამაგი დასდეს რესპუბლიკის დამსახურებულმა აგრონომმა ა. წულუკიძემ, დოცენტებმა ა. გოგნიაშვილმა და პ. გიგინეიშვილმა და ახალგაზრდა აგრონომმა კ. ჭანტურიამ.

კუბის რესპუბლიკაში ნარინჯოვან მცენარეთა აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარების საქმეში მეორე წელია აქტიურ მონაწილეობას იღებს აგრონომი კ. ბერიძე, ხოლო ა. მახარაძემ, რომელმაც ერთ წელზე მეტი დაჰყო თავისუფლების კუნძულზე, ადგილობრივ სპეციალისტებთან ერთად გამოსცა ბროშურა „ციტრუსოვანი კულტურები კუბაში“. წელს საქართველოდან კუბაში კვლავ გაემგზავრა სოფლის მეურნეობის ახალგაზრდა სპეციალისტების ჯგუფი, რომელიც დაეხმარება კუბელებს უფრო სწრაფი ტემპით განავითარონ ციტრუსოვანი კულტურები.

იუგოსლავიის სოციალისტურ ფედერაციულ რესპუბლიკაში, ადრიატიკის ზღვის ლაჟვარდოვან ნაპირებზე სუბტროპიკული კულტურების შემდგომი განვითარებისა და სამეცნიერო-ტექნიკური დახმარების მიზნით ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა პროფ. მ. დარასელია.

ამას გარდა, ქართველმა სპეციალისტებმა მოიარეს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, სადაც ამ დარგის მეურნეობას მისდევენ — ისინი ყველგან ცდილობდნენ გაეზიარებინათ თავიანთი გამოცდილება და თვითონაც გადმოეღოთ ყოველივე კარგი, რასაც ამ ქვეყნების მეურნეობაში დაინახავდნენ.

ვ. ჟულეისკირი

# ვაზი ეძახის მექანიზატორებს

**ლადო სულაბერიძე**

ვაზი მუდამ ქართველი გლეხის ლხინისა და ჭირის თანაზიარი იყო, ახლაც ასეა და ასე იქნება ალბათ ყოველთვის.

ამ გაზაფხულზე თბილისში ზემოიმერეთიდან ჩამოსულ მევენახეებს შევხვდი. სიტყვა ვაზზე ჩამოვარდა, მათს ნაამბობში ბევრმა რამემ დამაფიქრა. გადავწყვიტე წავსულიყავ და ადგილზე მენახა ვენახებიცა და მათი მომვლელებიც.

მაიაკოვსკისაკენ გავემართე. სოფელ მცირესულორში ერთი ეზოს ჭიშკართან შევჩერდი. მომწყურდა, ეზოში დაუკითხავად შევედი, ჭიდან წყალი ამოვიღე და დავლიე. მალე მასპინძელიც გამოჩნდა. პირხმელი მოხუცი მოკრძალებული სალმით მომეგება და შინ მიმიპატიჟა. უარი ვუთხარი, უდროობა მოვიმიზეზე და ის იყო ჭიშკრიდან უნდა გამოვსულიყავი, რომ თვალი მომტაცა მთელ ეზოზე გადმოფარებულმა ტალავერმა.

გამოვესაუბრე მოხუცს და აი რა მიამბო მან:

...ეს კაცი, გედევანი რომ დაბადებულა, იმავე დღეს მამამისს თუთა და ალადასტურის მორჩები ერთად შეტყუპულად დაურგავს ეზოში. იზრდებოდა თუთა, თუთას კი ალადასტურის ვაზი ეტმასნებოდა.

გედევანს დაოჯახებისთანავე მამის ძველი სახლის გვერდით დაუდგამს ოდა-სახლი. ერთი ერთმანეთზე ახუტებული თუთა და ვაზი ახლა გედევანის სახლის წინ დგანან. თუთა უკვე დიდია. ალადასტურის ვაზი კი ისე შემოხვევია მას, თითქოს ერთურთს შეხორცებიანო. გედევანის ხნისანი არიან ისინი. მან კი ამჟამად სამოცდათექვსმეტ წელს გადააბიჯა.

გაზაფხულზე, როცა ტყემლები და ატმები აფეთქდებიან და ხეთა მომძლავრებული სიმწვანე დაფარავს ეზოს, გზად ჩავლილი მგზავრი ჭიშკარს შემოაღებს, ოწინარს ააჭრიალებს და მერე ალადასტურის ტალავერით გაოცდება.

გედევანს თუთიდან ჭიშკრამდე მავთული გაუჭიმავს. ზედ თუთის რტოებიდან ვაზის ლერწები მიუშვია. გაჰყოლიან ეს ლერწები მავთულებს, გადახლართვიან ერთმანეთს და ახლა მთელი მოლიანი ეზო დაფარულია იმ ერთი ძირი ალადასტურის მწვანე ფოთლებით.

შემოდგომაზე, როცა ალადასტურის შავი, გრძელი მტევნები ჩამოეკიდება შეყვითლებული ფოთლების ქვეშ, ამ ჭასთან ხშირად გაიგონებთ დასასვენებლად შეყოვნებული მგზავრების საუბარს.

— რა ყურძენია!..

— ღმერთების სასმელი ღვინო გამოუდის დალოცვილს.

— ჰო, ჰო, რა ვაზი გადაგვიშენდა!

— ჩემს ახალგაზრდობაში ბევრი იყო აქ ალადასტური. ვანის რაიონი ხომ მაგის ძირითადი საბუდარია იმერეთში.

— მახსოვს, მახსოვს, ვენახებიც ბევრი იყო და მაღლარებიც.

— რავა გადავაშენეთ, ეს დალოცვილი!

— აპა, აპა!

თუთაზე მიტმასნებული მსხვილი ვაზი კი ბერდება და ბერდება. თუმცა ჯერ კიდევ შესწევს ძალღონე და გულუხვად შლის მკლავებს ამ ლამაზ ეზოში. გედევანიც ეფერება. რამდენიმე ახალი ძირიც ჩარგო ღობის გასწვრივ. მაგრამ რა! ერთი რამ აწუხებს გედევანს: ვაჟიშვილი არა ჰყავს, ერთადერთი ქალიშვილი თბილისშია გათხოვილი, სანამ ცოცხალია, მარტოხელა ბერიკაცი ზრუნვას არ მოაკლებს ამ ვაზს, მაგრამ მერე?!

დილით ცვარდაყრილს რომ დაინახავს, ვაზის ცრემლები ჰგონია გედევანს. თითქოს ტირის ბებერი ვაზი: „სად არის ჩემი შთამომავლობა? რატომ არ მესმის მათი შრიალი? კერიაზე ცეცხლი მიქრება, ბერიკაცო, დავბერდი, რამდემდის გავძლებ! შევახმები ამ თუთას და მერე?

ნიავი შეარხევს ვაზის დანამულ ფოთლებს. ცვარი გედევანს დაეპკურება, დანაოჭებულ ლაწვზე დაეცემა და ბერიკაცს ნიკაპამდე ჩაედინება ბებერი ვაზის ცრემლები.

* * *

გამოვემშვიდობე გედევანს. მანქანა მაიაკოვსკისაკენ დაიძრა.

გავცქერი ეზოებში და კოლმეურნეობის მინდვრებზე აბარდულ ვენახებს. შაბიამანშესხურებული ვაზის ფოთლები ლურჯად ელვარებენ.

ვფიქრობ გედევანის ვაზზე, ვფიქრობ და მესმის ობოლი ალადასტურის ჩივილი. ფიქრში სხვა ვაზებიც ამოტივტივდნენ: კრახუნა, ციცქა, ოცხანური საფერავი, შამპანურის ჯიშის ალიგოტე. ნამდვილი იმერული ჯიშის ვაზები. ძალიან იშვიათად თუ გაიგონებთ ახლა ამ ძველთაძველი ვაზების სახელებს.

* * *

ამ ფიქრებში გართულმა ვერც კი შევამჩნიე, როგორ შევედით სოფელ დიმში.

დიანოზ ნემსაძე ხანისწყლის ნაპირზე, ვენახში ვნახეთ. ვენახის ცის გახსნაზე მუშაობდა ბრიგადა.

თვრამეტი წელია, რაც დიანოზი მევენახეობის ბრიგადირად მუშაობს. შარშან ჰექტარზე 87 ცენტნერის ნაცვლად 137 ცენტნერი ყურძენი მიიღო. წელსაც კარგი მოსავალი ჰქონდა.

ვაზის ყადრი კარგად იცის დიანოზმა. ალბათ არც ერთი მცენარე არ არის დედამიწაზე ისეთი ფაქიზი და რთული მოსავლელი, როგორიც ვაზია. მართალია, კაცის ხელს ვაზის მოსავლელად ვერაფერი ვერ შეცვლის, ვერავითარი მანქანა ვერ შეძლებს სამამულე რქის გამორჩევას. მაგრამ არის ზოგი სამუშაო, რომელსაც უეჭველად სჭირდება მანქანებით დახმარება. ჯერჯერობით კი მხოლოდ მიწის დამუშავება აქვთ მექანიზებული. ისიც მარტო ვაკე ადგილებში. აი ეს აწუხებს დიანოზს.

* * *

დიანოზის ეს გულისტკივილი უფრო მეტად ვიგრძენი, როცა ვარციხისა და არგვეთის საბჭოთა მეურნეობებში გამოვიარე.

ვახტანგ ზივზივაძე ვარციხის მეურნეობის ახალი დირექტორია. მეურნეობაში ბევრ მოუგვარებელ საქმეს წაწყდომია და ახლა მისი მთავარი საზრუნავი ამ საქმეების მოწესრიგებაა. მთავარი მაინც ვენახების დამუშავების მექანიზაციაა. ორიოდე ძველი ტრაქტორი საქმეს ველარ აუდის. მიულიათ ბალის ტრაქტორი „ტ-38“, მაგრამ ვენახისათვის ძნელი გამოსაყენებელი ყოფილა. 1965 წლის ბოლოს მეურნეობას 540 ჰექტარი ვენახი ექნება. უმექანიზაციოდ კი ამხელა ფართობის მოვლა ძალიან გაჭირდება.

* * *

არგვეთის მევენახეობის საცდელ-საყრდენი მეურნეობის მთავარი აგრონომი და დირექტორის მოადგილე სოსო ბიბილაშვილიც ასევე დიდი გულისტკივილით მესაუბრა ვენახების დამუშავების მექანიზაციაზე.

არ შეიძლება ამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ გამოცდილი აგრონომის ნათქვამმა არ დაგაფიქროს. სოსოს ბევრჯერ მიუმართავს, სადაც ჯერ არს, ბევრჯერ გამოუთქვამს თავისი საგულისხმო მოსაზრებანი, თბილისშიც გამოსულა საჯაროდ, მაგრამ ყველაფერი ისევ ძველებურად რჩება. ეს კი მეტად საწყენია.

თურმე ტექნიკის გამოცდა ვენახებში ხდება მხოლოდ დიღმის მეურნეობაში. იმერეთში კი ასეთ რამეს არავინ აკეთებს. ლიხს გაღმა, იმერეთში, ნიადაგი ფრიად თავისებურია: ეწერ და შავი ზღვის ტენიან მიწებზე კარგად ვერ მუშაობენ აღმოსავლეთ საქართველოსა და უკრაინის მიწებთან შესადაგებული, მკაცრ კონტინენტურ პირობებში გამოცდილი მანქანები.

იყო ერთი ტრაქტორი „კდ-35“. კარგი მანქანა იყო, ამწევი მექანიზმით და გუთნებით. რატომღაც ამ ტრაქტორების გამოშვება შეწყდა.

მეურნეობას აქვს შესაწამლავი მანქანა „დტ-28“. ეს მანქანა ტრაქტორზე იყო დამონტაჟებული, მაგრამ წნევის მექანიზმი მოიშალა და მისი გაკეთება აღარ ხერხდება. ახლა ძირითადად შესხურებას ხელით აწარმოებენ. მეურნეობა კი მუშახელის ნაკლებობას განიცდის. ამიტომ აქ იძულებული არიან ზესტაფონის ფერომარგანეცის მუშებს მიმართონ. მათი დიდი ნაწილი არგვეთის მიდამოებში ცხოვრობს და მუშაობის შემდეგ ისინი დიდ დახმარებას უწევენ მეურნეობას.

მაგრამ ზურგის საწამლი მანქანებიც უხარისხოა. სოსო დიდ უკმაყოფილებას გამოთქვამს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის სასოფლო-სამეურნეო იარაღების დამამზადებელი ქარხნის მიმართ. მანქანამ დიდი-დიდი ერთ წელიწადს გაძლოს. ეს კი ყოველი ცენტნერი ყურძნის ღირებულებას დიდად აძვირებს.

მექანიზატორები სერიოზულად და დროულად უნდა ჩაუფიქრდნენ ვენახების სამუშაოების მექანიზაციის საკითხებს. ვენახების ფართობები საგრძნობლად დიდდება. უამრავი ახალშენები იმედით გაჰყურებენ მომავალს.

ყური დავუგდოთ გადაშენების გზაზე დამდგარ ძველი ვაზის ჯიშების წუხილს!

მექანიზატორებო, მიეშველეთ ქართველ მევენახეებს!





# კარლო კალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



კარლო კალაძე.
ფოტო პ. ანტოკოლსკისა

## სოფლად

შეუნიშნავთ მუდამ, როცა შინ ვარ,
მით უმეტეს, როცა მარტო ვრჩები —
არ იქნება, რომ სიცოცხლის ჟინმა
არ დააფრთხოს მდუმარება ჩემი!

არ იქნება, ყრუდ არ გამკრას ბრჭყალი,
კალამს თითქოს დახშულ გულში ვუწებ, —
ბწკართან ერთხელ მიწერილი ბწკარი,
თანახმაა წამიშალოს უცებ!

სადლა არის ფხა შემართულ წარბის
და ცეცხლივით მოთამაშე სიტყვა,
გამიწყდება ძაფი ახალ ამბის,
თითქოს უკვე ყველაფერი ითქვა...

მაგრამ არა, მარტო არა მტოვებს
მაინც ქვეყნის ხმა სიცოცხლით სავსე,
სარკმელშიაც კი შემოჰყვა რტოებს
და ჩუმ-ჩუმი რხევით მადგას თავზე.

და მე თუმცა სისხლი მიდუღს, მცივა,
ცივად კაწრავს ფიქრი შუბლის ღარებს...
სანამ ასე, სანამ ასე ვზივარ,
მჯილით სანამ გავაღებდე კარებს!

გამოვდივარ... და თუ ისევ მდუმარ
გზაზე ვინმე წარბშეკრული ვნახე —
თავს მოვიკლავ, მისალმების უმალ
ღიმილით არ გავუნათო სახე!

დამხვდეს — ყველა ჩემიანი ცდილა,
დამდევს ღია სარკმელების მზერა,
ხმას ვიმაღლებთ მე და ჩემი დილა
ჩემი ენა-მზიანობის მჯერა!

ნატამალიც ვერ შემატყონ დარდის,
ვეჩვენები ხოლმე შუქის ფრქვევით, —
განა მართლა ნაფლეთი ვარ ლანდის —
ნაბიჯს თვითონ გავეფინო ქვევით...

სიტყვას ვიტყვი — და ვინ არის განგებ
უგუნებოდ ამარიდოს გული,
ეზო-ეზო მუდამ ესმის გამგებს
ჩემი ოდნავ თვალ-ჩაკრულად თქმული!

სოფელს ვაშა, სოფელს — შრომით გართულს,
ჩემი შრომაც მინდა შრომას ჰგავდეს!
მე ჩემს სიტყვას, მე ჩემს ანბანს ქართულს
პირნახულის ყოველ კვალში დავთეს!

ალტაცება ალტაცებას არ ჰკლავს,
ყოველ სწრაფვას აქვს თავისი ფრთები,
მიწვდნენ ვარსკვლავთმრიცხველები ვარსკვლავს,
მეც ხომ უქრობ გულის სიღრმეს ვწვდები!

როცა რთველით დამთავრდება ჯაფა,
დღეს მარულით დავაღამებ, დოლით!
საწნახელთან როგორც ლხინის პაპა
ჩავუჯდები ჰურს სქელ-ტუჩა დოქით...

სჯა-კამათიც ისე მიყვარს როგორც
ხელჩართული ლხინი, დაირ-ტაში!
გავიხუმრებ... და გლეხების ხორხოცს
იმეორებს დილა მთიდან მთაში!



## ჩემი ბაღი

ჩემს ბაღში მეტი სიცოცხლეა, ვინემ ქალაქის
შუშაბანდებით აჭრელებულ ჩიხში მინახავს, —

ბაღს, აბა, ჩემზე მოყვარული კაცი ვინა ჰყავს,
ერთი მეცა ვარ გმირი მისი იგავ-არაკის!...

ჩემს ბაღში მეტი სიმწიფეა, ჩემს ბაღში ახლა
დახრილ ტოტებქვეშ მომიხდება მეც თავის დახრა,

აქ, ჩრდილი გინდა, ხილი გინდა, ინატრე რაც გსურს,
გინდა ხვალინდელ დღეს მისწვდები და გინდა წარსულს,

გინდა ხეებთან ერთად გასცემ პასუხს დროებას —
მათ ტოტებშია ქარიშხალიც და მყუდროებაც!

წუთები თრთოლვით ფოთლებშორის რარიგ მიჰქრიან —
არა, ჩვენ უფრო მტკივნეულად არ გვიფიქრია, —

და მაინც, ნეტავ უცხო ზამთრით დაზაფრულები,
ჩვენც გვაღვიძებდნენ ასე ჩვენი გაზაფხულები!

ბაღი პატარა კუნჭულია პატარა სოფლის,
მაგრამ ცა მისი საოცნებოდ ყოველთვის მყოფნის.

ქარი ფიქრებში თუ გაერთო, თუ დაიქანცა —
ულრუბლო ტალღებს უდარაჯებს მაღალი ანძა,

და მე არ მინდა ყურდახშული ვეგონო ვისმე:
მრუდსა და მართალს მიწის ყოველ კუთხიდან ვისმენ.

ზღვაც ხომ აქვეა, ცის კიდემდე მიდის და მოდის,
ვიცი მზისფერი როდის დაჰკრავს, ცისფერი როდის...

ჩემსავით ისიც მხოლოდ ღელვამ გააჭაღარა —
ვერ ამოხვეტა გულის ჯავრი, ვერ გადაჰყარა!...

ჩემს ბაღში მეტი სილაღეა დღისა და ღამის
დიდი სურათი გადავწერო ერთბაშად ლამის!

რაა, თუ შუბლი ღამის ცვარმა არ დამისველა,
ჩემს ბაღში თუ არ შევამჩნიე ვარსკვლავთა ცვენა!

ყოველი დილა ისე უნდა ალაპარაკდეს,
რომ ჩემი ფართოდ გახელილი თვალი არ აკლდეს!

სიცოცხლეს ჩემსას მხოლოდ მაშინ მივესალმები,
შრიალით როცა ამისწრებენ ცაში ალვები,

როცა ასცდება იმათ მკლავებს მზე ალმაცერი —
ბაღს, ჩვეულებრივ, ჩემი ლანდიც შეემატება,

და ჩემს დღეებთან მე აქ მიყვარს შეკამათება,
აქაა ჩემი საკალმასო, ჩემი საწერი...



## პატარა ჩიტი

ისე პატარა არის ეს ჩიტი.
ისე პატარა, რომ — დიდი, დიდი —
ერთი შებერვა ბუმბული ჰქონდეს,
ვაჰ, თუ სახელიც არ მომაგონდეს —
თითისხელაა თუ არათითის!
ისე პატარა არის ეს ჩიტი,
ისე ჩუმ-ჩუმი და სასაცილო,
უყურე, თვალი არ ააცილო,
ყოფილა მაცდურ წუთივით ცქვიტი!

ნეტავ სად იყო, ნეტავ, სად არა,
თითქოს ესაა — გაექცა მდევარს,
მაგრამ როგორც კი დამინადარა
შემოაფრინდა ჩხავერის მტევანს,
ისე მკვირცხლი და ისე პატარა,
ვინ არი, იმის თქმაც არ მაცალა, —
თვალს ალალბედად აქ რომ შეასწრებ —
უკვე იქ არი, უკვე აქ არა,
ჩემი სტუმარი, ჩიტი ნაცარა...

სკვინჩაა ალბათ, ალბათ მესკია
და არა ვინმე სვავი, არწივი,
ყურძენი რაა, ყურძენს არ ვჩივი,
დაჰკრას ნისკარტი, დააცალცალოს,
წინ უდევს კიდეც როგორც არჩივი,
დაჰკრავს და ნისკარტს ასწევს ყანწივით
რომ ერთი წვეთი ღვინო დასცალოს!...
...ჩხიკვო ზაქარა, დიდება შენდა,
შენი სუფრა და სმა გამახსენდა!



# მიოკარდის ინფარქტი

პროფ. გ. მათეშვილი,
მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

უკანასკნელი წლების მანძილზე გაუმჯობესდა ინფარქტის ამოცნობის მეთოდები და ამასთან წარმოებს წარსულთან შედარებით გაცილებით ზუსტი რეგისტრაცია და აღრიცხვა ავადმყოფებისა, დიდად წინ წავიდა ამ სენთან ბრძოლის საქმეც.

როგორ წარმოიშობა ეს ავადმყოფობა?

გულის კუნთის ანუ მიოკარდის ინფარქტი ჩნდება მაშინ, როდესაც იმ არტერიებში, რომლებიც კვებავენ გულის კუნთს და რომელთაც გვირგვინოვან არტერიებს უწოდებენ — მოიშლება სისხლის მიმოქცევა.

ჩვეულებრივად, მიოკარდის ინფარქტი ვითარდება როგორც გართულება ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიის, ანგიონევროზის და სხვა დაავადებებისა.

გულის კუნთის ინფარქტის უშუალო მიზეზი, უმეტეს შემთხვევაში, არის გვირგვინოვანი არტერიის რომელიმე ტოტის დახშობა სისხლის კოლტით (თრომბით), ან ამ არტერიების ძლიერი რეაქცია გულის გაძლიერებულ მუშაობაზე ფიზიკური დატვირთვის დროს; ამას გარდა, მიზეზი შეიძლება იყოს მიოკარდის ჟანგბადით არასაკმარისი მომარაგება იმის გამო, რომ გვირგვინოვანი არტერიის ესა თუ ის ტოტი მკვეთრად არის შევიწროებული (ათეროსკლეროზული პროცესი).

მიოკარდის ინფარქტი ვითარდება აგრეთვე სისხლის წნევის უეცარი და ძლიერი აწევის გამო ე. წ. ჰიპერტონული კრიზისის დროს. ასეთ შემთხვევაში კატასტროფის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ყოველგვარი საშუალების დაუყოვნებლივ ხმარება სისხლის წნევის დასაქვეითებლად.

მიოკარდის ინფარქტი ავადმყოფებს უმეტეს შემთხვევაში უვითარდებათ ღამით, როცა მაჯა და სისხლის მიმოქცევა შენელებულია, ხოლო გულის გვირგვინოვანი არტერიები შედარებით შევიწროებული. ეს მომენტები, ზოგიერთ სხვა დამატებით ფაქტორთან ერთად (სისხლის შედედებისა და წებოვნების მომატება, პროთრომბინის მაღალი დონე სისხლში) ხელს უწყობს სისხლის კოლტის გაჩენას გულის გვირგვინოვანი არტერიების რომელიმე ტოტში, რასაც ამ ტოტის დახშობა და მერე კი გულის კუნთის ინფარქტის განვითარება მოჰყვება.

ინფარქტით შეიძლება ავად გახდნენ სრულიად საღი გვირგვინოვანი არტერიის მქონე ადამიანებიც, თუ ეს არტერიები ძლიერი ნერვიული გავლენის გამო საათობით იქნება შევიწროვებული (სპაზმი). ინფარქტის ეს იშვიათი შემთხვევები უფრო ხშირად გვხვდება ადვილად აგზნებადი ნერვიული სისტემის მქონე ახალგაზრდებს შორის, უფრო იშვიათად ხანშიშესულებში. ზოგჯერ ამ ავადმყოფობას იწვევს საჭმლის, სითხის, მათ შორის მაგარი სასმელების დიდი რაოდენობით მიღება; ეს განსაკუთრებით ეხება მათ, ვინც ჰიპერტონიული დაავადებით არიან შეპყრობილი.

მიოკარდის ინფარქტის მთავარ ნიშანს წარმოადგენს სასტიკი ტკივილი გულის არეში, უფრო ხშირად მკერდის ძვლის უკან. ტკივილი ვრცელდება გულის მთელ მიდამოზე, ზოგჯერ კისერზე, ქვედა ყბაზე და გადადის მარცხენა მხარზე, ბეჭში, იდაყვში, თითებში, იშვიათად მარჯვენა ხელში. ამასთანავე ავადმყოფები განიცდიან ძლიერი შიშის გრძნობას.

ზოგჯერ ინფარქტის დროს ტკივილები ჩნდება არა გულის მიდამოში, არამედ გულის კოვზთან, კუჭის მიდამოში; მას ზედ ერთვის გულის რევა და პირსაქმება (ინფარქტების გასტროლგიური ფორმა); ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ დასვამენ ხოლმე მწვავე გასტრიტის ან ნაღვლის კენჭოვანი დაავადების შეტევის მცდარ დიაგნოზს.

ტკივილებს ინფარქტის დროს შეიძლება მოჰყვეს გულსისხლძარღვთა მწვავე ნაკლოვანების განვითარება, ე. წ. კოლაფსი. ამიტომ საჭიროა მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები ტკივილების სრული მოსპობისათვის. ამ მიზნით დაუყოვნებლივ უნდა მივცეთ ავადმყოფს ნიტროგლიცერინი ენის ქვეშ, დავადოთ სათბური გულის მიდამოზე, მარცხენა ხელი ჩავაყოფინოთ ცხელ წყალში. თუ ტკივილი არ მოისპო, ავადმყოფს უნდა გავუკეთოთ კანქვეშ პანტოპონი, მორფიუმი, ან პრომედოლი კოფეინთან და ატროპინთან ერთად, რომელთა დოზები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა განსაზღვროს გამოცდილმა ექიმმა. ავადმყოფის მდგომარეობას ამსუბუქებს წურბელების მოკიდებაც, აგრეთვე მდოგვის დადება გულის მიდამოში, ან ბეჭების შუა არეში.

მწვავე ტკივილების შეგრძნობას გულის მიდამოში მალე სპობს ჟანგბადის ბალიშის საშუალებით აზოტის ქვეჟანგისა და ჟანგბადის თანაბარი ნაერთის შესუნთქვაც 15-20 წუთის განმავლობაში.

ხანდაზმულ ასაკში ზოგჯერ მიოკარდის ინფარქტი მიმდინარეობს ტკივილების გარეშე და გამოვლინდება უეცრად განვითარებული გულის ნაკლოვანების სახით. თუ ეს ნაკლოვანება და ქოშინის შეტევა განვითარდა რაიმე თვალსაჩინო მიზეზების გარეშე ე. ი. ფიზიკური გადაღლისა და ჩვეულებრივი რეჟიმის უხეშად დარღვევების გარეშე, მაშინ შეიძლება საქმე გვაქვს მიოკარდის ინფარქტის უტკივილო ე. წ. მუნჯ ფორმასთან. ასეთ შემთხვევაში სწორი დიაგნოზის დასმაში დაგვეხმარება ტემპერატურის გაზომვა, იმის შეტყობა აქვს თუ არა ავადმყოფს ლეიკოციტოზი, აჩქარებული ერითროციტების დალექვის რეაქცია და ელექტროკარდიოგრამის დამახასიათებელი ცვლილებები.

ინფარქტის ადგილზე შეხორცების ანუ ნაწიბურის გაჩენის პერიოდი გრძელდება დაახლოებით ერთ თვეს. ამ ხნის განმავლობაში ავადმყოფი აბსოლუტურად მოსვენებული უნდა იყოს და მუდამ უნდა იწვეს. ამასთან, იგი აუცილებლად უნდა იცავდეს დიეტას. საჭმელს მას უნდა ვაძლევდეთ მცირე ულუფებით და ხშირ-ხშირად. ინფარქტიან ავადმყოფებს პირველ დღეებში ხშირად მუცლის შებერილობა აწუხებთ. ამიტომ მათ არ უნდა დავაძალოთ საჭმლის ჩვეულებრივი რაოდენობით მიღება, მითუმეტეს, რომ ინფარქტის პირველ დღეებში მადა მათ დაქვეითებული აქვთ. ავადმყოფი დღეში ხუთ-ექვსჯერ უნდა სჭამდეს, არა უმეტეს 100-150 გრამისა ერთ ჯერზე. უნდა ვერიდოთ ისეთ საჭმელებს, რომლებიც გამოიწვევენ მუცლის შებერილობას. ასეთებია — კომბოსტო, კარტოფილი, მუხუდო, ლობიო, რძე, ტკბილეულობა, გაზიანი წყლები. სასარგებლოა ახალი ხაჭო, კვერცხის ცილა (ომლეტი), მდინარის თევზი, მანის ბურღული, ბრინჯის, აგრეთვე შვრიისა და სიმინდისაგან (ჰერკულესი) დამზადებული თხელი ფაფები, ახალი უმარილო ყველი, კომპოტი, კისელი (ძალიან ტკბილი არა), მაწონი, კეფირი; ჩაის მაგივრად ავადმყოფს უნდა დავალევინოთ ასკილის ნაყენი, არ შეიძლება მივცეთ მას ყავა, კაკაო ან შოკოლადი.

საერთოდ, ინფარქტით დაავადებულის მკურნალობა ავადმყოფის ბინაზე დაკავშირებულია მრავალ სიძნელესთან; აქ ხომ აუცილებელია ექიმის შეუნელებელი და მუდმივი ყურადღება, ამასთან ავადმყოფს კვალიფიციური მოვლა სჭირდება. ამისათვის კი საშუალო და უმცროსი მედპერსონალია საჭირო. ყოველივე ამის გამო ავადმყოფი დაუყოვნებლივ უნდა გადავიყვანოთ სამკურნალო დაწესებულებაში, თუ მისი საერთო მდგომარეობა ამ გადაყვანის შესაძლებლობას მოგვცემს.

უკვე დადგენილია, რომ სიკვდილიანობა გაცილებით ნაკლებია იმ ინფარქტიან ავადმყოფთა შორის, რომლებსაც საავადმყოფოში მკურნალობენ.

როცა ადამიანს გულის მიდამოში მწვავე ტკივილები დაეწყება ხოლმე — მაშინვე წამოიჭრება კითხვა: რა არის ეს, რომელი ავადმყოფობაა — სტენოკარდიის შეტევა თუ მიოკარდის ინფარქტი?

ეს რომ ზუსტად დავადგინოთ, ამისათვის აი რა უნდა ვიცოდეთ.

ინფარქტის დროს ტკივილი გრძელდება საათობით, ზოგჯერ რამდენიმე დღე. სტენოკარდიის დროს კი ტკივილი რამდენიმე წუთის შემდეგ გაივლის ხოლმე. ინფარქტის დროს ნიტროგლიცერინის მიცემა ენის ქვეშ — უშედეგოა, სტენოკარდიის დროს კი იგი ტკივილს აყუჩებს 3-5 წუთის შემდეგ. ინფარქტით ავადმყოფს ხშირი და სუსტი მაჯა აქვს, დაცემული აქვს არტერიული წნევა, სტენოკარდიის დროს კი მაჯისცემა ნორმალურია, ჩვეულებრივი სიხშირისაა, არტერიული წნევაც ნორმალურია, ან ოდნავ მომატებული.

როდის შეიძლება მივცეთ ინფარქტიან ავადმყოფს ლოგინიდან ადგომის უფლება? აქ ასეთი წესია შემუშავებული: პირველი თვის განმავლობაში ავადმყოფი უმოძრაოდ უნდა იწვეს; ამ მწვავე პერიოდის გავლის შემდეგ ავადმყოფს შეიძლება მივცეთ კიდურების მოძრაობის უფლება. მეხუთე კვირაზე შეიძლება იგი გადაბრუნდეს მარჯვენა გვერდზე; სასარგებლო იქნება თუ ღრმად ისუნთქებს. მეექვსე კვირაზე შეიძლება წამოჯდეს ლოგინზე, ჩამოუშვას ფეხები დაბლა. მეშვიდე კვირაზე შეიძლება დადგეს ფეხზე, მომდევნო დღეებში კი ფრთხილად დაიწყოს სიარული ოთახში. დაავადების სიმძიმის მიხედვით ეს ვადები შეიძლება შეიცვალოს.

მიმდინარე წლის თებერვალში ლენინგრადში მოეწყო კარდიოლოგთა საკავშირო საზოგადოების პირველი დამფუძნებელი კონფერენცია, რომელზედაც ხაზგასმით აღინიშნა, რომ მიოკარდის ინფარქტის მკურნალობისა და პროფილაქტიკის საკითხების წარმატებით გადაწყვეტა თანამედროვე მედიცინის გადაუდებელ და უაღრესად აქტუალურ ამოცანას წარმოადგენს.

რას გულისხმობს ინფარქტის პროფილაქტიკა? არსებითად ეს არის ათეროსკლეროზისა და ჰიპერტონიული დაავადების პროფილაქტიკა. ჰიპერტონიით დაავადებულთა მკურნალობა განსაკუთრებით უნდა გავაძლიეროთ გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ვინაიდან სწორედ ამ დროს ხშირდება ჰიპერტონიული კრიზები , სტენოკარდიის შეტევებითა და ინფარქტებით.

ამას გარდა, პროფილაქტიკა მოითხოვს მეტ მოძრაობას, ადამიანი უნდა ერიდოს ნერვულ გადაძაბვას და ყოველგვარ გადაქანცვას. დიდი მნიშვნელობა აქვს კვების მოწესრიგებას: ადამიანი, რომელსაც მიდრეკილება აქვს ინფარქტისადმი, უნდა ერიდოს ერბოს, კარაქს და მათ ნაცვლად ხმარობდეს მცენარეულ ცხიმებს — სიმინდის, მზესუმზირას, სოიას, არახისის ზეთს, რომელიც შეიცავს განსაკუთრებულ ნივთიერებებს (ტოკოფეროლები, ბეტასიტოსტეროლები) და აფერხებს ათეროსკლეროზის განვითარებას. ავადმყოფს უნდა ვურჩიოთ ჭამოს ბოსტნეული და ხილი, თვალყური ადევნოს თავის წონას და ერიდოს სიმსუქნეს.

ნერვული სიმშვიდე, ზრდილობიანი მოპყრობა ერთიმეორისადმი, გონებრივი მუშაობის ნორმალიზაცია, ღრმა, მშვიდი და საკმარისი (რვა საათი) ძილი — ის ფაქტორებია, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვთ ათეროსკლეროზის, ჰიპერტონიული დაავადებისა და მიოკარდის ინფარქტის პროფილაქტიკის დროს. ნორმალური ძილი იცავს ნერვულ სისტემას გამოფიტვისაგან, აღადგენს მის ნორმალურ მოქმედებას.

დილის გამამხნევებელი ვარჯიში, სპორტის ესა თუ ის სახეობა, ყოველდღიური გასეირნება სუფთა ჰაერზე, მსუბუქი მუშაობა ბოსტანში დიდად აუმჯობესებს ჟანგბადის შეთვისებას, აწესრიგებს ნივთიერებათა ნორმალურ ცვლას, ავარჯიშებს გულსისხლძარღვთა სისტემას, ხელს უწყობს ხალისიანი გუნებგანწყობისა და მხნეობის შენარჩუნებას; სიცოცხლის გახანგრძლივებას; ჰიპერტონიით დაავადების, ათეროსკლეროზის, სტენოკარდიისა და მიოკარდის ინფარქტის პროფილაქტიკა უკრძალავს ავადმყოფს მოსწიოს თამბაქო; ამას გარდა, ავადმყოფმა ხელი უნდა აიღოს მაგარ სასმელებზეც, ვინაიდან ალკოჰოლის სისტემატური მიღება (ეს განსაკუთრებით ეხება მათ, ვისაც პროფესიის მიხედვით ნაკლებად უხდებათ მოძრაობა) უარყოფითად მოქმედებს უმაღლეს ნერვულ სისტემაზე, ხელს უწყობს გულის კუნთისა და ღვიძლის ცხიმოვან გადაგვარებას.

სად უნდა დაისვენონ სტენოკარდიით დაავადებულებმა და მიოკარდის ინფარქტგადატანილმა ავადმყოფებმა? ზაფხულში მათ შეიძლება იმკურნალონ ისეთ კურორტებზე, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 500-600 მეტრს არ აღემატება. წლის დანარჩენ დროში კი მათ უნდა აირჩიონ დაბლობი ადგილები და ზღვის სანაპიროები.

თუმცა მიოკარდის ინფარქტი მძიმე დაავადებაა, მაგრამ წესიერი და გულმოდგინე მკურნალობისა და მოვლის შედეგად დაახლოებით ექვსი თვის განმავლობაში იმ რეჟიმის ზუსტად დაცვით, რომელიც საჭიროა მათი სრული გამოჯანმრთელებისათვის, ავადმყოფები ხშირად აღიდგენენ ხოლმე ჯანმრთელობას და სრულიად შრომისუნარიანი ხდებიან. ჩვენ ვიცნობთ მრავალ ავადმყოფს, რომლებიც ინფარქტის გადატანის შემდეგ 15-20 და უფრო მეტი წლის განმავლობაში საზოგადოების აქტიური, სრულიად შრომისუნარიანი წევრები არიან.

ზემოხსენებული რჩევა-დარიგებების ცხოვრებაში განხორციელების გზით შეიძლება მნიშვნელოვნად შევამციროთ როგორც ათეროსკლეროზი, ისე ჰიპერტონიული დაავადება და სტენოკარდია, ამის შედეგად კი მიოკარდის ინფარქტიც. ამით მოგვეცემა საშუალება მივაღწიოთ ხანდაზმულ ასაკს ისე, რომ აღნიშნული დაავადებანი არ აზიანებდეს ჩვენს ჯანმრთელობას, შევქმნათ სრულიად რეალური პირობები და იმის შესაძლებლობა, რომ, როგორც ვ. მაიაკოვსკი ამბობდა, „ას წლამდე ვიზრდებოდეთ ჩვენ უბერებლად“.



ფოტო მ. კვირიკაშვილისა

# მოვუაროთ ჩვენს ნაკრძალებს

მდიდარი და მრავალფეროვანია საქართველოს ბუნება, კიდევ უფრო მდიდარია მისი ნაკრძალები, რომელთა საერთო ფართობი 70 ათას ჰექტარს აღემატება. საქართველოში ცამეტი ნაკრძალია. ისინი მდებარეობენ რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეში და ასახავენ მისი ბუნების მრავალსახეობასა და ნაირფეროვნებას. ეს ნაკრძალები დიდ მეცნიერულ ინტერესს იწვევენ. მათი შესწავლა შუქს მოფენს სატყეო და სამონადირეო მეურნეობის სწორად წარმართვის მრავალ მნიშვნელოვან საკითხს და დიდად დაგვეხმარება როგორც მცენარეული საფარველის განაწილების რთული კანონზომიერების, ისე ფლორისა და ფაუნის ცალკეული წარმომადგენლების ბიო-ეკოლოგიური თვისებების გარკვევის დროს.

კახეთში, შირაქის ზეგანზე მდებარეობს უნიკალური ნაკრძალი „ვაშლოვანი" (6000 ჰექტარი). ეს ნაკრძალი ცნობილია მეტად ორიგინალური სახეობის მცენარეულობით, ე. წ. წიწვიანი და ფოთლოვანი ჯიშების არიდული ანუ მეჩხერი ტყეებით, რომლებიც ხარობენ უცნაური, შეიძლება ითქვას, ფანტასტიკური, ეროზიული რელიეფის მქონე ადგილებზე. ეს ადგილები გვაგონებს აფრიკულ სავანებს. მისი ბინადარია გარეული ღორი, კურდღელი, აგრეთვე აფთარი, რომელსაც საქართველოში სხვაგან ვეღარ შეხვდებით.

ასევეა აჭარაშიც, სადაც ქობულეთის ახლოს მდებარე ნაკრძალი „კინტრიში" (6000 ჰექტარი) დაფარულია ხშირი და დაბურული ტყეებით. ამ ნაკრძალში გვხვდება ისეთი მცენარეები, რომლებიც მთელს მსოფლიოში მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ხარობენ (მედვედევის არყი, პონტოს მუხა, ხისმაგვარი წყავი და სხვ.); ასეთი მაგალითის მოყვანა კიდევ ბევრი შეიძლება. მაგრამ ამჟამად ჩვენი მიზანი ნაკრძალების აღწერა კი არ არის, არამედ იმის გარკვევა, თუ როგორ არის დაყენებული მათი დაცვის საქმე და როგორ მიმდინარეობს იქ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა.

ყოველ ნაკრძალს ჰყავს მცველები ანუ ეგერები, ჰყავს დირექტორიც, მეტყევეც, ბუღალტერიც და ერთიდან სამამდე მეცნიერი მუშაკიც.

ჯერ ერთი, გაუგებარია, რას აკეთებს მეტყევე თუ ნაკრძალიდან ხე-ტყის გატანა აკრძალულია, თუ არ წარმოებს ტყის ჭრა და დამუშავების სხვა ღონისძიებები, მითუმეტეს, რომ დირექტორებიც და მეცნიერი მუშაკებიც სპეციალობით თვითონ არიან მეტყევეები.

მეორე, რა საქმიანობას ეწევიან ნაკრძალში მეცნიერი მუშაკები? თემა თითქმის ყოველ მათგანს აქვს, მაგრამ როგორ ასრულებენ ამ თემებს? ვინ უწევს მათ კონტროლს? ვინ სინჯავს დამთავრებულ მეცნიერულ ანგარიშებს? არავინ.

ამჟამად საქართველოს ნაკრძალების 80-ზე მეტი მუშაკი აკეთებს იმას, რაც მათ მოესურვებათ და თავიანთი მუშაობის შესახებ სამეცნიერო საბჭოს არავითარ ანგარიშს არ აბარებენ.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა ნაკრძალებში აუცილებელია, მაგრამ იგი უნდა წარმოებდეს სათანადო წესების დაცვით. არის მთელი რიგი აქტუალური საკითხები, რომლებიც პირველ რიგში უნდა იქნას შესწავლილი. ამ საკითხების გადაწყვეტა დიდად შეუწყობს ხელს სატყეო და სამონადირეო მეურნეობის განვითარებას. 1961 წლის 17 იანვარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე წარმოთქმულ თავის სიტყვაში ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა აღნიშნა, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ნამდვილ მეცნიერულ დაკვირვებასა და კვლევა-ძიებას ნაკრძალების ტერიტორიაზე.

დამთავრებული სამეცნიერო თემის ანგარიშგება უნდა ტარდებოდეს იმ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს წინაშე, რომლის პროფილის მიხედვითაც ტარდება გამოკვლევა ე. ი. ზოოლოგიის, ბოტანიკის, სატყეო და სხვა ინსტიტუტებში.

სატყეო და სამონადირეო მეურნეობის მთავარი სამმართველო ნაკლებად აქცევს ყურადღებას არა მარტო ნაკრძალებში წარმოებულ სამეცნიერო-კვლევით მუშაობას, არამედ სამონადირეო მეურნეობების ორგანიზაციასაც. საერთოდ ნაკრძალი და სამონადირეო მეურნეობა არ უნდა ავურიოთ ერთმანეთში. ნაკრძალებისაგან განსხვავებით სამონადირეო მეურნეობა შეიძლება შეიქმნას თითქმის ყველა სატყეო მეურნეობასთან. ნაკრძალებში კი, როგორც წესი, მინიმუმამდეა დაყვანილი ადამიანის ჩარევა ბუნებრივად მიმდინარე პროცესებში. ადამიანი მხოლოდ სწავლობს მცენარეთა და ცხოველთა ბიოლოგიასა და ეკოლოგიას, ფლორისა და ფაუნის წარმომადგენელთა შორის არსებულ რთულ ურთიერთდამოკიდებულებას იმ მიზნით, რომ მიღებული მონაცემები გადაიტანოს და გამოიყენოს სატყეო და სამონადირეო მეურნეობების შემდგომი განვითარებისათვის.

ბევრს რატომღაც ჰგონია, თითქოს სატყეო მეურნეობა ის ტერიტორიაა, სადაც ტყე და მისი ფაუნის ბინადარნი უმოწყალოდ უნდა განადგურდეს. ეს მეტად მცდარი შეხედულებაა. სატყეო მეურნეობა ტყესთან ერთად უნდა უფრთხილდებოდეს, ამრავლებდეს ნადირს; ამის შემდეგ უნდა იწყებოდეს დამზადებაც, რაც სახელმწიფოს მისცემს ხორცის, ტყავისა და ბეწვეულის დამატებით რეზერვებს. ამ მხრივ სამონადირეო მეურნეობის სამმართველომ ძალიან ცოტა რამ გააკეთა. უფრო მეტიც, იგი სრულიად უსაფუძვლოდ იძლევა იმის რწმუნებას, თითქოს რესპუბლიკაში საკმაოდ მომრავლებული იყოს ყველა სახის სარეწაო ნადირი და ამის პარალელურად ნაკრძალებში ტყის გაჩეხვისა და ცხოველთა დახოცვის ნებართვებს იძლევა. ასეთი მდგომარეობაა შექმნილი, მაგალითად, რიწისა და ლაგოდეხის ნაკრძალებში. რა თქმა უნდა, ცხოველთა დახოცვაზე ნებართვების გაცემა მეტად ადვილია, მაგრამ აი, მოშენება არც ისე იოლი საქმეა.

სავალალოდაა ჩვენში ნადირ-ფრინველის ფართო მასშტაბით მომრავლების საქმე, პირიქით მათი რაოდენობა ხშირ შემთხვევაში მცირდება და ლამის მოისპოს კიდეც (ჯეირანი, ხოხობი, წავი და სხვ.). მაგალითად, იგივე ხოხობის ელემენტარული ბიოეკოლოგიურ მოთხოვნილებათა უცოდინარობის გამო სამონადირეო სამმართველო ცდილობდა მის მომრავლებას იქ, სადაც იგი არ შეიძლება მოშენებულიყო ვოლიერის პირობებში (საგურამოს ნაკრძალი).

ამგვარად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო და სამონადირეო მეურნეობის სამმართველომ რაც შეიძლება მალე უნდა მოაწესრიგოს ნაკრძალების დაცვა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, მოაწყოს რესპუბლიკის ბევრ სატყეო მეურნეობაში შესაბამისი საჩვენებელი სამონადირეო მეურნეობები.

ნაკრძალებში სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს ერთდროულად უნდა აწარმოებდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის დაინტერესებული ინსტიტუტებიც, როგორიცაა ზოოლოგიის, ბოტანიკის, სატყეო და სხვა ინსტიტუტები, რომლებისთვისაც ნაკრძალები უნდა წარმოადგენდეს არა მარტო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, არამედ სტუდენტთა აღზრდისა და პრაქტიკული მომზადების ბაზას.

ჩვენი სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის, ჩვენი მომავალი თაობების კეთილდღეობისათვის უნდა მოვუაროთ, დავიცვათ და შევინარჩუნოთ ჩვენი ნაკრძალები და ნადირ-ფრინველები ისე, რომ ჩვენმა შთამომავლობამ მადლიერების გრძნობით მოგვიხსენიოს. ეს მართლაც დიდი და საშვილიშვილო საქმეა.

ლ. მახათაძე
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.
ქ. მამისაშვილი
ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი





ეროვნული
ბიბლიოთეკა



# ცხოვრება იწყებოდა ქარიშხლით

ამირან კუსრაშვილი

მოთხრობა

მხატვარი [illegible]

„ცხოვრება იწყებოდა ქარიშხლით" პირველი თავია ამავე სახელწოდების ვრცელი მოთხრობისა; მასში ასახულია ცხოვრება პატარა ქართველი ბიჭისა, რომელიც ნორჩ ასაკშივე ფრონტის ზონაში მოხვდა და ომი მისთვის ბიოგრაფიად იქცა. ჩვენში მრავალი მოთხრობა დაიწერა პატარა ბიჭებზე, რომლებმაც ზურგში განიცადეს ომის წლების მთელი სიმძიმე. აქ კი, ავტორი მოგვითხრობს ქართველი ოფიცრის შვილზე, რომლის ბავშვობა დამთავრდა იმ წუთებში, როცა ომის პირველმა ქვემეხებმა დაიგრიალეს.

რედ.

პოლკოვნიკი ალექსანდრე მარჯანიძე მოულოდნელად დაბრუნდა შვებულებიდან. ალექსი ბერიოზკინი, ზორბა, მხარბეჭში ფართოდ გაშლილი ჯარისკაცი იმ დღეს ქალაქში უნებართვოდ წასვლისათვის დასჯილი იყო და რიგგარეშე იდგა საგუშაგოზე შლაგბაუმთან.

დალახვროს ღმერთმა, კაცს რომ იღბალი არ ექნება, თორემ რაღა სწორედ დღეს მოუნდა პოლკის უფროსსაც ჩამოსვლა! პოლკოვნიკი კეთილი გულის კაცია, მაგრამ ყველაფერს ხომ აქვს საზღვარი. მერე და ეს განა პირველი შემთხვევაა ალექსისათვის? კვირა ისე არ გავა, საგუშაგოზე რიგგარეშე არ უკრან თავი. ტანიას კი რომ ჰკითხო, ქვის გული გაქვს ალიოშენკა, ერთ წუთს ზედმეტს არ ჩერდები ჩემთანო. აი, ჩააყუდებენ ახლა მის ალიოშენკას და ნახავს როგორც გაუნათებენ ამ ღამეს წუხანდელი ვარსკვლავები!.. ნეტა ამ ჭირიან ვასიას მაინც რა ეშმაკი შეუჩნდა? ასე რომ იბლინძება, ვითომ მე რა, მამა აბრამის ბატკანი ვარო?

ალექსიმ გულგრილად გახედა მწითურ ვასიას, რომელსაც თავი კაბინიდან გამოეყო, ჭრიატა თვალები წამოეჭყიტა და ჩხაოდა:

— შენ ეი, პირი რომ დაგიღია, ვეღარ გვიცანი? ახსენი-მეთქი შლაგბაუმი!

პოლკოვნიკი ძარადან გადმოხტა, კაბინაში ახალგაზრდა ქალის მუხლებზე წამოსკუპებულ გოგონას ღიმილით თითი დაუქნია და აუჩქარებელი ნაბიჯით ალექსისაკენ წამოვიდა. ბერიოზკინს უკვე მოესწრო შლაგბაუმის ახსნა და ახლა გაჭიმული იდგა ბოძთან.

— გამარჯობა, ბერიოზკინ! რახა იქ, როგორა ხართ?

ბერიოზკინი პოლკის საუკეთესო მომღერალი იყო და პოლკოვნიკი კარგად იცნობდა მას.

— გმადლობთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, — წვრილი, ბასრი კბილები გამოაჩინა ალექსიმ, — ყველაფერი რიგზეა.

მარჯანიძემ ქუდი კეფაზე გადაიწია, ცერები ქამარში გაირჭო და ისე გახედა შლაგბაუმის უკან ამართულ ტყეს, თითქოს სურდა საკუთარი თვალით დაენახა, ნამდვილად რიგზე იყო თუ არა იქ ყველაფერი. იგი სულ ახლოს იდგა ბერიოზკინთან, საშუალო ტანის მკვრივად ჩასხმული, მხარბეჭიანი და მისი მზერიოზკინთან დაკრული ვაჟკაცური სახე ვერ მალავდა პოლკში დაბრუნებით გამოწვეულ ჩუმ სიხარულს. „მგონი, გადავრჩი!" — გულზე მოეშვა ალექსის და პოლკოვნიკი უფრო მეტად შინაურ და ახლობელ კაცად მოეჩვენა. მაგრამ მარჯანიძემ ქამრიდან ცერები ამოიღო, ხალათი გაისწორა და ბოძთან გარინდებულ ჯარისკაცს ალმაცერად მოხედა.

— დღეს რაო, თქვენი ასეული მორიგეობს?.. თუ ისევ რიგგარეშე დგეხარ აქ?

ჯარისკაცმა უხერხულად მოინაცვლა ფეხი. გარუჯულ ყვრიმალებზე წითელი ლაქები დაასხდა.

— ყველაფერი გასაგებია — ჩაიცინა მარჯანიძემ, — მაშ დასჯილი ხარ, ჰა?.. ვასია! — მიუბრუნდა შოფერს მარჯანიძე, — თქვენ წადით, მე ფეხით წამოვალ.

— მამა, მე შენთან დავრჩები! — წამოიძახა ძარაში მჯდომმა თხუთმეტთექვსმეტი წლის ბიჭმა და ციყვივით გადმოხტა გზაზე.

ვასიამ მანქანა მომართა, ისევ გამოყო კაბინიდან თავი და იჭედნურად ჩაიქირქილა:

— ეჰ, ძამიავ, რა გამოგასწორებს, შეუგნებელი ელემენტი ხარ! — და გრიალით დასძრა მანქანა.

ბერიოზკინმა თვალი გააყოლა გზაზე ავარდნილ მტვრის ბუქს, მერე ქვეშქვეშ ახედა პოლკოვნიკს და თავჩაღუნული გულმოდგინედ დააკვირდა საკუთარი ჩექმების ცხვირებს.

მარჯანიძის დამცინავ მზერაში ავისმომასწავებელი ნაპერწკლები ელავდნენ.

— რატომ სჩადიხარ ამას, ბერიოზკინ! — გულზე მოხვდა ალექსის პოლკოვნიკის მოულოდნელად წყნარი, მშვიდი ხმა, — რაღაც ორიოდე თვეღა დაგრჩენია და ახლა გინდა თავი შეირცხვინო? მაინცდამაინც ტრიბუნალს ხომ არ უნდა გადაგცე?

ბერიოზკინს ყურები უხურდა. სახეზე ჭირისოფლმა დაასხა.

მარჯანიძემ ხელი ჩაიქნია.

— კარგი, მე დღეს არაფერი მინახავს და არც არაფერი გამიგია... მაგრამ თუ ასეთი რამ კიდევ გამეორდა, შენს თავს დააბრალე რაც მოგივა, გასაგებია?

და გვერდით მდგომ ბიჭს გზისაკენ უბიძგა.

— წავიდეთ, ზური!

ბერიოზკინი ცოტა ხანს კიდევ იდგა სარჩაყლაპულივით, მერე მძიმედ ამოიოხრა, პილოტურა წარბებზე ჩამოიფხატა და უხალისოდ დაუშვა შლაგბაუმი.

ხრეშით მოფენილ შარაგზას ორივე მხარეს ხშირი ფიჭვნარი მისდევდა. მხარმარცხნივ, გზის გაყოლებით, მავთულხლართების ღობე გაევლოთ, რომლის იქით, ტყის სიღრმეში, თეთრი კარვები ელავდა. მხარმარჯვნივ, გზიდან ასიოდე ნაბიჯის დაშორებით, უზარმაზარი ესტრადა მოეწყოთ. ესტრადის უკან კი, ხეებს შორის, დაბალაივნიანი ფიცრული სახლები მოჩანდა. ტყეში გრილოდა. ჰაერი ფისისა და ნედლი გირჩის სურნელით იყო გაჟღენთილი.

* * *

მანქანა ხევის პირას იდგა პატარა ფიცრულ სახლთან. წითელარმიელებს ფუთები გადმოეზიდათ და ახლა ჩემოდნებს ეწეოდნენ. ვასია კაბინიდან გადმოსულიყო, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი სტვენით უტრიალებდა მანქანას, ფეხს ურტყამდა საბურავებს და იპურჭყებოდა.

მარჯანიძე აივანზე ავიდა. ოთახი მოზრდილი და ნათელი იყო. ახლად გარანდულ ფიცრის კედლებს იარებივით მოსდებოდა ყავისფერი ნუყრები. ოთახში ფიჭვის მძაფრი სუნი ტრიალებდა. ხევისაკენ დატანებულ ფანჯრიდან იახამნის კვირტებდახეთქილი ბუჩქი მოჩანდა.

— ნება მოგვეცით წავიდეთ, ამხანაგო პოლკოვნიკო! — გამოეჭიმა მარჯანიძეს ვასია, — ბარგი უკვე გადმოლაგებულია!

— გმადლობთ, მეგობრებო! — თქვა მარჯანიძემ, — ერთი წუთით... ნინო, — ქართულად უთხრა ცოლს, — ჩირი და კომპოტი ამოიღე, ამ ბიჭებს მინდა გავუმასპინძლდე.

მარჯანიძე ცერად შეჯდა მაგიდის კიდეზე, ქუდი მოიხადა და კარებთან მოკრძალებით მდგომ ჯარისკაცებს მხიარულად გაუღიმა.

— რაო, პეტროვ, ხომ არ დაიღალე?

პეტროვს დიდი პირი და წვრილი, ძარღვიანი კისერი ჰქონდა. პოლკოვნიკის შეკითხვაზე ბავშვივით წამოწითლდა, დარცხვენით გააპარა თვალი ამხანაგებისაკენ.

— რა დაღლის, ამხანაგო პოლკოვნიკო, — დაკრიჭა კბილები ვასიამ, — ასე კი ნუ უყურებთ. ქალიშვილებში რომ მოხვდება, მაშინ ჩვენი ბერიოზკინიც კი ცინდალივითაა ამასთან.

— კარგი, ჰო, უნდა იცოდე, სად შეიძლება ხუმრობა და სად არა!— გამოექომაგა ამხანაგს დინჯი და სერიოზული მუხინი, — მგელს მგლობას აბრალებდნენ, ტურამ კი ქვეყანა ამოაგდოო, სწორედ შენზეა ნათქვამი!

— ღმერთმა დამიფაროს! — ჭიაყელასავით წაიწვრილა კისერი ვასიამ, — არ დაიჯეროთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, მოჭორილია!

მარჯანიძე იცინოდა.

ამასობაში ნინომ ჩემოდნიდან კომპოტის ქილები და ჩირი ამოიღო, თან ბოდიშიც მოიხადა მცირედით გამასპინძლებისათვის.

ჯარისკაცებმა უცებ დაირცხვინეს.

— აილეთ, აილეთ, ბიჭებო! — ძალით უყრიდა მათ ჯიბეში მარჯანიძე ლეღვისა და ქლიავის ჩირს, — ვასია! მუხინ! რა დაგემართათ?.. ეთერი, ეგ ქილა ძიას მიეცი... აბა, პეტროვ, მაწყენინებ იცოდე!..

ჯარისკაცები როგორც იქნა დაყვნენ მასპინძლის ნებას, მადლობა გადაიხადეს და კარებში გაიხირნენ. ზურა შესცქეროდა მათ დაბნეულად მომღიმარ, ალანძულ სახეებს და რატომღაც თვითონაც უხერხულად გრძნობდა თავს. დააპირა კიდეც რამე კარგი, მეგობრული ეთქვა მათთვის, მაგრამ ჯარისკაცებმა უკვე მოასწრეს გარეთ გასვლა და ახლა საბარგო მანქანაზე იბლოტებოდნენ. ვასია თავგამოდებით ეჯაჯგურებოდა მანქანის სახელურს, მკლავის ყოველ მოქნევაზე ხალათის კალთა ეჩეჩებოდა და შარვლის ჯიბიდან ყვითლად უელავდა კომპოტის ქილის თუნუქის თავსახური.

* * *

ზურა ისეთმა გრძნობამ გამოაღვიძა, თითქოს მიწა იძრაო. შეშინებულმა ცალი თვალით გამოიხედა საბნიდან. თავზე ეთერი დასდგომოდა, საწოლს ეჯაჯგურებოდა და კისკისებდა. გოგონას ახალი, ჭრელი კაბა ეცვა, პირი გულმოდგინედ დაებანა, თავზე კი იმხელა ბანტი წამოესკუპებინა, რომ გასაფრენად ფრთაგაშლილ პეპელას დამსგავსებოდა.

გაახილა თუ არა ზურამ თვალი, გოგონამ ჰყივილი მორთო.

— ძილის გუდავ! ზარმაცო! შენზე ადრე ავდექი—ი! — და ძილისაგან დაოსებულ ძმას ფეხებში სწვდა.

— ხელი, შე ჭოტო, შენა! — წამოიწია გაცეცხლებულმა ზურამ და საწოლთან დაგდებულ ფეხსაცმელს მისწვდა.

— დედა! — დაიწივლა ეთერიმ და შეშინებული კარებთან გაჩერდა.

— ზურნა! — ბურტყუნით გადაწვა ბალიშზე უცებ დაშოშმინებული ბიჭი.

— ძილის გუდავ, ეეე!... — ენა გამოუყო გოგონამ და დაფეთებული ფაცხაფუცხით გავარდა გარეთ, და ფიცრული კედლის იქით კიდევ კარგა ხანს წკრიალებდა მისი წვრილი, გამკილავი ხმა:

— ძი-ლის გუ-დავ, ზარ-მა-ცოო!..

ზურა მთქნარებით მისწვდა შარვალს, ზანტად მოიქექა კისერი და ფანჯარაში გაიხედა. მზე კარგად ამოწვერილიყო. ფიჭვების გაბორჯღლილ ტოტებში ულრუბლო ცის ლურჯი ნაფლეთები მოჩანდა.

ზურა პირის ბანას შეუდგა.

საუზმის შემდეგ ზემოდან გადახედა უმცროს დას და მკაცრად უთხრა:

— სანამ დედა არ მოვა, კარებს არ მოსცილდე, მე მალე დავბრუნდები!..

ტყეში წიწკანები წიოდნენ. ყმაწვილი მსუბუქად მიაბიჯებდა ხმელი გირჩებით მოფენილ ბილიკზე. ბილიკის გაყოლებით, ფიჭვებს შორის, საცოდავად დაყურსულიყვნენ ბოქლომდადებული ცალთვალა ფიცრული სახლები.

„ეტყობა კიდევ ბევრია ჩამომსვლელი. მოვლენ და ატეხენ ალიაქოთს", — ათვალწუნებით გაიფიქრა ზურამ და გზაზე დაგდებულ გირჩს მთელი ძალით გაჰკრა ფეხი. გირჩი ხეს დაეჯახა და ორად გაიპო. — „არა, მაინც რომ არავინ ჩანს!"

იმავე წამს მახლობელ ფიცრულიდან სქელი დედაბერი გამოვიდა, კიბის საფეხურთან ბაწრით მიბმულ ვარიას პურის ნამცეცები დაუყარა და ჩახლეჩილი ხმით მორთო ყვირილი:

— ანია! ანია, გოგო!.. ღმერთო დიდებულო, გამოუშვებ თუ არა, ჭინკასავით გაქრება. პირსაც ვერ დაბან შეჩვენებულს! მობრძანდი ერთი შინ!.. — იმუქრებოდა დედაბერი.

ზურამ ესტრადისაკენ გაუხვია. ესტრადას უკან ოთახი ჰქონდა მიდგმული. იქიდან სიცილი და როხროხი მოისმოდა. შუა დარბაზში თეთრმაისურიან მებრძოლებს პირამიდა აღემართათ. ერთ მათგანს პირამიდის თავზე ყირა გაეჭიმა, დაძაბულობისაგან მკლავები უთრთოდა, კისერზე ძარღვები დაბერვოდა, იხრჩობოდა და ძლივს იბრუნებდა ენას:

— ვახ... გეყოფათ, რაღა... მოვკვდი კაცი!..

პირამიდას გარს ურბენდა თხელი, ცხვირნისკარტა პოლიტხელი და გახარებული ყვიროდა:

— გამაგრდი ოგანეზოვ!.. ერთი წუთით... პლუშჩინ, გასწორდი!.. მშვენიერია!..

სხვები ლეიბებზე წამოწოლილიყვნენ და სიცილით იხოცებოდნენ. ტაიჭზე შემჯდარ, ჩასუქებულ, ქოსა ჯარისკაცს ხელები ფერდებზე მოეჭირა, ულონოდ ირწეოდა და კვნესოდა:

— ვაიმე, დედილო!.. მეტი აღარ შემიძლია!

როცა პირამიდა დაიშალა, ოგანეზოვი რეტდასხმულივით დატრიალდა ოთახში. შავ, მოხოტრილ თავზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა, ხვნეშოდა, მკლავებს მოწყვეტილი ფრთებივით იქნევდა და იღრინებოდა:

— მო, იხვიხვინეთ!.. თორემ, თქვენმა მზემ, თქვენ სულ ვარსკვლავებს დამიკრიფავთ ცაზე...

როდის-როდის დაშოშმინდნენ, სული მოითქვეს და მხოლოდ მაშინ შეამჩნიეს კარებში აყუდებული, მხიარულად მომღიმარი ბიჭი.

პოლიტხელის გამხდარ სახეზე გაკვირვება აღიბეჭდა.

— ეჰე, ეს სადაურილა ჩიტია? საიდან მოფრინდი, ძვირფასო?

ბიჭი უხერხულად შეიშმუშნა, წასვლა დააპირა, მაგრამ იგი მაშინვე იცნო ჯარისკაცებში ჩამჯდარმა ბერიოზკინმა და დარცხვენილ ყმაწვილს ძველი ნაცნობივით მიეგება.

— შემოდი, ძმობილო, შემოდი!.. ეს ჩვენი პოლკოვნიკის შვილია, ამხანაგო პოლიტხელო, გუშინ ჩამოვიდა თბილისიდან!

— ჩვენი პოლკოვნიკის შვილი?! — გაიღიმა პოლიტხელმა, — თუ აგრეა, მაშ რაღას უდგეხარ? მობრძანდი, გეთაყვა!.. კლუბის გამგე ვარ, პოლიტხელი ვლასოვი, — გაუწოდა ზურას საღებავებით გათხუპნული თითები, — მეც არა ვთქვი, საიდან გაჩნდა აქ ეს მოქალაქე-მეთქი!

მაღალმა, მკერდგანიერმა წითელარმიელმა, წელან რომ ყირაზე მდგომი ოგანეზოვი ეკავა, ზურას გარშემო შეკრებილი ჯარისკაცების წრე გაარღვია და აღელვებული დაეტაკა ყმაწვილს.

— მართლა მარჯანიძის შვილი ხარ, ბიჭო? თბილისიდან? მერე და, რატომ ხმას არ იღებ, შე კაცო? რამდენი ხანია იქაურობა აღარ მინახავს! როდის ჩამოხვედი?

— ერთი მაისურაძეს შეხედეთ, რა ამბავშია! — იცინოდნენ ჯარისკაცები, — კი არაფერი მოტეხოს ამ ოჯახქორმა!

მოთეთრო თვალებიანმა, მწითურმა პლუშჩინმა ზურას მხარზე ხელი მოხვია და ღიმილით ჰკითხა:

— გოგო თუ გყავს, ჰა, ვინმე შავთვალა?

ზურას ყურის ბიბილოებზე ცეცხლი მოედო.

პოლიტხელმა პლუშჩინს შეუტია:

— რას ჩააცივდი. ეყოლება, მა რა!.. გააწითლა ყმაწვილი!

მებრძოლებმა გადაიხარხარეს.

ვლასოვმა ტაში შემოკრა.

— კმარა, ამხანაგებო! საქმეს მივხედოთ ახლა!

— ამხანაგო პოლიტხელო, მოდი სტადიონზე წავიდეთ, თორემ ამ კიდობანში საცაა სული ამოგვხდება.

— წავიდეთ, — დათანხმდა ვლასოვი, — მხოლოდ თაღლითობა არ იყოს! წვრთნა დროზე უნდა დავამთავროთ!

ჯარისკაცები წამოიშალნენ.

— აბა, ზურია, ჰაიდა მინდორში, სუფთა ჰაერზე!..

სტადიონი ხევის გაღმა, ტყის პირას იყო მოწყობილი. იქ ჯერ კიდევ მუშაობდნენ მესანგრეთა ასეულის ჯარისკაცები, ასწორებდნენ სავარჯიშო მოედნებსა და ბილიკებს. ვარჯიში რომ დაამთავრეს, ბიჭები ჩრდილში წამოწვნენ და ქოსა გუსევმა მათ თავისი ლექსი წაუკითხა. გუსევი ამ ლექსით ბანაკის გახსნის დღეს საზეიმო საღამოზე უნდა გამოსულიყო და ღელავდა. მსუქანი, უწვერულვაშო სახე მოწაფესავით შეფაკლოდა. ვლასოვს მეტისმეტად ბუნდოვანი ეჩვენა ლექსი, მაგრამ ჯარისკაცებს მოეწონათ და პოლიტხელს კამათი დაუწყეს.

გულაღმა გაშხლართულმა ბერიოზკინმა, რომელიც აქამდე ლაპარაკში არ ერეოდა, პირიდან ბალახის ღერო გამოიღო და ზანტად თქვა:

— ტყუილად კამათობთ. ლექსი ზემოთ უკვე მოსწონთ, — ხელით შტაბისაკენ აჩვენა, — ასე, რომ ბორია მაინც გამოვა. სჯობია ვიმღეროთ.

— რა თქმა უნდა, სჯობია,—გაიცინა ოგანეზოვმა; მან ზურას ნიდაყვი წაჰკრა და ბერიოზკინსა და პლუშჩინზე ანიშნა:

— იცი როგორ მღერიან? უუჰ!..

პლუშჩინმა ჩაახველა, თვალები მოჭუტა და დაიწყო:

ეჰ, ვოლგავ — მდინარევ,
ვოლგავ — დედაო...

სასაცილოდ, გვერდულად აღებდა პირს, მაგრამ ხმა საოცრად სუფთა და წკრიალა ჰქონდა.

ფართო ხარ, ღრმა ხარ,
მუდამ წყალუხვო.

რბილი ბარიტონით აჰყვა ალექსეი ბერიოზკინი, აჰყვნენ სხვებიც და დინჯი, ომახიანი სიმღერა ზღვასავით გაიშალა ფიჭვნარში, მოედნებზე, სტადიონს იქით დარგულ აკაციებში და კიდევ უფრო შორს, შორს, თვალსაწიერამდე გაწოლილ სტეპში.

სტადიონზე მომუშავე ჯარისკაცებმა თავი აიღეს, დააყურეს. ერთმა მათგანმა სახიდან პილოტურით ოფლი მოიწმინდა, თავი მომღერლებისკენ გაიქნია და აღტაცებით შეიკურთხა:

— როგორ მღერიან, ა, მამაძაღლები!..

* * *

გალინამ და კლიმმა მატარებელში გაიცნეს ერთმანეთი.

როცა გაიგო, ქალიშვილი დასასვენებლად სამხედრო ბანაკში, ბიძასთან მიდისო, კლიმმა ტაში შემოკრა.

— რას ამბობთ? იქ მამაჩემია დივიზიის მეთაურად! მაშ ალბათ ერთად ვიქნებით!

კლიმი მოსკოვის უნივერსიტეტში, ისტორიის ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მეცნიერებას მაინცდამაინც თავს არ აკლავდა. მე უფრო სპორტი და ფათერაკები მიტაცებსო, ამბობდა და გალინას გაუთავებლად უყვებოდა ათასგვარ ამბებს უცხოელ მსახიობთა ცხოვრებიდან, უქებდა გერმანულ ქოფაკთა თვისებებს, რომლებისაც გალინას, რა თქმა უნდა, ბევრი არაფერი გაეგებოდა, მოუთხრობდა იმ ხიფათებზე, რომლებიც მას, თითქოს, სადღაც ტაიგაში ნადირობის დროს გადახდომოდა, ან იმის შესახებ, თუ როგორ მოიწამლა მისთვის თავი ერთმა ულამაზესმა ქალიშვილმა სამხატვრო აკადემიიდან — რა თქმა უნდა, იგი დეკადენტურმა წიგნებმა გაასულელეს!

გალინა ღიმილით შესცქეროდა ენადგაკრეფილი კლიმის ჭორფლიან თავს და მაინცდამაინც ბევრს არაფერს უჯერებდა.

ბანაკში ისინი ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს. კლიმმა ქვეყნის ანეგდოტები იცოდა და ხშირად აცინებდა გალინას. ზოგჯერ კი ქარაგმულად იწყებდა ლაპარაკს, მრავალმნიშვნელოვნად ჩასცქეროდა ქალიშვილს ლამაზ ცისფერ თვალებში და გალინას ეჩვენებოდა, რომ კლიმი მზად იყო დონში გადავარდნილიყო მისთვის.

— ყური მიგდე, გალია, გყვარებია ოდესმე ვინმე?

— როგორი ცნობისმოყვარე ხარ, კლიმ! — იცინოდა გალინა და ვაჟს გამომწვევად უსწორებდა თვალს.

ისინი ტყის პირას, სტადიონთან ისხდნენ გრძელ სკამზე.

ცხელოდა. ბალახებში კუტკალიები ჭრიალებდნენ.

კლიმი ჯიუტობდა.

— არა, გალია, მე კი მგონია, შენ არ გინდა ჩემთან ლაპარაკი, შენ გული კი არა, უსინდისო ვიყო, ყინულის ლოლუა გაქვს მკერდში!

— რატომ ფიქრობ ასე?

ცისფერი თვალები მიამიტად იმზირებოდნენ.

— იმიტომ, რომ ვერაფერს ამჩნევ, ან არ გინდა შეამჩნიო. კარგად იცი, რომ მომწონხარ, რომ უშენოდ ჩალის ფასადაც არ მიღირს სიცოცხლე!

— ნუ სულელობ, კლიმ, რა მოგდის? შენც ხომ არ კითხულობ დეკადენტურ წიგნებს?

გალინა დამცინავად შესცქეროდა ყმაწვილს.

— ეჰ, გალია, შენ რომ იცოდე!.. — გულითადი ხმით წამოიწყო ისევ კლიმმა, მაგრამ აღარ დასცალდა, სწორედ ამ დროს ვიღაცამ ტყიდან ბუჩქების ლაწუნით ახტუნა ცხენი.

მოულოდნელობისაგან გალინამ შეჰკივლა.

ცხენი დაფრთხა, განზე გახტა, მხედარს პილოტურა მოვარდა, ძლივს შეიკავა თავი, რომ თვითონაც არ გადმოვარდნილიყო.

კლიმი ფეთიანივით წამოვარდა.

— შენ ეი, ხეპრევ, ხალხს ველარ ხედავ? ცირკში ხომ არ გგონია თავი? — დაუღრიალა მან მხედარს.

ჯარისკაცი მთელი ძალით იჭერდა ადგილზე ათამაშებულ ცხენს, ახალგაზრდული, თითქმის ბავშვური სახე დაძაბულობისაგან წამოგზნებოდა, თვალები უბრწყინავდა.

— ბოდიშს ვიხდი... ძმობილო... ვერ დაგინახეთ, — ბუტბუტებდა და თან ტუქსავდა ცხენს.

— მე შენ გაჩვენებ ძმობილოს, დოყლაპიავ! ლამის გათელე ხალხი! — არ ცხრებოდა გაწიწმატებული კლიმი, მაგრამ მხედარი ყურს აღარ უგდებდა, ეტყობოდა, ცხენიდან უნდოდა ჩამოსვლა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა. ბოლოს გაბედა, უგერგილოდ ჩამოცურდა უნაგირიდან და მიწაზე დაგდებულ პილოტურას მისწვდა. ცხენი ისევ ბორგავდა, ტრიალებდა, შეჯდომის საშუალებას აღარ აძლევდა მხედარს. წითელარმიელი მთელი ძალით ჩაფრენოდა უნაგირის კეხს, ცალ ფეხზე ხტოდა, ვერ მოეხერხებინა ტანის ატანა, ჩანდა, ასეთ საქმეებში არცთუ ისე გაწაფული იყო.

— ერთი ამ საცოდავს შეხედეთ, რა დღეშია! — გესლიანად ხარხარებდა კლიმი, — აი, ცხენოსანიც ამას ჰქვია!.. ეი, შენ, კიბეს ხომ არ ინებებ... ან იქნებ გადიას დავუძახო, ა?..

მხედარს ალმური ასდიოდა სახეზე. თვითონაც გრძნობდა, რომ სასაცილოდ გამოიყურებოდა, მაგრამ მაინც იხტიბარს არ იტეხდა. ბოლოს, როგორც იქნა, მოახერხა, უნაგირზე მუცლით გადაეკიდა და ძლივს მოძებნა მეორე უზანგიც. წელში რომ გასწორდა, მხოლოდ მაშინ მისცა გზა გულში დაგროვილ ბოღმას, მამალივით აქოჩრილ კლიმს ცხენი მიაგდო და წკეპლა მოუქნია.

— ხმა გაკმინდე, შენი!..

— როგორ არ გრცხვენიათ!.. — შუაში ჩაუვარდა მათ გალინა, — დაჩუმდი, კლიმ!.. თქვენც ახლავე წადით აქედან! — შეანათა მან სიბრაზისაგან გამწვანებული თვალები წითელარმიელს.

მხედარმა წკეპლა დაუშვა, ზიზღით გადმოხედა ნირწამხდარ კლიმს და სადავეს ჩამოჰკრა. უკანა ფეხებზე ჩამჯდარი ცხენი ადგილიდან მოწყდა, რამდენიმე ნახტომი გააკეთა და გვერდულად, თამაშით წავიდა აკაციებისაკენ.

კლიმი ისევ გამძვინვარდა.

— არა, დამიხედეთ ამ ოტროველას, საცემლადაც რომ მოიწია!.. სად წახვალ? დედას გიტირებ, სულ ერთია მოგძებნი და ვნახავ, როგორ მალაყებსაც გააკეთებ მაშინ!..

— რას ერჩი, კლიმ, ხომ მოგიხადა ბოდიში, მეტი რაღა გინდა? — ცდილობდა ქალიშვილი მის დაშოშმინებას.

— მოიცა, თუ ხათრი გაქვს, ბოდიში მომიხადა, თორემ, მამა უცხონდა... — კლიმმა უხეშად შეიგინა.

გალინამ წარბი შეიკრა.

— შენ უზრდელიც ყოფილხარ, კლიმ, არ მეგონა, მართალი გითხრა!

— ჯანდაბას! — ხელი ჩაიქნია კლიმმა, — დავანებოთ თავი ამაზე ლაპარაკს, სულ ერთია შენ მაინც აღარაფერი მოგწონს ჩემი... სად მიდიხარ?

— დროა უკვე, ბიცოლა ალბათ მეძებს კიდეც.

— აჰა, დაიწყო ახლა!.. რა მოგივიდა? რა მოხდა ისეთი?

— არაფერი, რა უნდა მომხდარიყო? შენ თუ გინდა, დარჩი. მე კი უეჭველად უნდა წავიდე, მელოდებიან.

კლიმი ბუზღუნით წამოდგა. უსიტყვოდ მიდიოდნენ. საუბარი აღარ ეწყობოდა და კლიმმა ერთხელ კიდევ შეუკურთხა გუნებაში იმ ვიგინდარას, რომელმაც ასე უდროო დროს წაუხდინა ორივეს ხასიათი...

გზაზე რომ გავიდა, ზურამ ცხენი ნაბიჯზე გადაიყვანა და ნელა გაჰყვა აკაციების ჩრდილს. ყმაწვილს ჯერ არ განელებოდა სიბრაზე. ნანობდა კიდეც, რომ ლაზათიანად არ მიბერტყა ის მწითური მამლაყინწა. „გოგოც რომ წამოესარჩლა. ჰმ, რატომ ღმერთი არ გაიცინებს!“

სულ რამდენიმე დღეა, რაც ზურა ჯარისკაცებს დაუმეგობრდა. მთელ დღეებს მათთან ატარებდა, მათთან ერთად დადიოდა დონზე საბანაოდ და ხანგამოშვებით მადიანადაც მიირთმევდა ჯარისკაცის ულუფას წითელარმიელთა სასადილოში. საღამოობით კი, როცა ცა ვარსკვლავებით მოიკირწყლებოდა და ბერიოზკინი კლუბიდან გარმონს გამოიტანდა, სადმე ხევის პირას ბიჭებთან ერთად წამოწოლილი დიდხანს მღეროდა მთელი პოლკის საყვარელ სიმღერებს.

ბიჭებიც შეეჩვივნენ ზურას. ისინი უკვე „თავისიანად“ თვლიდნენ მას და ისე დაუმეგობრდნენ, გვერდიდან აღარ იცილებდნენ ყმაწვილს. მხიარული და ვაჟკაცური ხალხი იყო, მაგრამ ზოგჯერ მწარე დაცინვაც იცოდნენ. ვაი იმას, ვისაც ყბას დაადგამდნენ. იმდღევანდელისა არ იყოს! ზურა შინ ბრუნდებოდა. გახუნებულ არმიულ ფორმაში გამოწყობილს სიცხისაგან ხვითქი გადასდიოდა. საყელო გაეღელა, პილოტურა კეფაზე მოეგდო. ხევის პირას ბილიკზე ვიღაც მაღალი, მელანქოლიური სახის პოლკოვნიკი შემოეყარა. ზურამ გზა დაუთმო, მაგრამ ორი ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, რომ უკნიდან მკვახე შეძახილი მოესმა.

— ამხანაგო ჯარისკაცო!

ზურა მობრუნდა.

პოლკოვნიკს წელზე ხელები დაეწყო და მოღუშული იცქირებოდა.

— მოდით აქ! — თავი დაიქნია მან.

ზურა მივიდა. პოლკოვნიკმა მკაცრად აათვალ-ჩაათვალიერა ყმაწვილი.

— რას ფიქრობთ, რატომ არ იცავთ უფროსებთან მისალმების წესს? ან იქნებ დაგავიწყდათ სად იმყოფებით?

ზურა გაოცებული და, ცოტა არ იყოს, დაბნეული შესცქეროდა. ვერ გაეგო, რა უნდოდა მისგან ამ კაცს.

— ანდა რა დღეშია თქვენი ტანსაცმელი! დამიხედეთ ჯარისკაცს, სიცხე ველარ აუტანია! — დამცინავად მოღრიცა პირი პოლკოვნიკმა, — კეთილი ინებეთ და თავი წესრიგში მოიყვანეთ, ასე მეეზოვედაც არ გამოდგებით!

ზურას ლოყები აეწვა. სულ დაავიწყდა, რომ წითელარმიელის ფორმა ეცვა

და არაფრით არ გამოირჩეოდა სხვა ჯარისკაცებისაგან. სწრაფად შეიკრა საყელო, პილოტურა გაისწორა და გაიჭიმა. გუნებაში კი ეცინებოდა და უხაროდა კიდეც, რომ ნამდვილ ჯარისკაცად მიიღეს.

— აი ასე, — თქვა პოლკოვნიკმა და ჯიბიდან ხის ვეება პორტსიგარი ამოიღო, — რომელი პოლკიდან ხართ?

ზურამ მამის პოლკი დაასახელა.

— გადაეცით თქვენს მეთაურს, რომ წესდების დარღვევისათვის ერთი რიგგარეშე მოგცეთ!

— მესმის... ამხანაგო პოლკოვნიკო! — თვალები გადმოკაკლა ბიჭმა.

მამა შინ იყო. ეზოში პატარა ეთერის ეთამაშებოდა. გოგონა წივილ-კივილით დახტოდა მის გარშემო, მუხლებზე ებღოტებოდა და გულიანად კისკისებდა.

მარჯანიძემ ღიმილით მოხედა შვილს.

— დაამთავრე სამსახური?

— დავამთავრე, — ამოიხვნეშა ბიჭმა და კიბეზე ჩამომჯდარმა პილოტურა მუხლებზე დაიგდო, საყელო შეიხსნა, — უჰ, რა სიცხე სცოდნია აქაც, ეს ოხერი!..

— მერე, რა ძალა გადგას, ამხელა ჩექმებს რომ დააბრაგუნებ?

ზურას გაეცინა.

— ვიღაც პოლკოვნიკი დამეტაკა, წითელარმიელი ვეგონე, შენს მეთაურს გადაეცი წესდების დარღვევისათვის ერთი რიგგარეშე მოგცეს!

— რომელი პოლკოვნიკი, ბიჭო? რას სულელობ?

— რა ვიცი, — გაიცინა ისევ ზურამ, — ერთი ახმახი ვინმე იყო, რატომ არ მომესალმეო. ხელში აიმ ყუთისხელა სათუთუნე ეჭირა.

— აა, — მიხვდა მარჯანიძე, — პილინოვა იქნებოდა. ჰოდა რა, რატომ არ მიესალმე მერე?

— ეჰ, მივესალმო არა!.. რომელი წითელარმიელი მე მნახა?

— როგორ თუ რომელი?

მარჯანიძე წელში გასწორდა. ზურა ჩექმას იხდიდა, იჭინთებოდა და ნამდვილი ჯარისკაცივით ხვნეშოდა.

— აბა, აბრძანდი! — წყნარად უბრძანა ბიჭს მარჯანიძემ.

ზურას სახე დაუგრძელდა.

— აბრძანდი-მეთქი!.. — ხმას აუმაღლა მამამ, — ეთერი, შვილო, მოიცა ცოტა ხანს... მაშ, შენი აზრით, ეს ფორმა მარტო დროს გასატარებლად აცვიათ? პოლკოვნიკი მართალი იყო. რახან ჩაიცვი, უნდა შეიშნო კიდეც. დღეს სადილის შემდეგ სამზარეულოში დარჩები და დედას ჭურჭლის დარეცხვაში მიეხმარები! გასაგებია?

იმავე დღეს მარჯანიძის კიტრივით ჩამრგვალებულმა შიკრიკმა გრიშკამ მთელს ქვეყანას მოსდო ეს ამბავი და ბიჭებიც კარგა ხანს იცინოდნენ ზურას თავს დატეხილ ფათერაკზე. ახლა კი ეს სულელური შეტაკება! ნეტა რა ეშმაკად გადმოვიდა ამ ხევზე? ვითომ რა, თავი გამოსცადა ცხენოსნობაში? არა, დღესაც უთუოდ მარცხენა ფეხზეა ამდგარი, თორემ...

ყმაწვილი ფიქრებიდან ცხენის ფეხის ხმამ გამოარკვია, ვიღაცა ეძახდა:

— ეი, ზურა!.. სად დაიკარგე, კაცო? მოიცა!

გზაზე შოთა მაისურაძე და ქოსა ბორია გუსევი მოჯირითობდნენ. პოლკის პოეტი ტომარასავით ქანაობდა უნაგირზე, ლოყები უხტოდა.

— სად გაგვეპარე, ბიჭო? სად იყავი? — მიიჭრა ზურასთან მაისურაძე, — რა მოხდა? თავპირი რად ჩამოგტირის? ხომ არ გადმოგაგდო ამ შეჩვენებულმა?

— არა, რას გადმომაგდებდა... პატარა კინკლაობა მომივიდა ერთ ტიპთან, კინაღამ გოგო გავუთელე.

— რას ამბობ?! სადა, კაცო?

— აქ, ხევის პირას, სტადიონთან. უნდა დამეუეუა, კარგი იქნებოდა, მეტისმეტად იჭაჭებოდა ვიღაცა იყო!

ჯარისკაცები იცინოდნენ.

— მერე, ეგ გადარდებს, შე კაცო?

— ქერა ხომ არ იყო, ჭორფლიანი?

გუსევმა შუბლზე იტკიცა ხელი.

— ჩვენი გენერლის ბიჭი ყოფილა!.. სამი დღეა, რაც ბანაკში ჩამოვიდა. ყვინჩილასავით დადის, გოგო კი, იფ, მართლა კარგი რამ არის. გუშინაც ერთად ვნახე.

— ეჰ, რაც იყო, იყო! გული არ გაიტეხო! — დარდიმანდულად წამოიძახა მაისურაძემ, ზურას ცხენს წკეპლა გადაჰკრა და დასჭყივლა: — აბა, მომყე, თუ ბიჭი ხარ!

შეშინებული ცხენი წინ გახტა, ჭენებით წავიდა შარაზე.

— ჰა-ჰატ! — მიუშვა თვითონაც სადავე.

— მოიცადეთ, თქვე ოჯახქორებო, რა ჯანდაბა მიგარბენინებთ! — ულაპავდა მტვერს უკან დარჩენილი ბორია.

* * *

ზაფხულის წყნარი საღამოა. ძილში ჩურჩულებენ ფიჭვები. ტყე გარინდებულა. მარტო ესტრადასთან ისმის ხმაური, სიცილ-კისკისი, შეძახილები. სცენაზე ეკრანი ჰკიდია. ეკრანის თავზე — უზარმაზარი ელნათურა. ელნათურა თვალისმომჭრელად ბრიალებს და აჩოჩქოლებულ რიგებს აბრმავებს.

გალინა, კლიმი და ბანაკში ახლად ჩამოსული გულმხიარული კატია ბოგოროცკაია უკანა რიგებში ისხდნენ. კლიმი ჩვეულებრივზე მეტად ენაწყლიანობდა და კატიას აცინებდა. სტადიონზე მომხდარი უსიამოვნების შემდეგ იგი ცდილობდა მოებრუნებინა გალინას გული, მაგრამ ვერაფერს ხდებოდა.

მექანიკოსი აგვიანებდა. ბუზღუნით უკირკიტებდა გაჯიქებულ აპარატს. მასთან წამდაუწუმ მირბოდა გამხდარი, ცხვირნისკარტა პოლიტხელი, მცოდნე კაცივით უტრიალებდა გარშემო და შეფიქრიანებული ეკითხებოდა:

— რა ქენი, ვერ მომართე?

— მომართავ ამას! მოგიგდებენ ასეთ ჯაბახანას და იტეხე მერე თავი! — გაგულისებული ბუტბუტებდა მექანიკოსი.

გალინას პირდაპირ, ორიოდე რიგით წინ, რამდენიმე ჯარისკაცი იჯდა. მათ შორის გალინამ კარგა ხანია შეამჩნია დილანდელი მხედარი, რომელიც ახლა რაღაც სასაცილო ამბავს უყვებოდა ამხანაგებს, რადგან ყველა მისკენ დახრილიყო და დროდადრო ხარხარით აყრუებდნენ იქაურობას.

„ალბათ დღევანდელ ამბავს უყვება, — აიმრიზა ქალიშვილი, — მერე რა ნახა აქ სასაცილო? კლიმის ბრალია, ვერ მოიქცა კარგად. ეს კი, მგონი რუსი არ უნდა იყოს. ზურა... რა სახელია ზურა?.. კავკასიელი იქნება... ერთიც ვნახოთ ხელი დაევლო ჩემთვის და ამ სტეპში გავექროლებინე, ნეტა რას იზამდა კლიმი!..“

გალინამ გაუცინა თავის ფიქრებს.

— უსინდისო ვიყო, მართალს ვამბობ! — მოესმა მას კლიმის ხმა, — არა გჯერა?

„სულელი“, — გაიფიქრა გალინამ და დაცინვით მიუგო:

— მე შენთვის არც მიგდია ყური, სხვა რამეზე გამეცინა.

როგორც იქნა, კინოც დაიწყო. ჩოჩქოლი თანდათან მინელდა, მხოლოდ ეკრანზე აზვირთებული ზღვის შხუილი და კლიმის გაუთავებელი დუდუნი არღვევდა სიჩუმეს.

წინა რიგებიდან რამდენჯერმე მოიხედეს.

— ჩუმათ, ამხანაგებო, არაფერი ისმის!

გალინამ უხერხულად იგრძნო თავი.

— დაჩუმდი, კლიმ! — მკვახედ უთხრა ვაჟს, — ნუთუ არ მოგბეზრდა ამდენი... — „უბედობაო“, უნდოდა ეთქვა, მაგრამ დროზე შეიკავა თავი. — ამდენი ლაპარაკი?

კლიმი დადუმდა, გაიბუტა და მთელი საღამო ხმა აღარ გაუცია გალინასთვის.

* * *

იმ დღეს ზურამ კლუბში ვერავინ ნახა და სტადიონისაკენ გაემართა. მოედანზე ჯარისკაცების ასეული შაშხანებით თავისუფალ ვარჯიშს ასრულებდა. განზე გამდგარი კაპიტანი, ტაქტის მიხედვით, წკეპლას იქნევდა და რაღაცას ყვიროდა.

ბიჭები არც აქ ჩანდნენ. უეჭველად ტაქტიკურ მეცადინეობაზე იქნებოდნენ მინდორში.

ზურა ტყის პირას სკამზე გაწვა. მაღლა, ცის უსაზღვრო, კამკამა სივრცეში მძიმედ მიიზლაზნებოდა საიდანღაც შემორჩენილი ღრუბლის თეთრი ქულა. ზურამ თვალები დახუჭა. ყმაწვილი დიდხანს იწვა ასე და არაფერზე არ ფიქრობდა. მის სმენას ყრუდ სწვდებოდა კაპიტანის ხმა, რომელიც ვარჯიშის ტაქტის მიხედვით უხალისოდ და მოსაწყენად ითვლიდა. უცებ კაპიტანმა თვლა შეწყვიტა და მეხივით იჭექა:

— ასეულო, სმენა! ამხანაგო პოლკოვნიკო!..

— თავისუფლად! — მოესმა ზურას მამის მშვიდი ხმა, — განაგრძეთ!

ზურამ თავი წამოსწია.

მარჯანიძე შორიახლოს იდგა და ყურადღებით შესცქეროდა ჯარისკაცებს, რომლებმაც მისი თანდასწრებით კიდევ უფრო არეულად დაიწყეს ვარჯიში.

— ერთი... ორი... სამი!.. — ღელავდა კაპიტანი.

ზურა წამოჯდა, და იმავ წამს მისგან რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ბილიკზე მდგომი მაღალი, ქერა ქალიშვილი დაინახა. ქალიშვილს თვალებზე წიგნი მიეჩრდილა და ცნობისმოყვარეობით გაჰყურებდა მოედანს.

ზურამ მაშინვე იცნო იგი. ეს სწორედ ის გოგო იყო, ამას წინათ იმ მწითურ მამლაყინწასთან კინკლაობის დროს რომ შემოუტია ზურას: „თქვენც ახლავე წადით აქედანო!“ „ვინ იცის როგორ ვძულვარ მას შემდეგ“ — გაუელვა უსიამოვნო ფიქრმა, მაგრამ ქალიშვილმა, თითქოს ძველ ნაცნობს შეხვდაო, მოულოდნელი, თბილი ღიმილით მოხედა მას, წიგნი დაკეცა და სკამისაკენ წამოვიდა.

— შეიძლება? ხელს ხომ არ შეგიშლით? — ჩამოჯდა ზურას გვერდით.

დაბნეული და ამრეზილი ბიჭი უხერხულად აწრიალდა სკამზე.

— დაბრძანდით, არა, — წარმოთქვა და ადგომა დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა. „ეხ, შე ჩანჩურავ, გოგოსი შეგეშინდა?“ — გაუბრაზდა თავის თავს.

ქალიშვილმა შენიშნა ეს უნებლიე მოძრაობა, კვლავ გაიღიმა, წიგნი გადაშალა და, ვითომც აქ არაფერიაო, ჰკითხა:

— თქვენ ქართველი ხართ?

— დიახ!..

პასუხი ზედმეტად მკვახე გამოვიდა და, შთაბეჭდილება რომ შეენელებინა, დაუმატა:

— თბილისელი ვარ.

ქალიშვილმა თავი ასწია. ზურა სულ ახლოს ხედავდა მის სახეს, ორ დიდ ცისფერ თვალს, რომლებიც ახლოდან სულაც არ ჩანდა ცისფერი. თვალები დაწინწკლული იყო უამრავი მოლურჯო-მომწვანო ლაქებით, რომელიღაც ძველ წიგნში ჩახატული თოვლის ფიფქებს რომ აგონებდა ზურას, ხოლო ქინძისთავისოდენა გუგებიდან საამო სითბო იღვრებოდა.

— თბილისელი? გამიგია, თბილისი ლამაზი ქალაქიაო.

— მართალია, — დაემოწმა ზურა.

— დიდი ხანია, რაც აქა ხართ? — არ ეშვებოდა ქალიშვილი.

— კარგა ხანია, — უპასუხა ზურამ, თან ცდილობდა როგორმე დაემალა ამ გოგოს ცნობისმოყვარე თვალებისაგან ძველი, ქუსლმოქცეული ჩექმები.

— კი მაგრამ, თქვენ ისე ახალგაზრდა ჩანხართ... — წარბები აჭიმა ქალიშვილმა. — არა, არა, ვერ გამიგეთ,—საჩქაროდ დაუმატა მან, როცა ვაჟის თვალებში უკვე კარგად ნაცნობი ნაპერწკალი შეამჩნია, — მე მინდოდა მეთქვა, რომ... თქვენ ძალიან ფიცხი ყოფილხართ, — სწრაფად ალაპარაკდა იგი, — აი, თუნდაც ახლა, ისე მიცქერით...

ქალიშვილის ხმა გულწრფელი და შემარიგებელი იყო, და მისი ქერა თმის ხვეულებში საიდანღაც ჩარჩენილ აკაციის ფოთოლს რომ შეხედა, ყმაწვილი ერთბაშად მოლბა, დაიხარა, ბალახის ღერო მოწყვიტა და თითზე დაიხვია.

— იმ დღეს რომ თქვენ იქ არ ყოფილიყავით, — ჩაილაპარაკა მან, — იმ ვაჟბატონს კარგა გვარიანად მივბერტყავდი! — გაწყვეტილი ღერო წკიპურტით გაისროლა და პირქუშად გახედა მოედანს.

— მაშინ იქნებ არც მოგსვლოდათ ჩხუბი, — წყნარად შენიშნა ქალიშვილმა, — ორივე ცუდად მოიქეცით, თავი უნდა შეგეკავებინათ.

მან შეპარვით ახედა ზურას. ყმაწვილი ხმას არ იღებდა. ქალიშვილი უცქეროდა მის ჯიუტად შეკრულ წარბებს და არ იცოდა როგორ გაეგრძო საუბარი. ეს ბიჭი არცთუ ისე თავაზიანი ჩანდა.

უცებ ზურა წამოწითლდა და მისალმების ნიშნად მაღლა ასწია ხელი. პოლკოვნიკს შეემჩნია ისინი, ღიმილით უქნევდა თავს.

ქალიშვილმა გაკვირვებით აინაოჭა შუბლი.

— თქვენ რაო, ასე ახლო ხართ მეთაურებთან?!

— მამაა ჩემი, — ჩაიცინა ზურამ, — მეც დასასვენებლად ვარ აქ ჩამოსული.

— როგორ, მაშ თქვენ ჯარისკაცი არა ხართ?! — გაიოცა ქალიშვილმა.

— არა, რას ამბობთ, რომელი ჯარისკაცი!..

— აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! მე კი ნამდვილი წითელარმიელი მეგონეთ! — სიცილით წამოიძახა ქალიშვილმა, — ისე იჯექით ცხენზე... და მერე ეს ფორმაც!.. — მხიარულად შეავლო თვალი ჯარისკაცის გახუნებულ გიმნასტურას და მუხლებზე დაკერებულ შარვალს, — არა, ნამდვილად საუცხოოა, ღმერთმანი!

— ჰო, ეს ისე, — დარცხვენით ჩაიქნია ხელი ზურამ, — ბანაკში ასე უფრო სრულუფლებიან წევრად გრძნობ თავს.

— მაშ სწავლობთ, არა? — დაასკვნა ქალიშვილმა.

— დიახ.

— სად?

— თბილისში.

— არა, — გაიცინა ქალიშვილმა, — სად სწავლობთ?

— ჰოო, — მიხვდა ზურა და ვერ გაბედა ტყუილის თქმა, — ათწლედში. თქვენ?

— მე წელს დავამთავრე საშუალო. ახლა სამედიცინოზე მინდა შევიდე. თუმც კარგად არც კი ვიცი, სამედიცინოზე შევიდე თუ საინჟინროზე, ორივე ძალიან მომწონს.

ზურა ნელ-ნელა დაინტერესდა თანამოსაუბრით. კაცმა რომ თქვას, მას მოეწონა კიდეც ეს ცისფერთვალება გოგონა, მიმზიდველი ღიმილითა და თმაში ჩარჩენილი აკაციის ფოთოლით.

— რა გქვიათ?

— გალინა. თქვენ? თუმცა მე უკვე ვიცი თქვენი სახელი, ზურა, არა?

— საიდან იცით? — გაუკვირდა ზურას.

— ჩიტმა მომიტანა ამბავი! — კეკლუცად შეარხია თმა ქალიშვილმა, აკაციის ფოთოლი ტრიალ-ტრიალით დაეშვა ბალახზე,—არა, განა მართლა, იმ დღეს კინოში ჩვენს წინ იჯექით და მაშინ გავიგე.

„მე კი, ვინ იცის, რაებს არ ვჩმახავდი“ -- შიშით გაიფიქრა ზურამ და საუბარს გეზი უცვალა.

— რა წიგნია? — ანიშნა ქალიშვილს მუხლებზე დადებულ წიგნზე და სწრაფად აარიდა თვალი მის თეთრ, სწორ წვივებს.

გალინამ დაიჭირა ყმაწვილის გამოხედვა, საჩქაროდ გაისწორა კაბა და წიგნი ამოატრიალა.

— ეს ალექსანდრე ბლოკია, „იტალიური ლექსები“, არ წაგიკითხავთ?

— არ წამიკითხავს, — გამოტყდა ზურა, — კარგია?

— ძალიან! აი, გათხოვებთ და თქვენ თვითონ ნახავთ, მხოლოდ სიტყვა მომეცით, რომ აღარ წაეჩხუბებით კლიმს.

— იმ ბიჭს კლიმი ჰქვია?

— ჰო.

— თანახმა ვარ, მაგრამ იმ პირობით, თუ მაგ მამლაყინწას თქვენს გვერდით აღარ დავინახავ, — თქვა ზურამ.

— ო, ზურა, არ მეგონა, თუ ასეთი დესპოტი იქნებოდით, — თქვა გალინამ, და ორივემ მხიარულად გადაიხარხარა.

ისინი დიდხანს ისხდნენ ასე ტყის პირას და ვერ ამჩნევდნენ როგორ ივსებოდა მოედნები მოვარჯიშე გუნდებით, როგორ ანიშნებდა ამხანაგებს კვიმატი ოგანეზოვი ლამაზი მეზობლით გართულ ზურაზე.

ბოლოს გალინამ მაჯაზე გაკეთებულ ერთი ციცქნა საათს დახედა და წამოხტა.

— უჰ, რამდენი დრო გასულა!.. იცით, ზურა, უნდა წავიდე... ნუ გამაცილებთ, აბა, ჯერჯერობით!..

ქალიშვილის ხელი საოცრად რბილი და თბილი იყო. ყმაწვილს არ უნდოდა მისი გაშვება.

— გალინა, რა ალერსიანი ხელი გაქვს... — და ბიჭს ანაზდად ენა დაება, ყურებამდე გაწითლდა.

გალინას ლოყები შეუფაკლდა. ფრთხილად გაინთავისუფლა ხელი და საყვედურით შეხედა ზურას.

...სახეალეწილი ზურა დიდხანს გაჰყურებდა მიმავალ გალინას. სირცხვილისაგან ლამის მიწაში ჩამძვრალიყო. „ნამდვილი ხეპრე ვარ! — ფიქრობდა ბიჭი, — ეს რა წამოვროშე!.. ბატისტვინა ვარ და მეტი არაფერი!“

უცებ ფეხებზე რაღაც მოხვდა და ბალახში გაიშრიალა. ზურა გამოერკვა. მის წინ ბურთი ეგდო. მოედნიდან ჯარისკაცები უყვიროდნენ, ხელით ანიშნებდნენ, გადმოაგდეო. ყმაწვილი აენთო, მობრუნდა და გაცეცხლებულმა ისე მოუქნია ბურთს ფეხი, რომ მის ასალებად გამოქცეული გუსევი ადგილზე გაშეშდა.

— რა იყო, ბიჭო, რა ბზიკმა გიკბინა?

* * *

მეორე დღეს კვირა იყო.

ზურა გათენებისთანავე წამოხტა ფეხზე. გარეთ გრილოდა. ამომავალ მზეს ფიჭვის კენწეროები ოქროსფერ ნისლში გაეხვია. სტადიონიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა.

„ეტყობა ყველაფერი მოათავეს“, — გაიფიქრა ბიჭმა და საჩქაროდ პირის ბანას შეუდგა. დღეს ბანაკის საზეიმო გახსნის დღე იყო და ზურა ჩინებულ ხასიათზე გახლდათ. წუხელ იგი ბევრს ფიქრობდა გალინაზე. მთელ ღამეს თვალწინ ედგა მისი ლამაზი, ალერსიანად მომღიმარი ცისფერი თვალები, მის ოქროსფერ თმაში საიდანღაც ჩარჩენილი აკაციის ფოთოლი და... უჩვეულოდ, ამაღელვებლად თეთრი, სწორი წვივები. არა, ნამდვილად უცნაური გოგოა გალინა. როგორც ჩანს, ის კლიმია თუ ვიღაცა, მაინცდამაინც დიდად არ ახატია გულზე. ყმაწვილს თითქოს შეებრალა კიდეც კლიმი. რაღაც ვაჟკაცურმა სულგრძელობამ შეიპყრო. კაცმა რომ თქვას, აღარც კი ღირდა მასზე ხელის გასვრა! მას ახლა მხოლოდ ის სტანჯავდა, რომ გუშინ ასე აწყენინა გალინას. მაინც შეუცნობელი მოუთმენლობით ელოდა ქალიშვილთან ხელმეორედ შეხვედრას, თუმცა რომ გეკითხათ, თვითონაც გაუკვირდებოდა ეს თავისი უცნაური განწყობილება.

კლუბს რომ მიუახლოვდა, ზურამ ესტრადიდან გადმომხტარ ვლასოვს მოჰკრა თვალი. პოლიტხელი თავქუდმოგლეჯილი გარბოდა საითღაც.

— ვლასოვ, სალამი! — გასძახა ზურამ, მაგრამ პოლიტხელს არც მოუხედავს მისკენ, დაფეთებული, ხელების ქნევით მიეფარა თვალს.

ზურა ესტრადის წინ ჩამწკრივებულ სკამებთან გაჩერდა და მიიხედ-მოიხედა. კლუბში კაცის ჭაჭანება არ იყო. ყმაწვილს ეუცნაურა ეს ამბავი. ამ საზეიმო დღეს ირგვლივ ყველაფერი საოცრად უპატრონო და მიტოვებული მოეჩვენა. „რა დაემართათ? ან ბიჭები მაინც სად არიან?“ — შეშფოთებით გაიფიქრა ზურამ. ტყეში ჩამომდგარი დუმილი ლოდივით აწვებოდა გულზე, თითქოს გაქვავდაო ტყე. მარტო მანქანების ყრუ გუგუნიღა ისმოდა გზიდან და ეს გუგუნი კიდევ უფრო მძიმესა და აუტანელს ხდიდა ირგვლივ გამეფებულ სიჩუმეს.

ზურამ შტაბისკენ გაუხვია. გზაზე რომ გავიდა, შეცბუნებული ადგილზე გახევდა. შარაზე ბღუილით მიქროდნენ ჯარისკაცებით სავსე მანქანები. [illegible] შტაბის წინაც მანქანები იდგა. მათ გარშემო მეთაურები და ჯარისკაცები ფუსფუსებდნენ. შტაბის უკან ტყეში თეთრად მოელვარე კარვები სადღაც გამქრალიყო, აღარც გუშაგი იდგა შლაგბაუმთან.

— რა ამბავია? რა მოხდა? — მივარდა ზურა ნაცნობ კაპიტანს, რომელიც გუშინ ასეულს ავარჯიშებდა მინდორზე. კაპიტანს ახლა ხელი მიედო რევოლვერის ბუდეზე, მანქანების გასწვრივ დარბოდა და რაღაც განკარგულებას იძლეოდა. მან გაოგნებულივით შეხედა ზურას, მაგრამ თითქოს ვერ დაინახა ბიჭი და გამყინავი ხმით იყვირა:

— ორმოცდამეშვიდე, სად ჯანდაბაში დაიკარგა ორმოცდამეშვიდე!..

ზურა გაკვირვებული მიაჩერდა მას. გუმანით მიხვდა, რომ მოხდა რაღაც საშინელი, გამოუსწორებელი რამ. მერე ჯარისკაცებს გადაავლო თვალი. ბიჭებს სახეები მოღუშოდათ, თითქოს ერთბაშად დაბერებულიყვნენ.

— შენ რა, ვერ გაიგე რა გითხრეს? — საიდანღაც დაეტაკა ზურას პოლიტხელი ვლასოვი, — ომი დაიწყო, გესმის?

ვლასოვმა გადააფურთხა, პილოტურა გაისწორა და საჩქაროდ გამოაღო კაბინის კარი.

— ყველა ადგილზეა? — ახედა ძარაში მსხდომ ჯარისკაცებს, მერე ბიჭივით შეისრუნტა ნისკარტა ცხვირით, კაბინაში შეხტა და ღონივრად მიიჯახუნა კარი.

— აბა, წავედით!

ზურა შესცქეროდა ერთმანეთში არეულ მანქანებს, საზიდრებს, ადამიანებს და უცებ მოეჩვენა, თითქოს შორიდან, ძლიერ შორიდან ვიღაც ეძახდა, თითქოს ნაცნობი იყო ის ხმა, მაგრამ მოტორების ამ გამაყრუებელ გუგუნსა და ცხენების დაფეთებულ ჭიხვინში ვეღარ მოეგონა, ვეღარ ეცნო.

— ზურა!.. აქეთ, ზუ-რა!.. — ახლა უკვე მკაფიოდ მოესმა ყმაწვილს და იმავე წამს გზის მეორე მხარეს გალინა დაინახა. ქალიშვილი ძველი, დანჯღრეული საბარგო მანქანის კაბინაში იჯდა და გამწარებული ეჯაჯგურებოდა კარს. მანქანა დატვირთული იყო რაღაც ყუთებითა და ქაღალდის შეკრულებით, რომლებსაც ზემოდან რამდენიმე წითელარმიელი გადაფოფრებოდა. კარი არ იღებოდა. გალინამ სასოწარკვეთით გამოხედა ზურას, მაგრამ როცა მისკენ გამოქცეული ბიჭი დაინახა, სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა.

— აქეთ, ზურა, აქეთ!..

ზურა ერთი ნახტომით გაჩნდა მანქანის საფეხურზე. გული ამოვარდნაზე ჰქონდა. გალინას ხელები, თბილი, ალერსიანი ხელები მთელი ძალით ჩაებღაუჭნენ მის ხელებს.

— ზურა!.. ზურიკო!.. მე მეგონა, ვეღარასოდეს ვეღარ გნახავდი!.. გესმის, ზურა?..

დიდი, ცისფერი თვალები უსაზღვრო სინაზითა და ტკივილით შესცქეროდნენ ბიჭს.

მანქანა დაიძრა. ზურას გვერდით, საფეხურზე, ვიღაც ახმახი სერჟანტი ამოხტა და ძარაში გაჩეჩხულ წითელარმიელებს ჩახლეჩილი ხმით დაუღრიალა:

— მუხინ! ივაშინ! რას უყურებთ? ვერა ხედავთ, ყუთები რომ გადმოვარდნაზეა? ტომრები გაასწორეთ, თქვენი!..

მერე ზურას მხარზე ხელი წაავლო და შეანჯღრია.

— აბა, ძმობილო, მორჩი ახლა...

ზურამ მხრის გაქნევით მოიშორა მისი ხელი, კიდევ უფრო მაგრად მოეჭიდა კარებს და ფანჯრისაკენ დაიხარა.

— გალია, მე შენ... მე სულაც არ მინდოდა მეწყენინებინა შენთვის, გესმის?

— რა სულელი ხარ, ზურა! რას ამბობ? — თვალები დაენამა ქალიშვილს, — ხომ იცი, რომ...

— ვიცი, ვიცი, გალია! ყველაფერი ვიცი! ჰოდა, მოგნახავ, უეჭველად მოგნახავ, გესმის?

ზურამ სწრაფად მიიზიდა ქალიშვილი, მოუხერხებლად აკოცა ლოყაზე და გადახტა.

— მისამართი!.. მისამართი, გა-ლია!.. — გაახსენდა უცებ, მაგრამ მანქანა უკვე მტვრის ბუღში იყო გახვეული. სერჟანტი ღრეჭით უქნევდა ხელს და რაღაცას უყვიროდა. მერე მტვერმა ისიც შთანთქა და შუაგზაზე გაშეშებული ბიჭი წამით თითქოს მოწყვიტა ყველაფერს, მეგობრებს, ახლობლებს, მთელს გზას, მთელს ქვეყანას...



# მთები, ისევ მთები





ზემოთ, მარცხნიდან — ელიკო ლორთქიფანიძე, მარო ბეჟანიშვილი; ქვემოთ, მარცხნიდან — მარო ტყავაძე, ლიდა ჩხეიძე და ასმათ ნიკოლაიშვილი.

### წინაპართა ნატერფალი

კავკასიონის კლდოვან ფერდობებს შუა ზაფხულამდე შემორჩენოდა თოვლი. ამაყად წამომართულიყვნენ ბუმბერაზი მწვერვალები და ჩამავალი მზის სხივებზე ოქროსფრად აელვარებდნენ ყინულის მუზარადებს. დარიალის ვიწროებში თერგზე დამხობილი ნისლები ფარფატით აყვნენ კლდეებს და ბინდბუნდში გაუჩინარდნენ.

ინგლისელი მთამსვლელები კოტე ფიცხელაურთან მიიჩქაროდნენ. ის კი სარეცელზე იწვა და სიცხიანი ბორგავდა...

სახადი გადაუტანიაო, დაასკვნა ექიმმა და ავადმყოფს წამალი მიაწოდა. ფერშფილდი, ჯგუფის ხელმძღვანელი მოორს და ტუკერს მიუბრუნდა.

— რაღაც შეცვლილი მეჩვენება. ხომ კარგად გახსოვთ ინგლისის სამეფო ალპურ კლუბში გამოკიდებული მაგის სურათი?

მათ თანხმობის ნიშნად თავი დააქნიეს.

ფერშფილდს მიუკარებელი მწვერვალის შესახებ რუსი მეცნიერის პაროტის 1811 წლის ჩანაწერი გაახსენდა — პაროტმა სცადა მყინვარწვერზე ასვლა, მაგრამ 4.000 მეტრზე ზევით ვერ ავიდა. ასევე უშედეგოდ დამთავრდა დოქტორ კოლენატის იერიში 1844 წელს. და აი ახლა მის წინ იყო ეს ძნელი ბილიკი, სადაც საიმედო მეგზურის გამოჯანმრთელებამდე ასვლა არ შეეძლო.

მაგრამ კოტე დიდხანს აღარ გაჩერდა საწოლზე...

ფრთხილმა ფერშფილდმა დრო შეარჩია და როცა კოტე ბანდულებს ბანდავდა, წინ რამდენიმე ოქრო დაუდო. მაგრამ რაოდენ დიდი იყო მისი გაკვირვება, როცა მოხევემ უკან დაუბრუნა ფული და ღონიერი ხელი მხარზე მეგობრულად დაარტყა.

— როცა შენს ქვეყანას წახოლ, დაე ცხვებმაც გაიგონ, რომ ამ კუთხის კაცი ოქროებს არ ეხარბებოს!..

ფერშფილდმა ოფლისაგან დაცვარული შუბლი მოისრისა და ამხანაგებთან დაბრუნდა...

პირველ ღამეს „პაპის საფართან" გაშალეს კარვები. მეორე დღეს კი, ხმაურას რომ გასცდნენ, კოტემ კიდევ შეუმსუბუქა ტვირთი თანამგზავრებს.

— ვინც წამომიყვანია, ამ ადგილს არ გასცილებია. მე კი მარტოს, აბა, რაი მინდოდა მყინვარწვერზე, — ამხნევებდა მათ.

ქარი და ყინვა მატულობდა, 4.800 მეტრზე სუნთქვა გაუძნელდათ. ტუკერსა და მოორს არაქათი გამოელიათ. „უნაგირას" რომ მიუახლოვდნენ, შეისვენეს. გამოცდილი მეგზური მათ სუნთქვას ადევნებდა თვალს და აუჩქარებლად აბოლებდა გრძელტარიან ჩიბუხს.

წამოიშალნენ. კოტემ თოფის წამლით მოისრისა თვალის მიდამოები. ეს იყო მისთვის ფერადი სათვალე. მხოლოდ ფერშფილდი აედევნა კოტეს.

შუადღისას მიაღწიეს მწვერვალის ლავგარდანს. კოტემ კიდევ მოხსნა ის თოკი, რითაც ფერშფილდი მყავდა გამობმული და დინჯად შეუდგა საფეხურების გამოკვეთას... კავკასიონი მთელი სიგრძე-სიგანით იყო გადაშლილი მათ წინ.

ეს იყო 1868 წლის 19 ივნისს. „მე მანამდე არ მენახა ისეთი ენერგიის კაცი, როგორიც ჩვენი გამყოლია", — წერდა თავის დღიურში ფერშფილდი. და როცა ინგლისის პრესა ალაპარაკდა — ჩვენმა მთამსვლელებმა პირველებმა დაიპყრეს მყინვარწვერიო — წინ მიმავალი კოტე, რომელმაც პირველმა შედგა ფეხი მწვერვალზე, არც მოიხსენიეს...

მაგრამ განა კოტე პირველი იყო? ჯერ უხსოვარ დროს გამოკვეთეს მოხევეებმა ბეთლემის მღვიმე, იქ, „სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა ორბნი, არწივნი ვერ შესწვდენიან".

მაგრამ მარტო კოტე ფიცხელაურისა და მისი წინაპრების შრომა როდი იყურებოდა წყალში. უცხოელი ვაჟბატონები ასევე ჩქმალავდნენ სვანების, თუშების და საერთოდ კავკასიელი მთიელების ამაგს.

მაგრამ აი, კავკასიის მწვერვალებს ქექა-ქუხილით გადაუარა რევოლუციის ქარიშხალმა. მის შუქზე უფრო ნათლად გამოჩნდა წინაპართა ნატერფალები, რომლებსაც თამამად გაჰყვნენ ახალგაზრდა საბჭოთა ალპინისტები.

### ახმაურებული ნაპრალები

ხევის პატარძალმა სახე ნისლის პირბადით მოიბურა, ქარმა ზარითა და ღრიალით ჩამოუქროლა მთებს, კალთებიდან თოვლი მოხვეტა და ნაპრალებში გრიალით ჩაყარა ზვავები. ყინვამ 20 გრადუსს გადააჭარბა. თვრამეტი მოიერიშე კი წარბშეუხრელად მიაბიჯებდა დათოვლილ პიტალოზე.

— ჩაებით, იერიში იწყება! — გასძახა მეგობრებს იაგორ კაზალიკაშვილმა.

— ფრთხილად, ბიჭებო, ფეხი არ დაგიცდეთ! — თავს დასტრიალებდა ახალბედა მთამსვლელებს პროფესორი გიორგი ნიკოლაძე...

„აღსრულდა მრავალი წლის ოცნება, — წერდა გიორგი ნიკოლაძე — მრავალი დღის შრომა და მზადება ასე ბრწყინვალედ დაგვირგვინდა".

ეს იყო 1923 წლის 28 აგვისტოს. თვრამეტმა მთამსვლელმა დაიპყრო მყინვარწვერი და ამით საბჭოთა ალპინიზმის ისტორიაში ჩაწერა პირველი სტრიქონები. ეს იყო პირველი მასობრივი ასვლა დიდ სიმაღლეზე. ამის შემდეგ, იმავე წლის 8 სექტემბერს ალექსანდრე დიდებულიძის სამეცნიერო ექსპედიციამ კვლავ დაიპყრო მყინვარწვერი. სწორედ იმ ხანებში გამოვიდნენ ასპარეზზე ძმები ჯაფარიძეები, მაშინ შეუერთდნენ მამაც ალპინისტთა რიგებს ლევი და შოთა მიქელაძეები, ნიკო ქირიკაშვილი, გიტო გიორგაძე, სოსო ასლანიშვილი...

უფრო საამაყო კი ის იყო, რომ ამ ასვლებში მონაწილეობდნენ პირველი ქართველი მთამსვლელი ქალებიც: ალექსანდრა ჯაფარიძე, ლიდა ჩხეიძე, მარო ბეჟანიშვილი, ელენე ლორთქიფანიძე, მარიამ ტყავაძე და ასმათ ნიკოლაიშვილი.

სიმონ ჯაფარიძის, გახა წიკლაურის, იაგორ კაზალიკაშვილის ხელმძღვანელობით ზედიზედ ეწყობა მრავალი ექსპედიცია, რამაც ხელი შეუწყო მთამსვლელთა რიგების ზრდას. მათ დიდი ამაგი დასდეს არა მარტო საბჭოთა, არამედ მსოფლიო ალპინიზმის განვითარებას.

ოცდაათიან წლებში მათ რიგებს ემატებიან სახელმოხვეჭილი მთამსვლელები — ი. მარი, ბ. ხერგიანი, გ. ზურებიანი, ჭ. ჩართოლანი, გ. გვარლიანი, გ. ხერგიანი.

### ბრძოლა მთებში

ომმა შეცვალა ხალხის ცხოვრება, შეცვალა მწვერვალების დამპყრობთა მისწრაფებებიც.

ბრესტის კედლებში მოექცა ალპინისტი გიორგი ქირიკაშვილი. კავკასიონზე ნაცადმა მუხლმა არც აქ უმტყუნა. შაშხანით ხელში ებრძოდა მტერს და დაჭრილი მეგობრებისაკენ გზას იკაფავდა, რომ მათთვის წყურვილი მოეკლა. „ძმაო ალიოშა, — წერდა იგი უფრო გვიან ა. ჯაფარიძეს, — გახსოვს, პირველად რომ ავცოცდი ჯიმარაის კლდეებზე. მაშინ მიწყრებოდი, ჩქარობო. ახლა ვერ გამიწყრები... თორმეტი დღე-ღამე თოკი წელიდან არ შემიხსნია..., არ დამაცალეს... ვიცი მტერს გავანადგურებთ, მაგრამ მე ველარ ვიჩქარებ მწვერვალებისაკენ, ფეხი აქ დავტოვე".

გულისტკივილით შეხვდა საქართველოს ალპური კლუბი იაგორ კაზალიკაშვილის შვილების — სტეფანესა და ისიდორეს მტერთან ბრძოლაში გმირულად დაცემის ცნობას; ალექსი კაზალიკაშვილმაც ომში დატოვა ფეხი.

იალბუზის მწვერვალებს ახსოვს პირგამეხებული ვაჟკაცები: გაბრიელ და ბექნუ ხერგიანები, გიორგი ხულაქველიძე. საშინელ ქარბუქსა და უამინდობაში მათ შესძლეს მწვერვალზე დატოვებული მტრის ნიშნის გადმოგდება.

ალპინისტები: შალვა ახათიანი, სანდრო გვალია, ილია დილმელაშვილი, ლევან ელიავა, ალექსი ივანიშვილი, გივი მელია, ნიკო ხიმშიაშვილი, დიმიტრი ჯაფარიძე და შოთა რევიშვილი სათავეში ჩაუდგნენ სამთო რაზმებს და უმაგალითო თავდადებით იბრძოდნენ საყვარელი მთების დასაცავად.

პოლკოვნიკმა გიორგი ნარიმანიძემ თავი ისახელა, როგორც სამთო-სადესანტო ბატალიონის მეთაურმა.

ალპინიზმის ინსტრუქტორებმა: ნატო ცნობილაძემ, მწერალმა ლევან გოთუამ, გიორგი ბაქრაძემ, ოთარ ყუფარაძემ, ნინო ოსიტაშვილმა, გენო რაიზერმა ათასობით სამთო მსროლელს შეასწავლეს მთაში სიარულისა და მოქმედების ტექნიკა.

1944 წლის 21 ივნისს ახლო აღმოსავლეთის უმაღლეს მწვერვალ დემავენდზე კოტე ჯავრიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო საბჭოთა ოფიცრების მასობრივი ასვლა.

დიდი დამსახურება მიუძღვის ომის წლებში ექიმ-ალპინისტს სოსო ასლანიშვილს, დავით წერეთელს, სამთო გზების მცოდნეებს კოტე ასტახიშვილს, ლევან სუჯაშვილს, ვახტანგ ქირიკაშვილს და სხვებს.

საბჭოთა ალპინისტები რისხვად მოევლინენ მტერს კავკასიონსა და კარპატებში.

### უფრო მაღალი მწვერვალებისაკენ

საბჭოთა ალპინიზმის აკვანი ქართველმა ხალხმა კავკასიონზე დაარწია. მაგრამ მთამსვლელობა ჩვენში არ არის მხოლოდ სპორტული გატაცება. ალპინისტები აწარმოებენ მთების მეცნიერულ კვლევას, სწვდებიან მთების გულში ღრმად ჩამარხულ საუნჯეებს.

მთამსვლელობის ენთუზიასტები არიან აკადემიკოსი ნიკო კეცხოველი, პროფესორი ლევან მარუაშვილი, დავით ფურცელაძე, მხატვარი ვერა ბელეცკაია, ცნობილი გეოგრაფი მელეტი სანებლიძე და სხვები.

ახლა ჩვენ ათობით სახელოვანი მთამსვლელი გვყავს, მათ შორის მიხეილ ხერგიანი, ი. კახიანი, ა. ნემსიწვერიძე, შ. მირიანაშვილი, ს. ცაიშვილი, გრ. გულბანი, ლ. სუჯაშვილი, ო. ხაზარაძე, რ. ხაზარაძე, გ. აბაშიძე, დ. ლაბაძე, ო. ბერაძე, ჯ. კახიანი და სხვები. მათ თავს დასტრიალებენ გამოცდილი მთამსვლელები, სსრკ დამსახურებული მწვრთნელები: ალ. ივანიშვილი და ო. გიგინეიშვილი, ჭალარა წინამძღოლი დიმიტრი ობოლაძე. მათ დაიპყრეს შახდარის ქედი, გამარჯვების პიკი, ლენინის პიკი, კომუნიზმის პიკი, მრავალჯერ მიიტანეს იერიში პამირსა და ტიანშანზე.

ამ ულამაზეს, ამაყ მწვერვალებს შარავანდედივით ადგას ალ. ჯაფარიძის, ს. ჯაფარიძის, პ. დვალის, შ. მიქელაძის, ვ. ხაიკაშვილის, ქ. ონიანის, ნ. მუხინის, ჯ. მეძმარიაშვილის, თ. კუხიანიძის, დ. ბაბაკიშვილის, გ. თიკანაძის და პამირის მყინვარებში მძინარე ი. გაბლიანის ნათელი ხსოვნა. მათი ვაჟკაცობა მოგვიწოდებს კიდევ უფრო მაღალი და მიუვალი მწვერვალებისაკენ.

**ჰერმანე მირიანაშვილი**



სამუშაო ოთახში.

# რაზე მუშაობენ ჩვენი მწერლები

## სტუმრად მცხეთაში კონსტანტინე ლორთქიფანიძესთან

ფოტო ო. თურქიასი
და ი. პესოვისა

ზღვაზე გაიცნეს ერთმანეთი. ქობულეთში.

ცხელი დღე იყო. სიმონმა და თადია რაინაულმა ის-იყო ტანთ გაიხადეს და ზღვას მიაშურეს, რომ უეცრად ქაფქაფა ტალღებმა ერთი ვიღაც გოგო ნაპირზე გამოაგდო.

ადგომა რომ დააპირა, ტალღამ ისევ მოუსწრო და წააქცია. იმ წამსვე წამოხტა, კისკისით გამოიქცა და ვიღაცას ხელი დაუქნია, — ლალი, სურათი გადამიღეო.

ისეთი მოხდენილი გოგო იყო, ტანადი, ხორცგალაღებული, და ისე კეკლუცად იდგა კენჭებზე აქაფებულ წყალში, რომ სიმონი ადგილზე გაშეშდა, გოგოს თვალი ვერ მოსწყვიტა.

— ნუ მიყურებ! — უთხრა უეცრად გოგომ.

სიმონი ჯერ შეცბა, მერე გულიანად გაეცინა. ზღვისპირზე ტევა არ იყო, კალათაში თევზებს რომ ჩააწყობენ, მობანავე ხალხი ისე იყო მიჯრუჭკული ერთმანეთზე.

— მთელი ქვეყანა გიყურებს, მე რაღად გამიწყერი, გოგოვ! — შეიკვირვა სიმონმა.

— ჯერ ერთი, მე შენი გოგო არა ვარ! — ეს რომ თქვა, თვალები ეშმაკურად აუციმციმდა, კიდევ უფრო ლამაზი და სანატრელი გახდა: — მეორეც — სხვებმა მიყურონ, შენ ნუ მიყურებ!

სიმონი მაშინვე თადიას მიუბრუნდა.

— თადია, დამთხარე თვალები!

— არ გეცოდება ამისთანა ბიჭი? — ჰკითხა თადიამ იმ უცნობ გოგოს.

— არ მეცოდება. — გოგოს პირზე სიცილი მოუვიდა, სწრაფად მობრუნდა და წყალში თევზივით შესრიალდა...

... და როდესაც ის გოგო ზღვაში გაბნეულ მოცურავეებს შეერია, სიმონს ჩუმად აღმოხდა:

— ეს რა მოჩვენება იყო, ბიჭო!

— იცი, ვინ არის?

— თეთნულდიდან ჩამოსული ჯეირანი...

— ანუ ტანმოვარჯიშე ქალი ელისო წერეთელი. შარშან არ გინახავს? ქუთაისის გუნდში გამოდიოდა „დინამოს" პირველობაზე. ჩამოდი, რას უყურებ!

სიმონმა ხმა არ გასცა, სილაზე ფეხი მოიკეცა და ზღვაში ჩასულ თადიას დაბნეულად გაუღიმა.

თადიამ ჩაიცინა: — ტყუილად უცდი, ბიჭო! აქ არ გამოვა, მაგათ ტანსაცმელი, ხედავ, აი იმ ჩარდახთან გაიხადეს!

— გინდა სანაძლეო!

— არა ბიჭო, კალთაში ჩაგიგორდება! — თადიამ მკერდზე წყალი შეისხა, ახლო მოსულ ტალღას ქეჩოზე შეახტა და ყირაზე გადავიდა.

ის დაუვიწყარი დღე ჩოხელს ყოველთვის მაშინ მოაგონდება, როდესაც ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვერ გაუგებენ და ბეწვის ხიდზე შედგებიან.

ჩოხელი თითქოს სითბოს და სინაზეს დაესესხება იმ კარგ დღეს და მაშინ მას ბევრი რამის პატიება შეუძლია.

• • •

ხაიდან არის ეს ეპიზოდი? რომელი წიგნიდან? ნუ ეცდებით, ვერ გაიხსენებთ. ესაა ერთი ადგილი კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი რომანის „ნატვრისთვალის" ჯერ გამოუქვეყნებელი მეორე ნაწილიდან.

მწერალმა უკვე დაამთავრა რომანზე მუშაობა და უახლოეს ხანში „ნატვრისთვალი" დაიბეჭდება ჟურნალ „მნათობში".

ფართო და ვრცელია კონსტანტინე ლორთქიფანიძის ახალი რომანის გმირთა ასპარეზი — აქ ასახულია ომის წლები და ქართველი ვაჟკაცების თავგანწირული ბრძოლა სამშობლოს დასაცავად, ნაჩვენებია ომისშემდგომდროინდელი სოფელი, დღევანდელი დღე ჩვენი ცხოვრებისა, თავდადებული შრომა ადამიანებისა, რომლებიც ძალღონის დაუზოგავად იბრძვიან, რათა მუდამ პირნათლად გამოვიდნენ ხალხის, სამშობლოსა და პარტიის წინაშე.

რომანი მოგვითხრობს კოლმეურნე გლეხებზე, პარტიულ მუშაკებზე, ჩვენს ინტელიგენციაზე, ჩვენს ახალგაზრდობაზე, საბჭოთა ხალხების ძმურ მეგობრობაზე, ახალი მორალის ფორმირებაზე.

ეს წიგნი მთელი წლების მანძილზე იწერებოდა. ავტორი ხშირი სტუმარი იყო შირაქისა, სადაც მისი რომანის გმირები ცხოვრობენ და შრომობენ. მწერალი დაწვრილებით იცნობს ამ მხარეს, მის ადამიანებს, მათ ყოფას, წარსულსა და აწმყოს; პირველი წიგნი შირაქზე, სახელწოდებით „ახალი გლეხები" მან ჯერ ისევ 1927 წელს დაწერა. მას შემდეგ არა ერთგზის შეხვედროდით მწერალს ტარიბანაზე თუ კოწახურის ქედთან, ნაომარზე თუ დიდნაურთან, ჩანკაანთ-წყალზე თუ მილარზე, ოლე-იორთან თუ ფურცელწყალზე, ენამთის ძირში თუ ალაზნის გადასახედთან, საიდანაც გადმოხატულია პეიზაჟი იმ ეპიზოდისათვის, რომელშიც მამა-შვილი ნადიბაიძეები გაგარეულებულ კამეჩს დასდევენ დასაჭერად.

აქ, ამ ადგილებში სად არ შევხვედრივართ, სად არ დაინახავდით კონსტანტინე ლორთქიფანიძეს თავისი განუყრელი ბერეტით და შოფრის კომბინეზონით. ტყუილად კი არ წაუმძღვარა მან თავის ახალ რომანს ეპიგრაფად:

შირაქის გზაზე მივდივარ,
უკან მაბრუნებს ქარიო.

მეხსიერებაში ცოცხლდება რამდენიმე სურათი.

... შირაქის ტრიალი მინდორი... სადღაც შორიდან ტრაქტორების ბუზუნი ისმის... ერთ ადგილას, გზის გადასწვრივ ადამიანები შეჯგუფებულან, ტრაქტორი გაუჩერებიათ და ეტყობა ჩხუბობენ. რა გული გაუძლებს კაცს, mისიც იმ მწერალს, რომელიც აქაურებზე რომანსა სწერს, გზიდან არ გადაუხვიოს და არ გაიგოს რაშია საქმე. იქ კი მართლაც მაგარი მიწევ-მოწევაა, ამხანაგები ძლივს აჩერებენ აგრონომსა და ტრაქტორისტების ბრიგადირს; პირველი აყვედრის — მიწას ნორმით დაწესებულ ოცდაორ სანტიმეტრზე არა ხნავო, ბრიგადირი კი თავს იმართლებს — მაგ სიღრმეზე კირი ამოდის და რაღა ჭირად გინდა მაგნაირი ნახნავიო. მართლაც, ნახნავის თავში გულამობრუნებული მიწა ერთთავად გადათეთრებულია კირისაგან. ორივე გამწარებულია და კაცი ველარ გაიგებს რომელია მართალი; მათ შორის ტრიალებს მწერალიც თავისი ბლოკნოტით, მაგრამ ვისა სცალიან იქ ინტერვიუსათვის? ან რად გინდა ინტერვიუ? იმაზე მეტი რა უნდა გითხრან, რასაც აქ დაინახავ და გაიგონებ?



მეორე დღე... ზემოქედი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, კოლმეურნეობის თავმჯდომარის არსენა კობაიძის ეზო. მოხუცი პაპა დერეფანში ზის, მუხლებზე ჩონგური უდევს და სიმღერაში ოდესღაც გზად შემოყრილ ქისტებს ედავება. ვიღაცის მანქანა დაჩვეული ცხენივით შემოდის ეზოში, არსენა ხელგაშლილი ეგებება სტუმრებს.

და აი, დიასახლისმა ელვის სისწრაფით გაშალა სუფრა.

— რატომ აქამდე არ მითხარით, რომ ჩვენი დიასახლისი ქუთაისელი ყოფილა? — გაოცებით იძახის კონსტანტინე.

— არა ბატონო, — ისმის საიდანღაც დიასახლისის ხმა, — ქუთაისელი არა ვარ.



მწერალი ხანდახან მეზობლის ვენახსაც ეხმარება.

— როგორ არა, — აღარ ცხრება სტუმარი, — განა ვერა ვხედავ? ასეთ სუფრას, ასე ელვასავით მარტო იმერელი ქალი თუ გაშლის!

— არა ბატონო, აქაური ვარ, არბოშიკელი... გედიქის ხეობაზე არ ამოგივლიათ? სწორედ იქიდანა ვარ, — სიცილით ეპასუხება დიასახლისი გამხიარულებულ სტუმარს.

საუბარში არსენა ჩაერია:

— კონსტანტინე, ვატყობ, შენს რომანში მაგ ადგილს გადაკეთება მოუხდება, აი იმას, სადაც სუფრა იქნება აწერილი.

... ამ შეხვედრებმა, შირაქის გზებზე და კალოებზე სიარულმა მწერალს ბევრი რამ ახალი აჩვენა, შესაძლებლობა მისცა თვალი გაედევნებინა ჩვენი ადამიანების ცხოვრების, შრომისა და ყოფისათვის.

ამ დღეებში ჩვენი ჟურნალის თანამშრომლები და ფოტოკორესპონდენტები მწერალს მცხეთაში, მის ბინაზე ესტუმრნენ, კონსტანტინე ლორთქიფანიძემ მათ თავისი ახალი რომანის გამოუქვეყნებელი თავები წაუკითხა.

დღეს ჩვენ ვაქვეყნებთ რამდენიმე ფოტოსურათს, რომელიც ჩვენმა ფოტოკორესპონდენტებმა ამ შეხვედრის დროს გადაიღეს.

გიორგი ნატროშვილი

მცხეთაში ახალი გათხრები დაიწყო. კონსტანტინე ლორთქიფანიძეს ხშირად ნახავთ აქ.



## „ცისკრის" აფხაზური ნომერი

აფხაზმა ხალხმა ჯერ ისევ უძველეს დროს თავის ენაზე შექმნა ორიგინალური პოეტური სიმღერები, ლეგენდები და ანდაზები, საგმირო ეპოსისა და სატრფიალო ლირიკის არა ერთი შედევრი; ზეპირსიტყვიერების ეს საუნჯე ესტაფეტასავით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ამიტომაც ეს ფოლკლორი აფხაზურ ფაცხებში საუკუნეების მანძილზე წიგნის მაგივრობას სწევდა. ზეპირსიტყვიერების შესანიშნავმა ქმნილებებმა („ქამუცაპა ნართიბზე", „აბრსკილის მამაცი მანხაისი — შვიდი ძმის მეილისა და მშვენიერი მადინასი", „თქმულება აბრსკილზე" და სხვ.) ცხოველმყოფელი გავლენა მოახდინეს აფხაზური ლიტერატურის განვითარებაზე.

XIX—XX საუკუნეების მიჯნაზე იწყება აფხაზური ბეჭდვითი ლიტერატურის ისტორია. ამ ლიტერატურის აკვანთან იდგა დიდი სახალხო მწერალი დიმიტრი გულია. აფხაზური ლიტერატურის განვითარებას დიდად შეუწყო ხელი ს. ჭანბას, ლ. კვიწინიას, ქ. აგუმაას, ლ. ლაბახუას, ა. ლასურიას მდიდარმა შემოქმედებამ.

ახლა საქვეყნოდაა ცნობილი დ. გულიას, ბ. შინკუბას, ა. თარბას, ი. პაპასკირის და სხვათა ნაწარმოებები. დიმიტრი გულიას ცნობილი ლექსი — „პარტია" თარგმნილია 74 ენაზე.

ქართველი მკითხველი ყოველთვის დიდი გულისყურითა და სიყვარულით ადევნებს თვალს მოძმე აფხაზეთის ლიტერატურის აყვავებასა და გაფურჩქვნას.

ამიტომ შეხვდა ქართველი საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით ჟურნალ „ცისკრის" მე-9 ნომერს, რომელიც მთლიანად აფხაზურ ლიტერატურასა და ხელოვნებას მიეძღვნა.

ჟურნალი იხსნება საქართველოს მწერალთა კავშირის მდივნის სერგი ჭილაიას შესავალი წერილით. საქართველოს კომუნისტური პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივნის დამიანე გოგოხიას წერილში გაშუქებულია აფხაზური ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების გზები და პერსპექტივები.

ჟურნალში მოთავსებულია აფხაზური მწერლობის სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა ლექსები და მოთხრობები, რომელთა თარგმანები შესრულებულია ცნობილი ქართველი მწერლების მიერ.

მდიდრადაა ჟურნალში წარმოდგენილი კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის, სატირისა და იუმორის განყოფილებები. ჟურნალის ყდას და ჩანართს ამშვენებს აფხაზი მხატვრების ნამუშევრები.

ჟურნალში გამოქვეყნებული „მეტყველი ფაქტები" გვამცნობენ აფხაზეთის ცხოვრების სხვადასხვა დარგების მიღწევებსა და წარმატებებს. აქვეა მოთავსებული აფხაზი მწერლების პორტრეტები და მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

„ცისკრის" რედაქციამ უდავოდ მისასალმებელი საქმე გააკეთა. ქართველი მკითხველები კიდევ უფრო ახლოს გაეცნენ მოძმე აფხაზეთის მწერლების მიერ უკანასკნე წლებში შექმნილ ნაწარმოებებს.

## რა არის ალერგია

„ექიმო, საშინელი სურდო და თავის ტკივილი მაქვს, მახველებს კიდეც. ჩვეულებრივი გრიპია, მაგრამ აი უკვე მესამე კვირაა ვერაფერი მომიხერხეს, ახლა კი რატომღაც თქვენთან გამომგზავნეს"... — ასეთ საჩივრებს ხშირად გაიგონებთ მოსკოვის სამეცნიერო-საკვლევ ალერგოლოგიურ ლაბორატორიაში, რომელსაც ხელმძღვანელობს პროფესორი ანდრეი ადო.

მართლაც, ერთი შეხედვით, ეს ავადმყოფობა მეტად წააგავს ჩვეულებრივ გრიპს, მაგრამ მისი გამომწვევი მიზეზი გაცილებით როდია.

ლაბორატორიაში ავადმყოფს აუღეს ანალიზები ყველა სახის ალერგიული დაავადების მიხედვით, მაგრამ რეაქცია უარყოფითი გამოდგა. მაშინ ლაბორატორიის მუშაკებმა დახმარებისათვის მიმართეს... მტვერსასრუტს. ამ აპარატით შეიარაღებული ლაბორანტი ავადმყოფის ბინისაკენ გაეშურა. ის იქ ისე იქცეოდა, როგორც კარგი დიასახლისი: წმენდდა დივანს, სავარძლებს, ძვრებოდა საწოლების ქვეშ...

და აი, მტვერსასრუტმა დასვა დიაგნოზი — ავადმყოფობის მიზეზია ოთახის მტვერი, რომელიც შეიცავს ალერგენებს. ალერგენები ჩვეულებრივი ნივთიერების — ბალახის, ბეწვის და ა. შ. ნაწილაკებია, რომლებიც ზოგიერთ ადამიანზე უარყოფითად მოქმედებენ და იწვევენ სხვადასხვა დაავადებას. თუ ეს ნაწილაკები ავადმყოფის ხელის განაკაწრში მოხვდა, თხუთმეტი წუთის შემდეგ ის ადგილი გაწითლდება. ამრიგად, ყველაფერში დამნაშავე ყოფილა ოთახის მტვერი. ამის შემდეგ ადამიანმა უფრო ხშირ-ხშირად უნდა დაალაგოს თავისი ბინა და თანაც უნდა გაიაროს ხანგრძლივი მკურნალობის კურსი ალერგენებისადმი იმუნიტეტის გამოსამუშავებლად.

რა არის ალერგია? ეს სიტყვა ბერძნული წარმოშობისაა და შედგება ორი სიტყვისაგან: „ალოს" — სხვა და „ერგონ" — ვაკეთებ; ასე რომ მისი პირდაპირი თარგმანი იქნება „ვაკეთებ სხვანაირად". ხომ არიან ადამიანები, რომლებიც ვერ იტანენ იასამნის, ჟამბახის ან ცაცხვის სუნს, ან მათ ორგანიზმს არ უხდება კვერცხი, შოკოლადი, პამიდორი. ამას წინათ ლაბორატორიას მიმართა ერთმა მოქალაქემ თითქოს უცნაური პრეტენზიით — თურმე ზაფხულს ის ვერ იტანს, წლის ამ დროს ის ცუდად გრძნობს თავს. აქ ყველაფრის მიზეზი მცენარეთა მტვერია. ალერგიულ დაავადებას აკუთვნებენ ასთმასაც. იგი ემართებათ იმ ადამიანებს, რომლებსაც სახლში კატები ჰყავთ. ავადმყოფობას იწვევს ცხოველის ბეწვი, რომელიც სასუნთქ ორგანოებში ხვდება.

ერთხანს ალერგია წარმოიქმნებოდა პენიცილინის, სტრეპტომიცინის, ბიომიცინისა და სხვა ანტიბიოტიკების არასწორად მიღების დროს. საქმე იმაშია, რომ ანტიბიოტიკები, რომლებიც საუცხოოდ ჰკურნავენ მრავალ ანთებით პროცესს, ადამიანის ორგანიზმში ჰკლავენ ალერგენებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უნარს. ამიტომ ეს წამლები ავადმყოფმა მხოლოდ ექიმის რჩევით უნდა მიიღოს.

შესაძლებელია თუ არა ალერგიის წინააღმდეგ ბრძოლა? რა თქმა უნდა, შეიძლება. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა მისი განსაზღვრა. საჭიროა ავადმყოფთა ზუსტი აღრიცხვა. ამ ხენით დაავადებული უნდა მოერიდოს მისთვის მავნე ალერგენებს. შეიძლება მას პროფესიის გამოცვლაც კი დასჭირდეს. ყოველივე ეს თუ ხელს არ მოხპობს, უკიდურეს შემთხვევაში, მინიმუმამდე მაინც დაიყვანს ამ ავადმყოფობის შემთხვევებს.

# ხიროსიმული ფირფიტა

## ვერონიკა პორუმბაკუ
(რუმინელი პოეტი ქალი)

მოსკოვში, მსოფლიოს ქალთა კონგრესზე, იაპონელმა ქალებმა ჩამოიტანეს ფირფიტა, რომელზედაც ჩაწერილი იყო სიმღერა, შესრულებული ბავშვთა გუნდის მიერ ხიროსიმას ერთ-ერთ სკოლაში. ნორჩ მომღერალთა ეს გუნდი მთლიანად დაღუპულა ატომური ბომბის აფეთქების დროს.

უნდა გედოს გულში ლოდი —
ხმამ არ შეგძრას უამესმა.
ეს ხმა ზეცით როდი მოდის
და, ან განა, სიზმრად მესმა?

ანგელოზთა ჰანგი მაგზნებს,
რომ მღერიან ახლაც წყნარად,
და ფირფიტის წვრილ-წვრილ ხაზებს
დავყურებ და ტანში მზარავს.

ჰანგი ცრემლის დამღვრელია,
დათრთის თოთო ხმები მხოლოდ,
და სიმღერა ნამღერია,
შეწყვეტილი უცებ ბოლოს.

არც აწვიმთ და აღარც ათოვთ,
მცირე ბორცვსაც ვერ ჰვრეტს თვალი,
და მიწიდან, ასე სათნო,
აიწმინდა მათი კვალი.

კვამლში ჩამდგარ წლების მერე,
შეაღვიძეს ბალღნი, განა?
უპატრონო ხმები ჟღერენ —
ტოროლების წკრიალს ჰგვანან.

ჰანგი ჩრდილად გასდევს დროს და
ფირფიტაა შავი ფერის,
და, ვით ჯგუფი ანგელოზთა,
მკვდარ ბავშვების გუნდი მღერის...

თარგმანი ვასილ გვეტაძისა

# დრო

## ილია ხოშტარია

დიდხანს ლოდინი არ მაღონებდა,
ჩემთვის ვფიქრობდი — ვიცი შინ არი,
იმ სანეტარო წუთს მაგონებდა
ტბაზე გედების ფრთების შრიალი.

ოდეს დახშული — ასე ვამბობდი, —
კარი გულისა ნელა შეაღე,
ელვარე თვალებს როგორ დავთმობდი
ო, სიჭაბუკის დღეთა სილაღევ!..

შემომხედავდი, დახრიდი წამწამს,
ვხარობდი, მერგო ბედი მზიანი,
სიყვარულისთვის, — ორთავეს გვწამდა,
რომ გაჩენილა ადამიანი.

ბრწყინავს ნათელი, ურვა მოგვესპო,
წელთა სიმრავლე ვერა, ვერ დაგვღლის,
ჰა, გაიხარე რა დრო მოგვესწრო,
ალმაფრენისკენ ისევ გვეძახის.

### პირველი საფოსტო ყუთი

პირველი საფოსტო ყუთი დადგეს ფლორენციაში 400 წლის წინათ. იგი ქალაქის მერის სასახლის წინ ეკიდა. საფოსტო ყუთში ყრიდნენ მხოლოდ ანონიმურ წერილებს, რომლებშიც ასმენდნენ ეროტიკოსებსა და „ეშმაკთან კავშირში" შემჩნეულ ფილოსოფოსებს, პოლიტიკურ მოღვაწეებს, მეცნიერებს.

### მიკროფონთან არიან... ჩვილები

მეცნიერებმა მიზნად დაისახეს გაერკვიათ, თუ რა განსხვავებაა იმ ბგერებს შორის, რომლებსაც გამოსცემენ სხვადასხვა ქვეყნის ახლად დაბადებული ბავშვები.

როდესაც მაგნიტოფონის ფირზე ჩაიწერეს ბავშვების ბგერები და შემდეგ გულმოდგინედ გააანალიზეს, მეტად უცნაური რამ გამოირკვა: სხვადასხვა რასისა და ეროვნების ახლად დაბადებული ბავშვები ერთსა და იმავე „ფონეტიკურ ენაზე საუბრობენ". ჩვილების ტირილსა და ყვირილში მოხერხდა აღმოეჩინათ ყველა ცნობილი ენის ძირითადი ფონეტიკური ელემენტი.

### ავიაცია და შხაპი

რეაქტიული თვითმფრინავი უკვე აეროდრომის თავზეა. დასაჯდომ ბილიკზე დაშვებისას იგი წყლის მძლავრი ჭავლის ქვეშ ექცევა და სწრაფად კარგავს სიჩქარეს.

თვითმფრინავების წყლის „შხაპით" დამუხრუჭების მეთოდს უკვე რამდენიმე თვეა, რაც ინგლისში ცდიან. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ასეთი მეთოდი მნიშვნელოვნად ამცირებს ხანძრის გაჩენის საშიშროებას, გარდა ამისა, თვითმფრინავებს მიწაზე დაშვებისას ჭყოფნით შედარებით მოკლე დასაჯდომი ბილიკი.

### „თვითმომსახურება" ოპერაციის დროს

ტკივილი, რომელსაც ჩვენ განვიცდით, ყოველთვის როდი შეესაბამება ტკივილის შემგრძნობი ნერვების ფაქტიურ გაღიზიანებას. ხშირ შემთხვევაში ადამიანი წინდაწინ განიცდის ტკივილის შიშს, რის გამოც შედარებით იოლი, უმტკივნეულო სამედიცინო პროცედურის გადატანაც კი უჭირს.

უკანასკნელ ხანებში ინგლისში ტკივილებს წარმატებით ებრძვიან ე. წ. „თვითმომსახურების" მეთოდით. ოპერაციის წინ პაციენტს აძლევენ საგანგებო ნიღაბს. ტკივილის შეგრძნობისთანავე ავადმყოფს ნიღაბი პირთან მიაქვს და ღრმად ისუნთქავს გაზის ნარევს. სინამდვილეში ეს გაზი ნაწილობრივ აყუჩებს ტკივილებს, მაგრამ ავადმყოფი, რომელიც დარწმუნებულია ეს ნიღაბი მიშველისო, ისე განეწყობა ფსიქოლოგიურად, რომ ტკივილები მართლაც „უქრება".

პაციენტი, რომელმაც იცის, რომ ყოველ მომენტში შეუძლია ტკივილების „გაყუჩება", უშიშრად მიდის საოპერაციოდ.

### რა ღირს ფეხბურთელი

დასავლეთის ქვეყნებში, სადაც ყველაფერი ფულზე იყიდება, წინასწარ ფასი აქვთ დადებული ფეხბურთის ყველაზე საუკეთესო ოსტატებსაც. იტალიელ მიმომხილველს გუიდო ჯეროზას მილანის ჟურნალ „ეპოკას" ფურცლებზე მოთავსებულ თავის წერილში „თითო [...] ღირს 80 მილიონი" მოჰყავს [...], რომლითაც განსაზღვრულია ფეხბურთელთა ფასები იმ შემთხვევისათვის, თუ ფეხბურთის რომელიმე კლუბი მოიწადინებს ამა თუ იმ ოსტატის შესყიდვას. შესყიდვის ოპერაციებს აწარმოებენ სპეციალური საფეხბურთო მაკლერები. საინტერესოა, რომ ფასები აქაც ისევე იცვლება ხოლმე, როგორც აქციებისა ბირჟაზე.

ასე, მაგალითად, თუ რომელიმე ფეხბურთელმა სეზონი ისე ჩაატარა, რომ არავითარი ტრავმა არ მიუღია, მისი ფასი დაუყოვნებლივ მაღლა იწევს.

ჯეროზას მოჰყავს ფეხბურთელთა წლევანდელი ფასები. ამ ნიხრის მიხედვით „მილანის" მარცხენა ნახევარდამცველი რივერა ღირს 600 მილიონი ლირა (რივერა ამჟამად ოცი წლისაა, როცა თექვსმეტი წლისა იყო — მას 100 მილიონად აფასებდნენ), სორმანი ღირს 500 მილიონი, კორსო — 450 მილიონი, სივორი, ალტაფინი, სუარესი, ანჯელილო, დელ სოლი, ხამრინი, მალდინი და ტრაპატონი — თითო 400 მილიონი ლირა, მაცოლა — 380 მილიონი, ბულგარელი — 350, მეკარე ვიერი — 300, მასკიო და დომენგინი — თითო 250, ამარილდო, ჟაირი და ჰიტჩენსი — თითო 200 მილიონი.

ამას გარდა, ხდება ისიც, რომ ესა თუ ის მოთამაშე გამოცხადებულია ვისმე „კერძო საკუთრებად". არიან მაკლერები, რომლებიც ჩალის ფასად იყიდიან ხოლმე მოთამაშეს პროვინციული კლუბისაგან და შემდეგ ისეთ ფასად მიჰყიდიან მსხვილ საფეხბურთო კლუბს, რომ მილიონობით მოგებას ღებულობენ.

# ზოგი რამ მარილზე



მარილს ადამიანი უხსოვარ დროიდან ხმარობს. დროთა მანძილზე მას სიმბოლიური მნიშვნელობაც კი მისცეს. რომაელი მწერალი პლინიუსი ამტკიცებს, რომ ძველ რომში არც ერთი მსხვერპლადშეწირვა უმარილოდ არ სრულდებოდა. ეგვიპტესა და აფრიკის სხვა ქვეყნებში მარილს იყენებდნენ ავგაროზად. სენეგალში სწამდათ, რომ თუ კაცი წარმოთქვამდა ფრაზას: „ჩვენ ვჭამთ მარილს", იგი ხიფათს აიცილებდა თავიდან. რუსეთში პური, ზედ დადებული მარილით სტუმარ-მასპინძლობის, კეთილი შეხვედრის სიმბოლოდ გადაიქცა. შორეულ წარსულში მარილი ძალიან ძვირად ფასობდა, განსაკუთრებით ძველ რუსეთში. როცა მარილზე გადასახადები იზრდებოდა, იწყებოდა „მარილის ამბოხებები".

ფილოლოგები თვლიან, რომ საერთაშორისო სიტყვა „სალდათი", ინგლისური სიტყვა „სელერი" და ფრანგული „სელეირე" (ხელფასი) წარმოიქმნენ ლათინური სიტყვიდან „სალ" (მარილი). ეს იმით აიხსნება, რომ რომში დაქირავებულ ჯარისკაცებს ხშირად ჯამაგირს მარილით უხდიდნენ. მარილის საყიდლად მათზე გაცემულ ფულს კი უწოდებდნენ „სალარიუმს". იტალიის ერთ-ერთ უძველეს გზას, რომლითაც შემოჰქონდათ მარილი, დღესაც ვია-სალარიას (მარილის გზას) უწოდებენ. ჩვენს დროშიც კი საჰარის მცხოვრებთათვის მარილი ასრულებს გასაცვლელი პროდუქტის როლს და ხშირად ფულის მაგივრობას ეწევა.

ცნობილია, რომ ადამიანს უმარილოდ ცხოვრება არ შეუძლია და ამაზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

განიანგარიშებულია, რომ დედამიწის მოსახლეობას ყოველწლიურად სჭირდება 22 მილიონი ტონა სუფრის მარილი. თვითეული ადამიანი წელიწადში საშუალოდ 8 კილოგრამ მარილს ხმარობს.

მიწის წიაღში ქვა-მარილის უდიდესი მარაგია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ეს მარაგიც დაილევა. ამ შემთხვევაში კაცობრიობის მხსნელად ოკეანე გამოვა. ამჟამად მოპოვებული მარილის ერთ მესამედს ზღვის წყლის აორთქლებით იღებენ. „ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის" ქვეყნებში ზღვის წყლიდან ყოველწლიურად 4 მილიონ ტონა სუფრის მარილს იღებენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 2 მილიონ ტონაზე მეტს.

ათას კუბომეტრ ზღვის წყლიდან მიიღება 1,3 ტონამდე მარილი. მსოფლიოს ოკეანეები სუფრის მარილის უმდიდრესი საკუჭნაოა. იგი შეიცავს 38.000.000 მილიარდ ტონა (38 × 1015 ტონა) მარილს. თუ მოხმარების თანამედროვე დონეს ავიღებთ, ეს მარილი დედამიწის მოსახლეობას 1,7 მილიარდ წელიწადს ეყოფა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ალპინისტები

ფოტო შ. ჩართოლანისა







ეროვნული
ბიბლიოთეკა




ეს რა არეულობაა სტადიონზე,
რას უყურებს მსაჯი?

ფოტო
თ. არჩვაძისა.

# ფეხბურთის მრისხანე მეტოქე

ერთი წუთით გადავიდეთ ფიქრით წარსულში, გავიხსენოთ ის დრო, როცა თბილისში არ იყო ფეხბურთის მოედანი, როცა არ არსებობდნენ ფეხბურთელები და, ცხადია, არ იყვნენ ფეხბურთის გულშემატკივრებიც. სამაგიეროდ, იმხანად, სოფლად თუ ქალაქად, ხალხი გასართობად სპორტის ერთ ძალზე საინტერესო სახეობას მისდევდა. ეს გახლდათ ლელო; საქართველოში ის ცნობილია უხსოვარ დროიდან. მკვლევარები ამტკიცებენ, რომ კავკასიონის მთაგრეხილს გადმოღმა ლელოს თამაშობდნენ ასეული წლების წინათ.

მაგრამ ინგლისელებს ამას ვერ გააგონებთ. ლელოს სამშობლოდ მათ თავიანთი ქვეყანა მიაჩნიათ. მათ ლელოს დაბადების ზუსტი დრო და თარიღიც კი აღნუსხული აქვთ — 1823 წლის 7 აპრილი. იმ დღეს ერთ პატარა ინგლისურ ქალაქ რეგბიში ტარდებოდა იმ დროისათვის ჩვეულებრივი ბურთის თამაში. ბურთი მიჰქონდათ ხელებითა და ფეხებით; უცებ ერთმა მოთამაშემ ხელთ იგდო ბურთი, არ გადასცა იგი პარტნიორს, როგორც მაშინ მიღებული იყო და გაიქცა მოწინააღმდეგის „ქალაქისაკენ". გაქცეულს დაედევნენ ბურთის წასართმევად.

ასე ხელახლა დაიბადა ინგლისში ჩვენებური ლელო რომელმაც ზემოხსენებული ქალაქის სახელი მიიღო ეს ამბავი ინგლისში უკვდავყოფილია რეგბის კოლეჯში დადგმული მემორიული დაფით. სამწუხაროდ, ჩვენ, ქართველებს არა გვაქვს დადგენილი ლელოს დაბადების ადგილი და თარიღი, თორემ არც ჩვენ დავიშურებდით ერთ ობელისკს ზუგდიდსა თუ მახარაძეში ლელოსთვის.

რეგბი, ისევე როგორც ლელო, უაღრესად ტემპერამენტული, დინამიური და მრავალი მოულოდნელობით აღსავსე თამაშია. რეგბი შეიცავს ფეხბურთისა და



საქართველოს რეგბისტები.

კალათბურთის ილეთებს, ხტომისა და აკრობატიკის ტექნიკას. რეგბისთვის ისეთივე მოედანია საჭირო, როგორც ლელოსათვის, ოღონდ კარით. მისი კარები ჰგავს ასო H-ს. თავდაპირველად ინგლისელები ბურთის მაგიერ თურმე ნაგვით გატენილ ტომარას აბურთავებდნენ (შემდგომში ეს შეცვალა ხარის ბუშტმა, რასაც უნდა უმადლიდეს რეგბი თავის ნესვისებურ ფორმას).

უნდა ითქვას, რომ რეგბის ბურთს, ლელოს ბურთთან შედარებით, ის უპირატესობა აქვს, რომ უფრო ადვილად და სწრაფად შეიძლება მისი გადაცემა. ფეხით წალება ბურთისა, მისი ფორმის გამო, რეგბისტებს თუმც უჭირთ, მაგრამ წვერზე შეყენებული ბურთი ფეხის დარტყმით შეიძლება ძალზე შორს და ძალზე ზუსტად გადაისროლოთ.

ერთხელ სიდნეიში ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ნაკრებებს შორის მატჩის დროს მოხდა დაუჯერებელი რამ — ბურთი, რომელმაც გადაწყვიტა თამაშის ბედი, გატანილი იქნა... 78 მეტრის მანძილიდან. იმ ადგილზე, სადაც ეს „სასწაული" მოხდა, სტადიონის მფლობელმა გრანიტის თბელისკი აღმართა, ადგილი შემოზღუდა და მსურველებს ფასს ახდევინებდა ამ ადგილის დანახვაში. ამავე ფასით მსურველს შესაძლებლობა ეძლეოდა ერთჯერ ეცადა მსოფლიო რეკორდის განმეორება. მსურველები ახლაც საკმაოდ ბევრია.

ვინ იცის რამდენი ლელო და რა მანძილიდან გაუტანია ჩვენებურ კაცს; სამწუხაროდ, არც ეს ჩაუნიშნია ვინმეს.

ასე საკვირვლად ემთხვევა ყველაფერი ერთი-მეორეს რეგბისა და ლელოს თამაშში. არა, ნამდვილად აქ სხვა რაღაც ამბავია: უთუოდ ჩვენი ლელო, ერთ მშვენიერ დღეს, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ეწვია ინგლისს. აქ მან ჩოხა გაიხადა, ჩაიცვა სმოკინგი, დაიხურა ცილინდრი, დაირქვა რეგბი და მოჰყვა ევროპაში წანწალს. ნისლიანი ინგლისიდან მზიან იტალიაში ჩავიდა, მერე გერმანიაში შეუხვია, მერე დანიაში, მერე დაჰკრა ფეხი და პირინეის ნახევარკუნძულზე — ესპანეთსა და პორტუგალიაში ამოჰყო თავი; მალე ევროპაც აღარ იკმარა — მოინახულა ავსტრალია, კანადა, სინგაპური, სამხრეთ აფრიკის კავშირი, იაპონია და კიდევ ვინ მოსთვლის სად არ შეხვდებით რეგბის!

ფრანგებს რეგბი თავიანთი სპორტის ყველაზე ძვირფას სამკაულად მიაჩნიათ. სტადიონების ორი მესამედი მათ რეგბის დაუთმეს. მხოლოდ ერთი მესამედი დაუტოვეს ფეხბურთს. და აი, იმ ქვეყანაში, რომელსაც სახელგანთქმული ფეხბურთელები—კოპა და ფონტენი ჰყავს, ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად მიჩნეულია რეგბისტი ჟან მიასი.

ეს თამაში რუმინეთშიც ძლიერ უყვართ. იქ რეგბის ასწავლიან სკოლებში, რადგან თვლიან, რომ არ არის სპორტის სხვა სახეობა, რომელიც ისე თანაბრად ავითარებდეს ადამიანის ორგანიზმს, როგორც რეგბი. რუმინეთი უცვლელი მფლობელია „გამარჯვების თასისა". ეს თასი ყოველწლიურად თამაშდება სოციალისტურ ქვეყნებს შორის.

მაგრამ ინგლისს რეგბის სიყვარულშიც ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეეცილება. თუმც ინგლისელებმა ბოლო წლებში „ეროვნებათა თასი" და ევროპის თასიც ფრანგებს დაუთმეს, მაგრამ აქ რეგბი კვლავ ფეხბურთის აღიარებულ და მრისხანე კონკურენტად რჩება. მარტო უელსში რეგბის ექვსასამდე კლუბია, შოტლანდიაში — ოთხასამდე.

ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი, სადაც მონოპოლია მოპოვებული აქვს ბეისბოლსა და ამერიკულ ფეხბურთს, ბოლო დროს რეგბიმ დიდი სიყვარული დაიმსახურა.

ნამდვილ რეგბის ჩვენს ქვეყანაში მსოფლიოს ახალგაზრდობის ფესტივალის დროს გაეცნენ. ამ საინტერესო თამაშმა მიიზიდა ათასობით სპორტის მოყვარული, და რეგბიმ თანდათან მოიკიდა ფეხი საბჭოთა კავშირში. ახლა რეგბის მისდევენ ჩვენი ქვეყნის ათ რესპუბლიკაში. ამიტომ სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციის მიზნით, პროფკავშირების საკავშირო საბჭომ გადაწყვიტა თბილისში ჩაეტარებინა საკავშირო ტურნირი სპეციალურ პრიზზე. შეჯიბრებაზე გამო-



ეს ჩვენი ძველებური ლელოა.
ფოტო მ. კვირიკაშვილისა

ვიდა ექვსი უძლიერესი კოლექტივი. მათ შორის იყვნენ ქართველი რეგბისტები. ძალიან ძნელი იყო გზა თბილისის ტურნირში მოსახვედრად; ასე მაგალითად, მოსკოვის „ტრუდს“ ათი გუნდი უნდა დაემარცხებინა, რომ მიეღო ბილეთი თბილისისაკენ. ამავე მდგომარეობაში იყვნენ სხვა გუნდებიც.

პირველი თამაში თბილისელებმა რიგის „დაუგავასთან“ ჩაატარეს. როგორც ცნობილია, თბილისელები ახალი დაბრუნებულები იყვნენ რიგიდან, სადაც მონაწილეობას იღებდნენ „ვეფის“ თასის გათამაშებაში. იქ თბილისელებმა თუმც გადამწყვეტი შეხვედრა მასპინძლებთან ფრედ დაამთავრეს, მაგრამ ბურთების საერთო შეფარდებით იძულებულნი იყვნენ თასი რიგელებისთვის დაეთმოთ. ამიტომ, ბუნებრივია, თბილისელები ამ შეხვედრაში ისწრაფოდნენ რევანშისაკენ და მიაღწიეს კიდეც მას, მათ დაამარცხეს რიგელები ანგარიშით 16 : 14. მეორე თამაში მათ ჩაატარეს მოსკოვის „სპარტაკთან“ — წინასწარ აღვნიშნავთ, რომ შეჯიბრების დამთავრების შემდეგ სპარტაკელებმა მოიპოვეს ყველაზე ტექნიკური და კორექტული გუნდის პრიზი. მათ, მართლაც ბრწყინვალე სტილით ითამაშეს და დაამარცხეს მოსკოვის „ტრუდი“ — 6 : 0, რიგის „დაუგავა“ — 12 : 6. თბილისელებმა შესძლეს ამ მეტოქის დამარცხებაც — 6 : 3. შემდეგი თამაში თბილისელებს ჰქონდათ მოსკოვის „ბურევესტნიკთან“. ამ თამაშს მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პირველი ადგილისათვის. თბილისელები მოედანზე გამოვიდნენ თავიანთი საუკეთესო მოთამაშის — გოგი ტონიას გარეშე. გოგი, როგორც საბჭოთა დელეგაციის წევრი, კუბაში გაემგზავრა, არქიტექტორთა VII მსოფლიო კონგრესში მონაწილეობის მისაღებად. მიუხედავად ამისა, თბილისელებმა მედგრად შეუტიეს მრისხანე მეტოქეს და ანგარიშიც მათ წაიყვანეს 3 : 0. თბილისელები ბატონობდნენ მოედანზე მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში და მეორე ტაიმშიც ნახევარზე მეტ ხანს. შემდეგ კი მოსკოველებმა შესძლეს ანგარიშის ჯერ გათანაბრება, შემდეგ კი წინ გასვლა. ამის შემდეგ თბილისელები დამარცხდნენ მოსკოვის „ტრუდთან“, მაგრამ ბოლო თამაშინ წინ, მათ ჰქონდათ მეორე ადგილზე გასვლის საშუალება, თუ მოსკოვის „ბურევესტნიკი“ მოუგებდა „ტრუდს“, მაგრამ ეს არ მოხდა. პირველი ადგილი 8 ქულით მოიპოვა „ბურევესტნიკმა“, 7 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა „ტრუდი“, ხოლო ჩვენი „განთიადის“ რეგბისტებმა ოდესის „ავანგარდთან“ მოგების შემდეგ დააგროვეს ექვსი ქულა და გამოვიდნენ მესამე ადგილზე.

თბილისელებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ გაცილებით უკეთ გამოსვლა, მაგრამ აქ თავი იჩინა მათმა გამოუცდელობამ. იმედია, რომ ჩვენი რეგბისტები დღითი დღე აამაღლებენ თავიანთი თამაშის კლასს და მიაღწევენ სასურველ მიზანს — უფრო მაღალ ადგილს; ამით ეს ახალი თამაში მეტ სიყვარულსა და პოპულარიზაციას მოიპოვებს სპორტული ტრადიციებით მდიდარ ჩვენს რესპუბლიკაში.

**გივი მრელაშვილი,**

*რეგბის საქალაქო სექციის თავმჯდომარე.*

ბურთისათვის ბრძოლაც ამას ჰქვია.



# 460 კილოგრამი ყურძენი ერთ ვაზზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურჯაანში ძნელად მოინახება ოჯახი, რომლის ეზოს ლამაზად გაფორმებული ვაზის ხეივანი არ ამშვენებდეს. მაგრამ თუ ამაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ყველა მაინც სოფ. ჭანდარში მცხოვრებ ზაქარია მანიჟაშვილის ხეივანს ახსენებს. ეს ხეივანი ერთი ძირი ვაზისაგანაა გაკეთებული და ზოგჯერ ნახევარ ტონამდე ყურძენს იძლევა.

ოცდათოთხმეტი წლის გალაღებულ ვაზს დაბრეცილი ტანი ხის მორს მიუგავს. ვაზს აქვს ორი მეტრი სიმაღლის შტამბი, რომლის გარშემოწერილობა ნიადაგის ზედაპირსა და პირველადი განტოტვის ადგილას შეადგენს 50 სანტიმეტრს. მრავალწლიანი ნა-



წილები ჰორიზონტალურადაა განლაგებული 12 მეტრ სიგრძესა და 6 მეტრ სიგანეზე.

უკანასკნელ ხანებში ამ ხეივნიდან წელიწადში საშუალოდ 300 კილოგრამზე ნაკლები ყურძენი არ მოკრეფილა. 1959 წელს კი სარეკორდო მოსავალი მიიღეს. მაშინ ამ ვაზს 700-ზე მეტი მტევანი ება და მოკრეფილი ყურძნის რაოდენობა 460 კილოგრამს აღემატებოდა.

სადღეისოდ ვაზი მეტად ძლიერია, მიმდინარე წელს მისი ანასხლავი იწონიდა 17,5 კილოგრამს. მასზე დატოვებული იყო 140 სანაყოფე და 120 სამამულე რქა. მიუხედავად იმისა, რომ წელს ვაზი ყვავილობის დაწყებამდე ჯერ დაისეტყვა, მერე კი ჭრაქმა დააზიანა, მასზე მაინც განვითარდა 460 მტევანი და მოიკრიფა 285 კილოგრამი ყურძენი. ქიშმიშის ჯიში დიდი ზომის მტევნებს ისხამს. ეს ვაზი იმდენად ძლიერია, რომ ასეთი უხვი მსხმოიარობის მიუხედავად, ჯიშისათვის დამახასიათებელი მტევნის ზომა არ შემცირებულა. თვითეული მტევნის წონა ძირითადად 600-800 გრამია, მაგრამ არის ისეთი მტევნები, რომელთა წონა 2 კილოგრამსაც კი აღემატება.

საინტერესოა ამ გიგანტური ვაზის ისტორია. 1929 წელს ზაქარიას ანაგიდან მოუტანია ქიშმიშის ვაზის რქა, მისი კვირტი საკუთარი ხელით დაუმყნია რიპარია რუპესტრის 3309-ზე და სახლის წინ დაურგავს. დარგვის მეოთხე წელს, როცა ვაზი უკვე კარგად ისხამდა, მეზობლის ღორმა ძლიერ დააზიანა, სათუთი მოვლის შედეგად ვაზმა სიცოცხლე განაახლა, მაგრამ შემდეგ თხები შეესივნენ და მოკორტნეს. გაზაფხულზე ვაზი კვლავ გამობრუნდა. ასეთი დუხჭირი თავგადასავლის გამო ზაქარიას ვაზისთვის „ობოლა“ დაურქმევია.

460 კილოგრამი ყურძნის მიღება ერთი ვაზიდან, რომელსაც 72 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს, უდავოდ დიდი მიღწევაა. მაგრამ ამით როდი კმაყოფილდება მევენახე. ზაქარია კარგად იცნობს ვაზის ბუნებას, მის ბიოლოგიურ თვისებებს. ახლა იგი ცდილობს თავის ვაზს უფრო დიდი აგებულობა მისცეს, გაუუმჯობესოს ჰაეროვანი და ნიადაგური კვება და ყურძნის კიდევ უფრო დიდი მოსავალი მიიღოს.

**ა. მათიაშვილი**

*სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.*

**ნოდარ ნარსია**

# გოლუაფირო

გოლუაფირო, გოგონავ მორცხვო,
თოვლივით წმინდავ, პირველ თოვლივით...
გოლუაფირო, მე შენით ვცოცხლობ,
კაცი ტრფობაში ჰირგამოვლილი.

მერე და... როგორ გშვენის სისხარტე
და ეგ ბავშვური მღერა-ანცობა.
გოლუაფირო, შენ ხარ ის ხატი,
ვინც გამახსენა ყმაწვილკაცობა.

მერე და... კარგო როგორ მინდოდი,
გოლუაფირო, ჯანიც გავარდეს,
მოდი, ეს გული იყოს მინდორი
და ზედ შველივით გადინავარდე.

გოლუაფირო, გოგონავ მორცხვო,
თოვლივით წმინდავ, პირველ თოვლივით...
გოლუაფირო, მე შენით ვცოცხლობ,
კაცი მრავალგზის ჰირგამოვლილი.







ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიეცით პენსია მამაო პანტელეიმონს!

ეს ხანდაზმული, დარბაისლური შეხედულების კაცი თავის დროზე პედაგოგი გახლდათ და ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს ემსახურებოდა. ხალხმა დაუფასა ღვაწლი და როცა ასაკმა თავისი გაიტანა, პატივცემულ პანტელეიმონ ბარნაბიშვილს ხელი გაუმართა, პენსია დაუნიშნა და ტკბილი სიბერე უსურვა.

მაგრამ პანტელეიმონს მოხუცებულობის ჟამს უცნაური და მოულოდნელი გარდასახვის ნიჭი აღმოაჩნდა. მე ჩემი გავაკეთე, ახლა კი ღარავის ესაქმება როგორ ვიცხოვრებო, გაიფიქრა და ერთ მშვენიერ დღეს მთელ თავის წარსულ პედაგოგიურ მოღვაწეობას ერთი დაკვრით გადაუსვა ხაზი. პატივცემული პანტელეიმონი მამაო პანტელეიმონად იქცა და... თვალნიცა და ხელნიც ზეცად აღაპყრო. ამაში კი თურმე ფულს იძლევიან. და აი, ახლა მას ეკლესიაც ხარკს უხდის, სახელმწიფოც პენსიას აძლევს და ცხოვრობს თავისთვის მამაო პანტელეიმონი. მხოლოდ ერთს კი შევნიშნავთ: კაცმა თუ თავის თავს უღალატა, არც მამა-ზეციერს დაინდობს და ადრე თუ გვიან ღვთის სარბიელზეც წაიწყმედავს სულს. მანამდე კი, რა გაეწყობა...

ყველაფერი ეს ასეა, მაგრამ ერთი რამ არ უნდა გვავიწყდებოდეს: სიტყვა „პენსიონერი“ ხომ დიდი შინაარსის შემცველი სიტყვაა. იგი ლაპარაკობს პიროვნების უმწიკვლო ცხოვრებაზე, მის დამსახურებაზე ხალხის წინაშე, მისდამი საზოგადოების პატივისცემასა და სახელმწიფოს ზრუნვაზე. პენსიონერების დიდი არმია კვლავინდებურად ჩვენი ცხოვრების წინა ხაზზეა და კომუნიზმის მშენებელთა ავანგარდში იმყოფება.

ყველა საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ორგანიზაცია, პარტიული და სახელმწიფო კონტროლის ორგანო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სანიტარული და სამკურნალო დაწესებულება, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებთან არსებული სხვადასხვა კომისია, საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ორგანო ფართოდ ეყრდნობა პენსიონერთა აქტივს, იყენებს მათ ცოდნასა და გამოცდილებას. მაგრამ ამ მცოდნე, ბრძოლასა და შრომაში გამოწრთობილ ჩვენს უფროს ამხანაგებს ჩრდილივით მიტმასნებია და სახელს უტეხავს პანტელეიმონ ბარნაბიშვილის მსგავსი ზოგიერთი პიროვნება, რომელმაც ზურგი აქცია თანამებრძოლებს და უღალატა მათ წმინდა საქმეს.

ზოგიერთი ასეთი პიროვნების შეგნებაში პენსიაზე გადასვლის შემდეგ იღვიძებს კერძომესაკუთრული ინსტინქტები. იგი არ ერიდება არავითარ საშუალებას თავისი უბადრუკი მისწრაფების დასაკმაყოფილებლად და ზოგჯერ პირდაპირ დანაშაულსაც კი სჩადის. ჩვენ, სასამართლოს მუშაკებს, სამწუხაროდ, ხშირად გვიხდება ასეთ პიროვნებებთან შეხვედრა და, უნდა ითქვას, ამ შეხვედრიდან მეტად მწარე და უსიამოვნო განცდა გვრჩება.

თუნდაც კერძო სახლების მფლობელნი ავიღოთ. მე ვიცნობ რამდენიმე ასეთ პენსიონერს, თუნდაც აქვსენტი ვასილის-ძე ბალათურიას (რიგის ქ. № 2), ვარლამ მინასის-ძე ვართანაშვილს (მცხეთის 11) და სხვ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ როგორმე ქუჩაში გამოყარონ სახლში მცხოვრები ბინის დამქირავებლები, რათა იგივე ბინები შემდეგ სპეკულაციის ობიექტად გადააქციონ.

ზოგი პენსიონერი თაღლითობისა და გამოძალვის გზას ადგება, ცდილობს სახელმწიფოს მოტყუებას და ყალბი დოკუმენტებით ლამობს გადიდებული და დაუმსახურებელი პენსიის მიღებას. მაგალითად, პენსიონერმა დავით გრიგოლის-ძე კოტიაშვილმა ამ გზით სახელმწიფოს გამოსტყუა 1275 მანეთი, გიორგი ნიკოლოზის-ძე ძოძუაშვილმა — 1184 მანეთი, ივანე ნიკოლოზის-ძე მეხაშიშვილმა — 1287 მანეთი, ქემეთ აივაზის-ძე მურადოვმა — 277 მანეთი და ა. შ.

თუ რა გზით ან ვისი შემწეობით მოახერხეს ამ პირებმა სახელმწიფო სახსრების მიტაცება, ამაზე ჩვენ ყურადღებას არ გავამახვილებთ, რადგან კოტიაშვილის, მურადოვის და სხვათა მოქმედება მიეკუთვნება ჩვეულებრივ დანაშაულს და მათ წინააღმდეგ შეიძლება სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამოყენება.

ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ იმ პენსიონერებზე, რომლებიც არა ნაკლებ პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, კანონის ხელი კი მათ ვერ წვდება. ისინი სრულიად თავისუფლად მოქმედებენ: მაკლერობენ, მევახშეობენ, დგებიან „ღვთის სამსახურში“ და თავიანთი „მოღვაწეობით“ ზიანს აყენებენ საზოგადოებას.

დებულებით „სახელმწიფო პენსიების დანიშვნისა და გაცემის შესახებ“ დაუშვებელია პენსიონერის უფლების რაიმე შეზღუდვა; როგორც ამ დებულების 177 მუხლშია აღნიშნული, პენსიონერს პატიმრობიდან განთავისუფლების შემდეგაც კი უსათუოდ უნდა მიეცეს დანიშნული პენსია.

მაგრამ განა ნორმალურია ის, რომ ხუცესი სახელმწიფო პენსიას იღებს? ეს სოცუზრუნველყოფის ორგანოების დაუდევრობის ბრალიცაა, რომლებიც არ დაინტერესდნენ ბარნაბიშვილის დღევანდელი მოღვაწეობით.

ბარნაბიშვილის საკითხის გადაჭრა შედარებით ადვილია. მაგრამ, აი, როგორ მოვგვარდეს იმ პენსიონერების საქმე, რომლებიც ეწევიან მაკლერობას, სექტანტობას, მევახშეობას და არავითარი კანონი არ ართმევს მათ პენსიის მიღების უფლებას? როგორ მოვექცეთ თუნდაც ვიქტორ სტეფანეს ძე კალაშნიკოვს, რომელიც პენსიით მიღებული ფულით ლოთობს და დებოშებს ტეხს? ან იმ კატეგორიის პენსიონერ ქალებს, რომლებიც შინამოსამსახურეობას ეწევიან სხვადასხვა ოჯახებში და ზოგჯერ ამ ოჯახებისაგან ცალკე საცხოვრებელი ფართობის გამოყოფასა და, წარმოიდგინეთ, მემკვიდრეობის უფლებასაც კი მოითხოვენ?

პენსიონერმა ოლღა იაკოვის ასულმა მარტინოვამ შინამოსამსახურედ დაიწყო მუშაობა ი. შაპიროს ოჯახში. რამდენიმე წლის შემდეგ მარტინოვამ მოითხოვა მისთვის იზოლირებული ბინის გამოყოფა და თავისი საჩივრებით უამრავი დრო დააკარგვინა როგორც სასამართლო, ისე სახელმწიფო და პარტიულ ორგანოებს.

ეს მაგალითები ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ პენსიონერებს შორის ანტისაზოგადოებრივი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხი არათუ სათანადო ყურადღების ცენტრშია, არამედ საერთოდ შესწავლილიც კი არ არის.

ჩვენი აზრით, ეს საკითხი უნდა გადაიქცეს ფართო საზოგადოების მსჯელობის საგნად. ამ მხრივ პირველი სიტყვა, ინიციატივა ისევ პენსიონერებმა — ჩვენი ქვეყნის საპატიო მოქალაქეებმა უნდა აიღონ და მთელი საზოგადოების მხარდაჭერით გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადონ მათსავე რიგებში შეპარულ პარაზიტებს.

უნდა ვიფიქროთ მოქმედ საპენსიო კანონში ზოგიერთი ცვლილების შეტანაზეც, თუნდაც ისეთი მუხლის დამატებაზე, რომლის მიხედვითაც პარაზიტ პენსიონერს სასამართლოს გადაწყვეტილებით გამოსწორებამდე ნაწილობრივ ან მთლიანად აღეკვეთება მისთვის განკუთვნილი პენსიის მიღება. საერთოდ კი ამ საქმეს დეტალურად უნდა შესწავლა, რათა მის მოსაწესრიგებლად განხორციელდეს რაც შეიძლება ქმედითი ღონისძიებები, რომ ამით სამუდამოდ გაწმენდილ იქნას პენსიონერთა საპატიო არმია ანტისაზოგადოებრივი ელემენტებისაგან.

ვახტანგ ჟვანია

# თვალადური ქართულის ჭაშნიკი

გიორგი შატბერაშვილი

ცნობილი ქართველი მწერლის გიორგი შატბერაშვილის „თვალადური ქართულის ჭაშნიკი" თავისებური ხასიათის ნაშრომია. აქ ავტორი გვაცნობს თავის დაკვირვებებს ჩვენი ხალხის ენაზე. ბევრი ამ სიტყვათაგან ლექსიკონში შესული არ არის. ეს სიტყვები კიდევ უფრო ამდიდრებენ ქართულ სალიტერატურო ენას. ქვემოთ ვბეჭდავთ ერთ ნაწყვეტს ამ ნაშრომიდან.

## ლობიო

„ლობიო მუცლის ბოძიაო", — ამბობენ ქართლელები და ალბათ ამიტომ ბევრსაც სთესავენ და ბევრნაირსაც:

**ჩიტისთვალა** — სარის ლობიო.

**მინდვრის ლობიო** — ბრტყელი, წვრილი ლობიო, კავიანია, სიმინდზე ადის.

**ნიკორა ლობიო** — სარის ლობიო.

**ვენახის ლობიო** — კუტი, უკავო ლობიოა, ვენახში ითესება.

**რუსული ლობიო** — ამ სახელს შეცდომით ეძახიან გურულ ლობიოს, სარისაა.

**ჭოტა ლობიო** — ვენახში სთესავენ, უკავოა. წითელი, მსხვილმარცვალა.

**თეთრი ლობიო** — კავიანი, იგივე გურული.

**მუხრანულა** — ჭრელია, კუტი.

**კუტი ლობიო** — უკავო.

**მამიდა ლობიო** — უკავოა, კუტი. ნედლად კარგია.

**გომური** — ჭრელია, თეთრ-წითელი.

**ცანავა ლობიო** — ბაცი-ვარდისფერია და მუქი-წითელი წინწკლები აქვს დაყრილი. გურულსაც ეძახიან.

**გურული ლობიო** — იგივე ნიკორა ლობიო. გულში წითელია. ნედლად კარგია, სარისაა.

## ლობიოს ფრჩხილი

დაყვავილებული ლობიოს ახლად გამონასკვულ ნაყოფს ლობიოს ფრჩხილს ეძახიან. წვრილი და მოგრძოა, ჯერ არც გული აქვს, არც ბეწვი.

## ლობიოს ჩათვლა

ლობიოს მარცვალი რომ მოიხარშება და ქოთნის ფსკერზე დაიწევს, იტყვიან, ლობიო ჩაითვალაო: „ჩათვლაა, მა რა? მოიხარშება თუ არა, სათითაოდ ჩაითვლებიან მარცვლები ძირზე".

## ჟამაფიცილა და სმაფიცილა

ვინც სვამს, სჭამს და, მაინც გაიძახის: არც მისვამს, არც მიჭამიაო.

## სიტყვის აკრეფა

სხვისი ნალაპარაკევის მოსმენა-დამახსოვრება რაიმე განზრახვით, უმთავრესად ცუდით. იტყვიან: „ჩემი ნათქვამი პირწმინდათ აუკრეფია და მიუტანია"; ვისი ლაპარაკიც არ მოსწონთ, ასე ახასიათებენ: „უნდა იჯდე, უსმინო და კრიფო, ისეთებს ისვრის".

## სიტყვის წაქანება

სიტყვის წინ წასწრება, აჩქარებით, დაუფიქრებლად თქმა. „სიტყვა წინ ნუ წაგიქანდება, თორემ ინანებ".

## სიტყვის საბრუნი

სიტყვის მიმოქცევა, ნაირობა, მრავალი მნიშვნელობა.

„ვინ იცის რამდენი საბრუნი აქვს სიტყვასა, ხან ამას ნიშნავს, ხან იმასა".

## სულთაბრუნვამდი

სანამ კაცი ცოცხალია და სუნთქავს, სულიც ბრუნავსო, კაცი სულთაბრუნვამდი ცოცხლობსო, იტყვიან. „სულთაბრუნვამდი შაგინახამ სიტყვასაო", გამიგონია.

## სულიბრუნება

მეზურნეზე იტყვიან, სულიბრუნებით სუნთქავსო.

## სადა არაყი

სადა არაყს უბრალო, წმინდა არაყს უწოდებენ, უტკბილოს, უსურნელოს, შეუზავებელს. „სადა" იხმარება ზოგი ისეთი სიტყვის მსაზღვრელადაც, რომელსაც მსგავსად „სადა არაყისა" თითქოს არ შეეფერება და მოულოდნელია. მაგალითად: „სადა დღე".

„სადა დღე" ნიშნავს ჩვეულებრივ სამუშაო დღეს. კვირა და უქმე დღეები სადა დღეებად არ ითვლება. იტყვიან: „სადა დღეებში მუშა კაცს შინ რა გააჩერებსო".

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონს" ფიქსირებული და ახსნილი აქვს „სადა დღე" და „სადა ფრინველი" (ბეღურა). ეს მაგალითები დამოწმებულია ლ. არდაზიანისა და ი. გოგებაშვილის ნაწერებით.

## „სავსედ ვართ..."

„სავსედ ვართო" — უარის მაგივრად ეტყოდნენ პურის სასესხებლად მისულ მეზობელს, თუ „პური არ ედოთ"... არ ეტყოდნენ, არა გვაქვსო, რადგან ამის თქმა ოჯახის შეურაცხყოფად მიაჩნდათ.

## პურის დება

ოჯახში ახლაც იტყვიან, „დღეს პური არ გვიდევს... ან გვიდევს". ე. ი. პური გვაქვს ან არ გვაქვს.

## პირუბანელა პური

უსაფანლოდ გამომცხვარ პურს პირუბანელას ეძახიან: „რა პირუბანელა პურს აკრავ, გოგო, საფანელი ველარ უყავი?"

ქართლელი თუ უსაფანლოდ გამომცხვარ პურს პირუბანელას ეძახის, გურულები თეთრ-წითელ გურულ ლობიოს „პირდაბანილ ლობიე"-ს უწოდებენ (იხ. გ. შარაშიძის ლექსიკ.).

## ქვევრი

ქვევრის ყველა ნაწილს თავისი სახელი აქვს:

**ქვევრის თავი** ჰქვია ქვევრის პირს, ქვევრის იმ ნაწილს, რომელიც მიწის ზემოთ არის დატოვებული და რომელსაც თავისივე ზომის სარქველით დახურავენ ხოლმე. მაგრამ „ქვევრის თავი" ითქმის უფრო ფართო მნიშვნელობითაც. იტყვიან, „ქვევრის თავზე ვისხედით", „ღვინო ქვევრის თავზე დავლიეთო". აქ უკვე ქვევრის ირგვლივი ადგილი იგულისხმება.

**ქვევრის პირი** — უშუალოდ ქვევრის ზემო ნაწილი, პირი, რომელიც მიწის ზემოთაა, სანამ დაატალახებენ და დაიფარება.

**ქვევრის ყელი** — ქვევრის ზემო, ყველაზე მოწვრილებული ნაწილი.

**ქვევრის ბეჭი** — ქვევრის ყელს ქვემო ნაწილი.

**ქვევრის მუცელი** — ქვევრის შუაწელი. შუასარტყელსაც ეძახიან. „საუკეთესო ღვინო შუასარტყელშია".

**ქვევრის შუასარტყელი** — შუა წელი, მუცელი.

**ქვევრის შუაწელი** — იგივე შუასარტყელი.

**ქვევრის ქუდი** — იგივე მაჭრის ქუდი. დუღილის დროს მაჭრის თავზე მოგდებული და გამაგრებული ჭაჭა და ჩენჩო.

**ქვევრის ფილი** — ქვევრის ძირი. ღვინო რომ მიცოტავდება, იტყვიან: „ღვინო ფილშილა დგაო".

## ქვევრში ჩაყვირება

როცა ცოტა ღვინო მოუვათ, იტყვიან, ქვევრში ჩაყვირებად არა ღირდაო: „დავწურე, მაგრამ გოზაურებით დავდგი, ქვევრში ჩაყვირებად არა ღირდა".

ეს „ჩაყვირება" იგივე უნდა იყოს, რაც „ჩაძახება". („ჩაუძახა", „გადაუძახა".)

## ღვინის დადაღვა

ღვინით სავსე ჯამში ნაკვერჩხალს ჩააგდებენ, რომ ღვინოს ძალა დაეკარგოს და ადვილი სასმელი იყოს. ასეთ ღვინოს დადაღული ჰქვია.

დადაღულ ღვინოს ასმევენ გუნების გამოსაკეთებლად, ვისაც წინა დღის ნამთვრალობა აქვს გამოყოლილი. აგრეთვე ავადმყოფს ღონის მოსამატებლად.

ხევსურეთში სცოდნიათ „არყის დადაღვა". არაყში ჩადებენ გახურებულ რკინას და ამგვარად დაღავენ.

## ღვინის კოკობი

ერთმანეთს შეჯიბრებული ღვინის მსმელები გამოცლილ ყანწს მარცხენა ხელის ცერა თითის ფრჩხილზე დაიბერტყავენ. სასმისიდან ერთი წვეთი მაინც გამოიყურება და ფრჩხილზე დაჯდება. ამას ფრჩხილზე ღვინის კოკობის დასმას ეძახიან.

**ღვინის გამჭრიახობა** — ღვინის გაჭრა, ძალა, ფხა. იტყვიან: „ამ ღვინოს გამჭრიახობა აკლია", ან: „გამჭრიახი ღვინოა" და სხვ.

**ყურის ძოვება** — ჩუმი ყურის გდება, ყურიადი. ბოროტი მიზნით „სიტყვის კრეფა".

**ყურძნის სიცილი** — როცა ყურძნის მტევანი ფერს იცვლის, მარცვალს მტვერი ეცლება, იწმინდება და კრიალს იწყებს, ამბობენ, ყურძენი იცინისო.

## შეშინებული

„შეშინებულს" მხოლოდ ადამიანზე არ იტყვიან. ამბობენ უსულო საგნებზეც:

**შეშინებული კედელი** — დაზიანებული, გაბზარული კედელი: „ეს კედელი შეშინებულია, თუ არ შევაკეთეთ, ჩამოინგრევა".

**შეშინებული კვირტი** — ყინვისგან შემზრალი კვირტი: „კვირტი ყინვამ შეაშინა და ველარ გამოდგა".

**შეშინებული ბოძი** — მორყეული, გადაზნექილი ბოძი.

## ცომის შეცოლქმარება

როცა პურის ცომი ზელვის მერე კარგად შეიკვრება და შედედდება, იწელება და ნაწილ-ნაწილ არა წყდება, იტყვიან, ცომი შეცოლქმარდაო. აგრეთვე: ცომის ზელვის დროს თუ შეატყობენ, რომ ცომი ცოტა მოუვიდათ — იმავე ვარცლში დიდი ცომის გვერდით პატარა ცომსაც მოზელენ, მერე ორივე ცომს ერთმანეთში გადაზელენ, „შეაცოლქმარებენ".

## ხუხალა

ხუხალას ეძახიან სამი-ოთხი დღის მაჭარს, რომელიც ენაპირს ხუხავს. იტყვიან: „ხუხალა მაჭარი ბევრი არ დაილევაო".

ქიზიყში „ღვინის ხუხვა" სცოდნიათ, „ხუხალა მაჭარი" კი არ ჩანს. სიტყვა „ხუხალა" სულ სხვა მნიშვნელობით არის შეტანილი სტ. მენთეშაშვილის „ქიზიყურ ლექსიკონში": „ხუხალა, თმაწვერგაცვივნული, თმაწვერგატრუსული ადამიანი".

„ხუხალას" ამგვარი მნიშვნელობა (თმაწვერის გაცვივნა) ძველი უნდა იყოს. ხალხურ „ამირანში" არის ასეთი ადგილი:

ამირანი დაიბადა, გოჭსა ჰგვანდა
ხუხალასა,
თმა და წვერი გასცვივნოდა,
ჩაეყარა ტომარასა.

# ბანკეტი ქვაბის დადგმის გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

**აზიზ ნესინი**

მოთხრობა

**მხატვარი თ. სამსონაძე**

პირველი — მობრძანდით ბატონო, აქეთ მობრძანდით. ჟურნალისტებს ჩვენ ძალიან პატივსა ვცემთ.

ვიღაც — გილოცავთ, ბეი ეფენდი!

მეორე — გმადლობთ. მაგრამ ერთი ეს მითხარით, გეთაყვა, რას მილოცავთ?

ვიღაც — ახალ ქვაბს.

— ააა, ქვაბი არა? დიდად სასიამოვნოა. უქვაბოდ შეუძლებელია, ბატონო. ქვაბი მეტად მნიშვნელოვანი რამ არის.

— ბუფეტში შევიაროთ, თითო-თითო გადავკრათ, მადაზე მოგვიყვანს. აგერ-აგერ, სადაცაა მინისტრიც მოვა. უკვე წამოსულიაო, თქვეს.

— დიდად პატივცემულო, სადღაც შევხვედრივართ ერთი-მეორეს, მაგრამ სად?

— რაღაც მეც მეცნობა თქვენი სახე. დამაცა, დამაცა, სასაკლაოზე, ახალი კარის ჩამოკიდების გამო გამართულ ბანკეტზე ხომ არ ბრძანდებოდით?

— სამწუხაროდ, ვერ მოვახერხე. საკვირველი ამბავია, ალაჰსა ვფიცავ: ცერემონიალებს ერთსა და იმავე დღეს ნიშნავენ ხოლმე. ორად ხომ ვერ გაიჭრები კაცი. უბრალოდ, ვერ ვასწრებთ. იმ დღეს შუშის ქარხანაში დამატებითი საკვამლე მილის გახსნის ცერემონიალს ვესწრებოდი და იქ წამოსვლა ველარ მოვასწარი.

— აჰ, ბეი ეფენდი, მე კიდევ მაგ ცერემონიალს ვერ დავესწარი. ამხანაგებმა მითხრეს, სუფრაზე მშვენიერი ჩერქეზული იხვი მოიტანესო. დღემდე ვერ მიპატიებია ჩემი თავისათვის. მერე ძალიან ვინანე, მაგრამ ხომ იცით, ადამიანი ყველაფერს ვერ გასწვდება.

—მოიცა, მოიცა... თქვენ იაპონიიდან ნაყიდი გემის მილების ცერემონიალზე...

— სწორედ ასეა, იქ გახლდით.... დიახ, ვესწრებოდი მაგ ბანკეტს. ახლა გამახსენდა... იმ დღეს თქვენ მხოლოდ კრემიან ტორტს მიირთმევდით, მე ყურადღება მოგაქციეთ.

—დიახ, დიახ... ძლიერ მიყვარს კრემიანი ტორტი. იმის წინა ბანკეტზე რაღაცამ მაწყინა და მაშინ ხორცს ახლოს ვერ ვეკარებოდი.

ვიღაც ახალმოსული—რაო, ქვაბს დგამენ დღეს?

კიდევ ვიღაც სხვა — ღმერთმანი, არ ვიცი, რაღაც ქვაბიაო კი თქვეს და... ყოველ შემთხვევაში, მგონი სარეცხის ქვაბი არ უნდა იყოს.

— კარგ მადას გისურვებთ, გაამოთ! მე კი ძალიან მაწუხებს კუჭის ტკივილები. საჭმელს ვერ ვინელებ.

— მეც ასე ვარ, ჩემო ბატონო. ამ ბოლო ხანებში ყველა კუჭის ტკივილებს უჩივის. რატომღაც გადამდები ავადმყოფობა გახდა. მე კარბონატის სოდას ვატარებ თან, თუ გნებავთ, თქვენც მოგცემთ ცოტას, კარგია.

— უჰ, დიდი მადლობა. როგორ საჭირო წამალი ყოფილა! აწი მეც თან ვიქონიებ ხოლმე. ოჰ... ოჰ... ოჰ... ეს რა მომდის?

— შეგარგოთ, როგორც ჩანს მოგიხდათ, კარგია, რომ გული გერევათ.

— ოოო... ინდაურის ჩიხირთმა გადასარევია... ნახეთ. გასინჯეთ!..

— გმადლობთ, მე ღვეზელი მირჩევნია.

ვიღაც ხალხის სიღრმიდან — ეს ჩასუქებული ვინ არის?

ვიღაც მეორე — რომელი? ვისკის რომ სვამს, ისა?

— არა!

— აბა რომელი, ბანანს რომ გლეჯს?

— არა, მის გვერდით...

— ცივად მოხარშულ ხორცს რომ სჭამს, ისა?

— მის უკან, ხელი რომ გაუშვერია...

— აააა, არ ვიცი, თუმცა ხშირად კი ვხედავ...

პირველი კაცი — ეს ცერემონიალ-ბანკეტები რომ არა, ასეთი შეხვედრები...

მეორე კაცი — დიახ, დიახ! უეჭველია ბანკეტები რომ არა ჩვენ ვერც კი შევხვდებოდით ერთმანეთს; ალაჰმა ხომ იცის, ბატონო ჩემო, წინათ აი ძალიან ადრე, როცა ჯერ ისევ ბავშვი ვიყავი, აწ განსვენებული მამაჩემი ჩამკიდებდა ხოლმე ხელს და დერვიშთა სავანეში მივყავდი. ორშაბათობით უსკუდარზე* დავდიოდით, რუფაის სავანეში, სამშაბათობით, კასიმფაშაზე,* ნაკში ბენდის სავანეში, ოთხშაბათობით ჩიურუქლუქზე,* კადრის სავანეში, ხუთშაბათობით მევლანექაშიზე,* მევლევიელთა სასახლეში. ყოველ ღვთის გაჩენილ დღეს თითო სავანეში მივდიოდით.

— ჰოოო, ჩვენც ასე ვიქცეოდით. ოჰ, რა ღვეზელები იცოდნენ იქ, რა საჭმელები იყო... ერთ წუთში რომ გაავსებდნენ ლანგარს, მეორე წუთში მოსუფთავებული იყო.

— მაგრამ იქ მთავარი მაინც სხვა იყო. გარდა ჭამასმისა, იმართებოდა მშვენიერი საუბრები...

— ო, რა თქმა უნდა. ღვიძლს არ მიირთმევთ?

—მე, თქვენს მონა-მორჩილს, ყველაზე ძალიან ტოლმა მიყვარს. კარგადაც ამზადებენ.

— ეს რა ფაბრიკაა, ეფენდი?

— ღმერთმანი, კარგად არც კი ვიცი, მაგრამ თუ ამ მანქანების მიხედვით ვიმსჯელებთ, რაღაც მანქანათმშენებელი ქარხანა უნდა იყოს.

— ისე კი; ეტყობა დიდი ფაბრიკაა!

— რაც არ უნდა იყოს, ერთი რამ მაინც ცხადია — ცივილიზაცია შემოდის, კულტურულნი ვხდებით. აბა ახლა, თევზის ტოლმა გასინჯეთ, ძალიან გემრიელია.

— რაღაც ქვაბიო, სთქვი შენ, არა? ბარში მიდიხარ? მეც წამოვალ, იქნებ ცოტა გამიაროს, თორემ ბევრი ვჭამე.

— მობრძანდით.

— შარშან გაზეთები წერდნენ: ამერიკა ატომურ დანადგარებს მოგვცემსო, ფრთხილად იყავი, ეს ფაბრიკა ატომური არ იყოს.

— აკი რაღაც ქვაბიაო.

ვიღაც — აღარ იწყებენ?

მეორე ვიღაც — მინისტრს ელოდებიან.

— ვისია ეს ფაბრიკა?

— ალბათ ამერიკელებისაა.

— არა მგონია.? ამერიკელები ასეთ ბანკეტს არ გამართავდნენ. ჩვენი რომ არის, ეს ცხადია, მაგრამ საინტერესოა ვის ეკუთვნის — მონოპოლიების სამმართველოს თუ წყალთა სამმართველოს?

— რაო, აქ განა წყალთან აქვთ საქმე? მერედა რას ამზადებენ?

— ქვაბებს.

— მაშ მონოპოლიების სამმართველოსი ყოფილა ალბათ არაყს თუ ხდიან ამ ქვაბებში. აი, ამ კაცს ყოველ ბანკეტზე ვხედავ.

— მაგიდის თავში რომ შეკრებილან, ვინ არიან?

— მოწვეული დეპუტატები. ხვალ რომ რაღაც იხსნება, იმის ბანკეტზე წახვალთ?

—რასაკვირველია, რომ არ წავიდე სირცხვილია. ნუში რა უგემურია, შეამჩნიეთ?

პირველი სტუმარი — ქვეყნის წინსვლა, ძმაო, უპირველეს ყოვლისა, იმ ფაბრიკებზეა დამოკიდებული, რომლებიც...

მეორე სტუმარი— აი, ყოველ დღე თითო ფაბრიკა რომ იხსნებოდეს... აბა, ასთაკვი გასინჯეთ, ძალიან გემრიელია. ეს კერძი თქვენ გუშინდელ ბანკეტზე უნდა გაგესინჯათ. თითებს ჩაატანდით. ვისია ეს ბავშვი?

— მაჰმადისა. ღმერთმა გაჩუქოთ.

— გისმინოს ალაჰმა.

— რა მოგცე ბიჭიკო, რას შესჭამ? ვაშლს, თუ ფორთოხალს? ან იქნებ ნაზუქი გირჩევნია?

— სსს, ჩუმად... ბეი ეფენდი მოვიდა.

— ეგ ვინ არის?

— არ ვიცი, ალბათ ფაბრიკის მფლობელი იქნება, ან მინისტრი.

— იქნებ გენერალური მმართველია. ჰო, იცით რა? მე, თქვენი მონა-მორჩილი, ამდენი ხანია გიცნობთ, ყველა ბანკეტზე და ცერემონიალზე ვხვდებით ერთმანეთს. სირცხვილი კი არის, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა გკითხოთ: რა საქმიანობას ეწევით თქვენ?

— მე, ეფენდი? ჰო... მე, ჰო.. თუმცა მოიცა, მოვუსმინოთ. უკვე იწყება:

— პატივცემულო თანამოქალაქენო, — დაიწყო ორატორმა საქმიანი ხმით, — ნება მომეცით მოგილოცოთ ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენა, როგორიც არის თეზგაჰთარაჰის ელექტროსადგურში ახალი, მეოთხე ქვაბის დადგმა. უნდა მოგახსენოთ, რომ ეს ქვაბი ჩვენ დავდგით ამერიკის ყოველგვარი დახმარების გარეშე. ჩვენმა ეროვნულმა ენერგიამ და ენთუზიაზმმა, რომელმაც ანგარიშით 3 : 1 დაამარცხა უნგრელი ფეხბურთელები, აქაც იჩინა თავი. ქვაბის ქურაზე დადგმისათვის ჩვენ არ მოგვიწვევია არც ერთი უცხოელი, გარდა სამი ამერიკელი სპეციალისტისა, ორი ინჟინრისა და ოთხი ოსტატისა; მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვაბი დადგმულია ჩვენი ძალებით. წავაწყდით მხოლოდ ერთადერთ დაბრკოლებას — ქვაბის ადგილზე დადგმის შემდეგ მასში ჩასხმული წყალი ვერ იქნა და ვერ ავადუღეთ. ბოლოს აღმოჩნდა, რომ ქვაბი დადგმული ყოფილა ქურიდან ექვსი მეტრის დაშორებით; ქვაბის სიმძიმის გამო სპეციალისტებმა დაასკვნეს, რომ მისი გადატანა შეუძლებელია და საჭიროდ ცნეს ქვაბის ქვეშ ახალი ქურის დადგმა. არც ახლო აღმოსავლეთში და არც ბალკანეთის ქვეყნებში ამაზე დიდი ქვაბი არ დგას. ამავე დროს, იგი მოკალულია და თუჯისაა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ქვაბს გაუჩნდა ორადორი ფართო ნახვრეტი. ამ ნახვრეტების ამოვსება ჩვენ შევძელით ამერიკის ყოველგვარი დახმარების გარეშე. და როგორ მოვახერხეთ ეს? ძენძით, საათფიაქო ბამბით და წებოთი. წყალი ახლაც გამოდის ქვაბიდან, მაგრამ იგი იმდენად უძლურია, რომ ვერ აქრობს ქურის ცეცხლს. წყალსადენს ამ წუთს წყალი რომ არ შეეწყვიტა, აქვე, თქვენს თვალწინ მოვახდენდით გამოცდას.

უნდა მოგახსენოთ, რომ ეს სწორედ ის ქვაბია, რომელიც გამოიყენეს იანიჩარებმა მუსტაფა-ფაშა ბაირახტარის აჯანყების დროს, შემდეგ იგი დადგმულ იქნა სადრაზამ ჰილილ-ფაშას სასახლეში, იმ ფაშასი, რომელსაც ორმოცფეხას ეძახდნენ. აქ ის რამდენიმე ხანს გამოყენებული იყო ტკბილეულობის დასამზადებლად. ამის შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში მას ვხედავთ, როგორც გემის ბორბალს. ქვაბს ჰქონდა ცხრა ხელსაკიდი, ჩვენ მას კიდევ დავუმატეთ ერთი და ელექტროსადგურში დავდგით. ამ ქვაბს...

ვიღაც — ძალიან გაგრძელდა, ძმობილო და ხომ იცი... მე მივდივარ...

მეორე ვიღაც—მეც... ხვალ რომ რაღაცის გახსნის ცერემონიალია, იმ ბანკეტზე შევხვდებით.

— ალაჰის შეწევნით...

— ნახვამდის!

— ეს ქვაბი...,

თურქულიდან თარგმნა
**ზურაბ ბათიაშვილმა**

* თურქი მწერლის აზიზ ნესინის ამ მოთხრობამ ქ. რომში გამართულ მსოფლიოს იუმორისტ-ნოველისტთა კონკურსზე პირველი პრემია — ოქროს პრიზი დაიმსახურა.

* სტამბოლის რაიონებია.



# იუმორი




## „გვეცინება იანკებზე“

ბრიტანეთის კუნძულზე დიდი პოპულარობით სარგებლობს იუმორესკები და მხიარული ანეკდოტები.

ლონდონის გამომცემლობა „ს. ეველინ ტომასმა“ მკითხველებს მიაწოდა ამ ჟანრის ახალი კრებული „გვეცინება იანკებზე“.

თუმცა კრებული ძირითადად შედგენილია ზეპირი ანეკდოტებისაგან, იგი მაინც საინტერესოა ჩვენთვის, რადგანაც ნაწილობრივ მაინც პასუხობს კითხვაზე, თუ რას ფიქრობენ ინგლისელები ამერიკელებზე.

ქვემოთ მოგვყავს რამდენიმე ნიმუში ამ წიგნიდან.

### მაცთუნებელი გარეგნობა

ერთ პატარა ამერიკულ ქალაქში ჩამოსულ მღვდელს სთხოვეს შესავალი სიტყვა წარმოეთქვა საქველმოქმედო ბაზრობის გახსნის დროს. ცერემონიალის დამთავრების შემდეგ მღვდელმა დაათვალიერა იქაურობა. იგი გაკვირვებით შესცქეროდა ახალგაზრდა ქალიშვილებს, რომლებსაც ფრიად უცნაურად ეცვათ,

— საინტერესოა, — მიმართა მღვდელმა მოსაუბრეს, — ვინ არის ის, მოკლედ შეკრეჭილი თმებითა და ასევე მოკლე შარვლით, სიგარეტს რომ ეწევა. გოგონაა თუ ჭაბუკი?

— რასაკვირველია, გოგონაა, — უპასუხა მოსაუბრემ, — ის ხომ ჩემი ქალიშვილია!

— მომიტევეთ, — მოიბოდიშა მღვდელმა — ვერასოდეს ვერ ვიფიქრებდი, რომ თქვენ მისი მამა იქნებოდით.

— სრულებითაც არა, — გაისმა პასუხად — მე მისი დედა ვარ.

### შექსპირის შემფასებელი

ერთმა ამერიკელმა გადაწყვიტა წაეკითხა შექსპირის ნაწარმოებები. „ჰამლეტის“ კითხვის დროს მან ცოლს უთხრა:

— შეხედე, რა კარგად წერს ეს ყმაწვილი. არა მგონია, რომ ასე წერა ჩვენს ქალაქში ოცზე მეტ კაცს შეეძლოს.

### ქანდაკება

საოკეანო გემი ნიუ-იორკის ნავსადგურში შედიოდა. ერთმა ამერიკელმა მგზავრმა, რომელიც გემბანზე იდგა, იქვე მდგომ ფრანგს სიამაყით დაანახვა თავისუფლების ქანდაკება. ფრანგმა, რომელიც მდუმარებით შესცქეროდა მონუმენტს, შენიშნა:

— ჩვენშიაც ასეა: ღირსეულ მიცვალებულებს ძეგლებს უგებენ.

### იაფი განქორწინება

— გთხოვთ დამეხმაროთ, ქმართან განქორწინების საქმე მინდა აღვძრა! — შესჩივლა ამერიკელმა მსახიობმა ქალმა ნიუიორკელ ადვოკატს.

— სიამოვნებით, — უპასუხა მან, — მზად ვარ ახლავე შევუდგე საქმეს სამას დოლარად.

— სამას დოლარად? — შეჰყვირა გაოცებულმა ქალმა, — რას ბრძანებთ, უფრო იაფი დამიჯდება მისი მოკვლა. ამაში მხოლოდ ას ორმოცდაათ დოლარს გამომართმევენ.



ჯერ ადრეა შინ წასვლა, შეიძლება ეწყინოს მასპინძელს.
(„ოილენშპიგელი“)

### სიცილის ეპიდემია

ტანგანიკაში უცნაურმა ავადმყოფობამ იჩინა თავი. იქაური ექიმები თავგამოდებით ებრძვიან საიდუმლოებით მოცულ „სიცილის ეპიდემიას“. ეს ეპიდემია ქალთა სკოლაში დაიწყო, სადაც მოსწავლე გოგონებმა მოულოდნელად ატეხეს ხარხარი. სწავლა შეწყდა. მალე ამ გოგონების მშობლებმაც უმიზეზოდ დაიწყეს სიცილი.

აღრიცხულ იქნა სიცილის ამ ახალი ავადმყოფობის ათასზე მეტი შემთხვევა. ერთ-ერთ სოფელში დაავადდა მთელი მოსახლეობა.

სიცილის შეტევა დღეში რამდენჯერმე მეორდება და გრძელდება დაახლოებით ორ-ორ საათს. ავადმყოფები ორი კვირის მანძილზე შრომისუუნარომოკლებულნი არიან, მერე კი ჯანმრთელდებიან.

### სპილო-კინომანი

უგანდის ერთ-ერთ პარკში, ღია ცის ქვეშ კინოფილმებს უჩვენებდნენ. სხვა ფილმებთან ერთად ნაჩვენები იყო დოკუმენტური ფილმი სპილოების ცხოვრებაზე აფრიკის ჯუნგლებში; როცა სინათლე აინთო, გაოცებულმა მაყურებლებმა დაინახეს სპილო, რომელიც მშვიდად იდგა ბოლო რიგების უკან და ეკრანს აკვირდებოდა.

ეს სცენა რამდენიმე დღის შემდეგ ისევ განმეორდა. მაშინაც იმავე დოკუმენტურ ფილმს უჩვენებდნენ. ამის შემდეგ სპილო კიდევ ორჯერ მოვიდა სეანსის დაწყების წინ, მაგრამ როცა დარწმუნდა, ფილმში სპილოები აღარ იქნებიანო, ტყეში გაუჩინარდა.

### ჰიპნოზი ტელევიზიით

ამას წინათ მონტე-კარლოში ტელევიზიით გადასცემდნენ ლექციას ჰიპნოზზე. ლექტორმა თვალსაჩინოებისათვის ადამიანთა დაძინების რამდენიმე ცდა ჩაატარა. გადაცემა რომ დამთავრდა, ტელესტუდიაში ვიღაცა ქალმა დარეკა, რომელმაც მოითხოვა ჰიპნოტიზიორის დაუყოვნებელი მისვლა მასთან ბინაზე. თურმე მის ქმარს, რომელიც ლექციას უსმენდა, ჰიპნოტიზიორის ბრძანებით დაუძინია და ცოლი ვეღარ აღვიძებდა მას.

### ვენეციის მცხოვრებნი ტოვებენ ქალაქს

თანდათან კლებულობს მცხოვრებთა რიცხვი ქ. ვენეციის ე. წ. ისტორიულ ნაწილში, რომელიც მდებარეობს ადრიატიკის ზღვის სანაპიროზე, ვეებერთელა ლაგუნაში (ლაგუნა — ზღვიდან გამოყოფილი წყალმარჩხი უბე). ვენეციის ეს ნაწილი განლაგებულია 118 პატარა კუნძულზე. ეს კუნძულები ერთმანეთისგან გამოყოფილია 160 არხით, რომლებზეც გადებულია 400 ხიდი. 1961 წელს ქალაქის ამ რაიონში 134 ათასი მცხოვრები იყო — 40 ათასით ნაკლები, ვიდრე ათი წლის წინათ, ხალხი თანდათან ტოვებს ბრწყინვალე, მაგრამ შედარებით ანტისანიტარულ და მოძველებულ შენობებს, სხვათა შორის, აქ არის აგებული ცნობილი სან-მარკოს ტაძარი (1094 წ.), დოჟების სასახლე (1309-1442 წწ.), სანჯორჯო მაჯორეს ეკლესია (1560 წ.) და სხვა მრავალი ისტორიული ნაგებობა.

მცხოვრებლები ვენეციის ცენტრიდან საცხოვრებლად სულ უფრო ხშირად გადადიან ქალაქის იმ ნაწილში, რომელიც კონტინენტზე მდებარეობს.

### ჩიტი დირიჟორი

ეს ფრთოსანი დირიჟორი ტანად ბეღურას ხელაა. სახელად ტანგარა ჰქვია. ცხოვრობს ბრაზილიის ტყეებში. დაფრინავს გუნდ-გუნდად.

ტანგარები სიმღერასაც გუნდურად ასრულებენ ერთ-ერთი მათგანის დირიჟორობით, რომელიც, ამავე დროს, სიმღერის წამომწყებიცაა. იგი ჯდება ტოტზე, მის გარშემო იკრიბებიან დანარჩენი „მომღერლები“ და დირიჟორის მოძრაობისა და მის მიერ წამოწყებული სიმღერის მიხედვით იწყებენ გალობას.

დირიჟორის ნიშანზე, ჩიტები დუმდებიან, ადგილს ინაცვლებენ და კვლავ გუნდურად განაგრძობენ სიმღერას.


გარეკანის პირველ გვერდზე: კომუნისტური შრომის ვახტზე. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა. გარეკანის მეოთხე გვერდზე — საქართველოს ბაღნარიდან. ფოტო თ. ფურცხვანიძისა. ჩანართის პირველ გვერდზე — რთველი. ფოტო ო. თურქიასი და ე. პესოვისა. ჩანართის მეოთხე გვერდზე — რევზი. ფოტო თ. არჩვაძისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ხ. დურმიშიძე, მ. საკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბაღუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელაძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის 3-34-66, პ/მგ. მდივნის — 9-82-69, განყოფილებების — 3-28-42

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XI-63 წ. გამომც. № 88, ქაღ. ზომა 70×108$^1/_8$. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 20.000. შეკვ. № 2319, უე 06622

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. №14.



ეროვნული ბიბლიოთეკა





ეროვნული
ბიბლიოთეკა



ИНДЕКС 76056





